


რუსუდან ასათიანი

ენის სემანტიკური სისტემის
დომინანტური კატეგორიები და
ქართველურ ენათა ტიპოლოგია

თბილისი

I.0 ენა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი შესაძლებლობაა. სინამდვილე დანაწევრებულია და განუსაზღვრელი რაოდენობის ობიექტების, მოვლენების, მოქმედებებისა და მათი განმსაზღვრელი თვისობრიობებისაგან შედგება. ამ შემადგენელი ელემენტების მთლიანი სინამდვილისაგან გამოცალკევება და იდენტიფიკაცია კონკრეტული კოლექტიური ცნობიერების მიერ სპეციფიკურად ხორციელდება. ე.ი. სინამდვილის ყოველი a_i ელემენტი ცნობიერებაში სპეციფიკურად აისახება: $a_i \rightarrow b_i$; და განსხვავებული ცნობიერების შესაბამისად შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს:




რამდენადაც ერთი და იგივე ობიექტი ერთი და იმავე ტიპის (ადამიანის - Homo sapiens) ცნობიერებით გარდაიქმნება, $a_i \rightarrow b_i$ ასახვა არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად პირობითი და არც $b_i^1, b_i^2, \dots, b_i^m$ განსხვავებები - რადიკალური. ამდენად, b_i ელემენტების სიმრავლე წარმოადგენს საერთო, უნივერსალური და სპეციფიკური ელემენტების ერთობლიობას: $R(b_i) \equiv P(b_i, un) \cup Q(b_i, sp)$


თავად ობიექტური სინამდვილაც გარკვეული გეოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული პირობების გამო წარმოადგენს უნივერსალური და სპეციფიკური, განსხვავებული ელემენტების ერთიანობას:

$$R(a_i) \equiv P(a_i, un) \cup Q(a_i, sp)$$

ის ხატო, რასაც ობიექტი ცნობიერებაში ტოვებს ($b_i^1, b_i^2, \dots, b_i^m$ ელემენტები) ჩვენთვის უცნობია და მასზე მსჯელობა მხოლოდ კონკრეტული ენის განსხვავებული ზედაპირული ფორმების გაანალიზების შედეგადაა შესაძლებელი, ე.ი. ცნობიერება ის შავი ყუთია, რომელიც კონკრეტულ ($a_1, a_2, a_3, \dots, a_n$) ობიექტებს გაიაზრებს:



და იძლევა მათ შესაბამის ენობრივ გამოხატულებებს, რომლებიც ასევე ენათა მიხედვით შეიძლება განსხვავებული იყოს:



რადგან $a_i \rightarrow b_i$ ასახვა არაა აბსოლუტურად პირობითი, არც $b_i \rightarrow (C_i)$ ასახვა იქნება აბსოლუტურად პირობითი, რამდენადაც სხვადასხვა ენის ფორმალური შესაძლებლობები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ე.ი. ობიექტსა (A) და მის სახელს (C) (აღსანიშნა და აღმნიშვნელს) შორის კავშირი არაა აბსოლუტურად პირობითი.

C ელემენტებს შორის არსებული კავშირები რიგ შემთხვევაში ასახვენ A ელემენტებს შორის არსებულ ობიექტურ კავშირებს, გარკვეულ შემთხვევებში კი ნებისმიერ ორ a_i, a_j ელემენტს შორის კავშირი განისაზღვრება შესაბამისი b_i, b_j ელემენტების ურთიერთდაკავშირებით ცნობიერებაში, რაც C_i, C_j ენობრივი, ფორმალური ერთიერთმომართებებით ამოცნობა.

მაშასადამე, სინამდვილე განსაზღვრავს ენას, რომელიც თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს მასზე, სპეციფიკურად ანაწევრებს მას³

1 უფრო ზუსტად ის პირობითი, resp. არამოტივირებულია და მოტივირებულია ერთდროულად: ნიშანი წარმოადგენს რაღაც კომპლექსურ მთლიანობას უნივერსალური, საერთო და არაუნივერსალური, სპეციფიკური ელემენტებისა: $R(C_i) \equiv P(C_i, un) \cup Q(C_i, sp)$


ის პირობითია სპეციფიკური ელემენტებისა და არაპირობითი, მოტივირებულია უნივერსალური ელემენტების წყალობით. ამდენად, უ. დე სოსიურის (65) სტრუქტურალიზმის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპი ნიშნის პირობითობის შესახებ აბსოლუტურად სამართლიანია, თუცა კი ნაწილობრივად ასახავს ნიშნის ბუნებასა და მის არსს, რაც ნათლად ჩნდება სახელდების პრობლემების ექსპერიმენტული კვლევის შედეგად - ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებისა და ენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ამკარა ხდება აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის კავშირის გარკვეული ფაქტობრივით მოტივირებულობა. (ამგვარი ექსპერიმენტების შესახებ იხ. აკ. ბაინდლურაშვილის (3) ნაშრომი, ქართული ენის მასალაზე ჩატარებული მსგავსი ანალიზისათვის იხ. რ. ასათიანი (2, 1979).)

2. იხ. ა. გამყრელიძის ნაშრომი (39), სადაც იგი მსჯელობს აღსანიშნებსა და აღმნიშვნელებს შორის არსებულ პორიზონტალურსა და ვერტიკალურ კავშირებზე: ვერტიკალური კავშირები (აღსანიშნი \leftrightarrow აღმნიშვნელი) პირობითია; აღსანიშნებს შორის არსებული პორიზონტალური კავშირები (აღსანიშნი \leftrightarrow აღსანიშნი) კი გარკვეულად ასახვება აღმნიშვნელებს შორის არსებულ პორიზონტალურ კავშირებში (აღმნიშვნელი \leftrightarrow აღმნიშვნელი), რაც, ბუნებრივია, თვზისა ნიშნის აბსოლუტური პირობითობის შესახებ ასუსტებს.

3 იხ. ვ. ჰუმბოლტისა (42) და ენის ენერგეტული თეორიის სხვა ფუძემდებელთა ნაშრომები.

და გარკვეულ ურთიერთმიმართებებს ამყარებს. მის ელემენტებს შორის; ანუ — ენასა და სინამდვილეს შორის ურთიერთშეჭვივადი კავშირია, რომელიც გაშლალებულია ცნობიერებით: „სინამდვილე“ („ცნობიერება“) — „ენა“.

ყოველ დონეზე გვაქვს უნივერსალური (U_n) და სპეციფიკური (Sp) ელემენტების ერთიანობა:



ტიპოლოგიური ენათმეცნიერების ძირითადი მიზანია ენათა შედარებაზე დაყარებით ამოცნის სწორედ ეს U_n და Sp ნიშნები, რომლებიც თავის მხრივ შესაძლებლობას მოგვცემენ ამოვცნოთ ცნობიერების ძირითადი მექანიზმები.

2.0 სინამდვილე, როგორც აღვნიშნეთ, საგნებისა და მოქმედებებისაგან შედგება, რასაც ენაში ზმნისა (V) და სახელის (N) კატეგორიები შეესაბამება. სახელი და ზმნა უნივერსალური, ლოგიკური კატეგორიებია - მათი შესაბამისი ობიექტების გარეშე არ არსებობს სინამდვილე და არც (ამ) სინამდვილის ასახვა შეიძლება $N:V$ დაპირისპირებების გარეშე: არ არსებობს ენა, სადაც ლექსიკურ დონეზე არ იყოს წარმოდგენილი ზმნებისა და სახელების განსხვავებული ოდენობები: „ყოველ ენას აქვს განვალკვებულად ლექსიკალიზებული სახელები და ზმნები“ (83). რაც შეეხება $N:V$ დაპირისპირების გრამატიკულ დონეზე წარმოდგენას - ეს სპეციფიკურად ხორციელდება განსხვავებული ენისათვის და შესაძლებელია: ან (1) საერთოდ გაუდიფერენცირებელი იყოს ზმნური და სახელური ფუძე (მაგ.: ასრია ინ ელთა ენებში (23)), ან (2) სახელსა და/ან ზმნას ჰქონდეს თავისი სპეციფიკური გრამატიკული მახა-

I უნივერსალური ნიშნები ენის შინაფორმას, მის სიღრმისეულ სტრუქტურებს განსაზღვრადენ; სპეციფიკური ნიშნები კი, რომლებიც ენათა მრავალფეროვნებას განაპირობებენ, ძირითადად ზედაპირულ სტრუქტურებში იღიწდება. ცნებები სიღრმისეული - ზედაპირული სტრუქტურებისა რომლებიც არანსდორქაიული გრამატიკის თეორიის (72), (80), (81)... ფარგლებში იშვა; საკმაოდ იდეტური გამოდგა ტიპოლოგიური ენათმეცნიერებისათვის, რომლის ამოცნაა ენათა შესახებ გენერალიზაციები (მაგ.: (43), (81), (88))...

სიათღებლები.

ობიექტურ სინამდვილეში სახელებს შორის არსებული ურთიერთმიმართებები გარკვეული მოქმედებებით, პრედიკატული ერთეულებით, მყარდება, რაც ენობრივ სტრუქტურებში ზმნასა და სახელებს შორის არსებული ფორმალური კავშირებით აისახება. ზმნა ამ კავშირების ძირითადი მარჯა-ნიზებელი ელემენტია. ის განსაზღვრავს სახელების რაოდენობასა და ხასიათს. ყოველი კონკრეტული ზმნა განსაზღვრული რაოდენობის სახელებს შორის ამყარებს მიმართებებს.

3.0. მაგალითად, „მიცემა“ ზმნის შესაბამის სიტყვაციაში მინა-წილეობს სამი სახელი: „ფინჯ აძლევს“, „რასაც აძლევს“ და „ვისაც აძლევს“. გარდა ამისა: 1. ნებისმიერი სიტყვაცია აუცილებლად შემისა-ზღვრულია დროითა და სივცით; 2. როგორც წესი, მოქმედება გარკვეული იარაღით (მასალით) ხორციელდება; და 3. განკუთვნილია ვიღაცისთვის ან რაღაცისთვის. ამგვარად, „მიცემა“ ზმნა ლოგიკურად უკავშირდება შემდეგ სახელებს: A -მ მისცა B -ს C -ით E -სთვის F -დროს H -ადგილას G -მიზნით.

კომუნიკაციის პროცესში კონკრეტული სიტყვიდან გამომდინარე ენობრივად შეიძლება გამოიკვეთოს მხოლოდ ზოგიერთი ამ სახელთაგანი, მაგრამ ყოველთვის და აუცილებლად „მიცემა“ ზმნასთან წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სამი სახელი: A -მ მისცა B -ს C . ე.ი. იპი-სათვის, რომ განხორციელდეს „მიცემა“, აუცილებელია მინიმუმ სამი სა-ხელი. ამ სამი სახელის არსებობა აუცილებელი და საკმარისი პირობაა „მიცემა“ სიტყვიდან შედგენისათვის. ყველა დანარჩენი ან ფაქტობრივად იგულისხმება და ნებისმიერი სიტყვიდან შემაღგენელია (დრო, სივრცე), ან გარკვეული დამატებითი (არააუცილებელი) ინფორმაციის შემცველია (ვისთვის გადასცა, რა მიზნით გადასცა...).

ზმნის ამ უნარს ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი დაამყაროს გან-საზღვრული, მინიმალური რაოდენობის სახელებთან შეიძლება ვლწოდოთ „ადგილიანობა“ და განვსაზღვროთ იგი, როგორც ზმნის სემანტიკით ნა-

1 ბოლო დროს ენათმეცნიერთა უმრავლესობა სწორედ ამ თვალსაზრისისა-კენ იხრება. იხ. მაგალითად, ლ.ჩიქლიძის (75), ლ.ლ.ტანიერის (66), უ.მაკოლის (92), უ.ლაკოლის (90), ვ.ხრაკოვსკის (73), ე.კურილო-ვიჩის (54), ზ.გაკის (38), ჩ.ფილმორისა (85) და სხვათა ნაშრომე-ბი.

2 ზედაპირულ სტრუქტურაში (რეალ. კონკრეტულ წინადადებაში), რასა-კვირველია, შესაძლებელია რომელიმე ამ სამთაგან წარმოდგენილი არ იყოს, რაც ელიფსით აიხსნება.

გულისხმები მოქმედების განხორციელებისათვის აუცილებელ სახელთა მიწმალური რაოდენობა. ამგვარად განსაზღვრული ადგილიანობა უნივერსალურ ხასიათს იღებს, რადგან ნებისმიერი ენისათვის „მკვემა“ სიტყვიანი ყოველთვის გულისხმობს მხოლოდ სამ მონაწილეს: I (ვინც აძლევს), II (რასაც აძლევს), III (ვისაც აძლევს) და ამდენად „მკვემა“ უნივერსალურად არის სამადგილიანი.

აუცილებელია ამ ტერმინის გაანალიზება და მისი შეპირისპირება ენათმეცნიერებაში გავრცელებულ მსგავსი შინაარსის მქონე ტერმინებთან: „ვალენტიანობა“ და „პირიანობა“.

თანამედროვე თვალსაზრისით, ზმნის პირიანობა განისაზღვრება ზმნის ფორმაში ფორმალურად აღნიშნული პირების (სახელების) რაოდენობით (5, 1979), (8). ამგვარი მიდგომით, მაგალითად, ქართული ენის ზმნა მაქსიმალურად ორპირიანია, რადგან ზმნის ფორმაში ერთროულად შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ორი პირი: მე-მ-ხატავ-ს ის. ამავე ზმნას ფორმალური (სინტაქსური) ურთიერთობა აქვს მესამე სახელთან (მ-ი-ხატავს ის მე მას), რომელზედაც ზმნურ ფორმაში მიგვანიშნებს -ი- ხმოვანი. ამ ხმოვნის უშუალო ფუნქციაა კოორდინაცია - დანიშნულებითი მიმართების დამყარება სახელთან. ამდენად, მისი ძირითადი ფუნქციაა ქვევის კატეგორიის გამოხატვა (2, 1987) და დამატებითი (7) კი აღრესატულ პირზე (მას) მიითქვამს. ე.ი. „მიხატავს“ ზმნური ფორმა მიგვანიშნებს სამ სახელზე - „ის, მე, მას“; ზმნასთან ფორმალურად დაკავშირებული სახელების რაოდენობა კი განსაზღვრავს ზმნის „ვალენტიანობას“ (66). „ადგილიანობის“ თვალსაზრისით იგივე „მიხატავს“ ზმნა გამოდის ორადგილიანი, რამდენადაც „ხატავს“ სიტყვიანის განხორციელებისათვის აუცილებელი და საკმარისია ორი სახელი: „ის, ვინც ხატავს“; და „ის, რასაც ხატავს“. აღრესატული სახელი, „ის.ვისთვისაც ხატავენ“ „ხატავს“ მიმართების შესაძლებელი, მაგრამ არააუცილებელი წევრია. ე.ი. „მიხატავს“ არის ორადგილიანი სამვალენტიანი და ორპირიანი ზმნური ფორმა; ხოლო ვთქვათ, „იხატება“ - ორადგილიანი, მაგრამ ერთვალენტიანი (იხატება ის) და ერთპირიანი (იხატება) ზმნური ფორმაა.

მაშასადამე, ზმნასთან მიმართებაში მყოფი სახელების რაოდენობა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად აისახოს განსხვავებულ ენობრივ დონეებზე. ა. სემანტიკის დონე - პოლიკატის ადგილიანობა, რომელიც განისაზღვრება ამ ზმნის სემანტიკით დაგულისხმები მოქმედების განხორციელებისათვის უზრუნველყოფილი და საკმარისი სახელების რაოდენობით. ბ. სინტაქსის დონე - შემასპენიების ვალენტიანობა, რომელიც

ლაც განისაზღვრება ზმნასთან ფორმალურ ერთიერთობაში მყოფი სახელების რაოდენობით; C. მორფოლოგიის დონე - ზმნის პირიანობა, რომელიც განისაზღვრება ზმნურ ფორმაში მორფოლოგიურად აღნიშნული სახელების რაოდენობით.

ამ ტერმინთანაა დაკავშირებული „ადგილიანობა“ უნივერსალურად განისაზღვრება ყოველი კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობის მქონე პრედიკატული ერთეულისთვის, „ვალენტობა“ და „პირიანობა“ კი ენათა მიხედვით სპეციფიკურია.

ამგვარად, კონკრეტული სიტუაციისგან განყენებით, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე ზმნასთან დაკავშირებული სახელების მინიმალური რაოდენობა განსაზღვრავს ზმნის „ადგილიანობას“, რაც განსაზღვრული კომუნიკაციის აქტში რეალიზდება „ვალენტობის“ სახით, რომელიც, თავის მხრივ, გრამატიკულ დონეზე შეიძლება რეპრეზენტირებულ იქნეს „პირიანობის“ სახით. მაგალითად, რომელიმე „უშენებს“ ზმნური ფორმა ქართულში განისაზღვრება როგორც არადგილიანი პრედიკატის სამვალენტიანი რეალიზაცია, რომელიც მორფოლოგიურად ერთ სახელს წარმოგვიჩენს. ეს შემდეგს გულისხმობს: იმისათვის, რომ განხორციელდეს „უშენება“ სიტუაციის შესაბამისი მოქმედება, კონკრეტული სიტუაციისგან აბსტრაგირებით, აუცილებელი და საკმარისია ორი სახელის არსებობა: „ის, ვინც აშენებს“ და „ის, რასაც აშენებენ“. მოქმედების ადრესატი, ანუ „ის, ვისთვისაც სახლი შენდება“, არის შესაძლებელი, მაგრამ არააუცილებელი წევრი „უშენება“ მიმართებისა (თუმცა კონკრეტული „უშენებს“ სიტუაციისათვის ის, რასაც ვირთვლია, აუცილებელია). ე.ი. „უშენება“ არის არადგილიანი ზმნა კონკრეტული ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარე შეიძლება აქტუალიზებული (ან, პირიქით, გაურინარებულ) იქნეს ზოგიერთი სახელი, რაც ამ ზმნის განსხვავებული ვალენტობებით აისახება. მაგალითად, თუ სიტუაციაში გახაზულია მოქმედების დანიშნულება, იკვეთება ახალი, მოქმედების მკუთხედელი სახელი - „უშენებს მას“ და ზმნა ხდება სამვალენტიანი; ან კიდევ, თუ „უშენება“ წარმოდგენილი იქნება ობიექტის („რასაც აშენებენ“) თვალსაზრისით, მოქმედების ჩამდენი („ის, ვინც აშენებს“) გაურინარდება და მივიღებთ „უშენდება“ ერთვალენტიან ზმნას.

ამგვარად, ადგილიანობის განსაზღვრისას ამოვადვიარო განყენებული, ზოგადი სიტუაციიდან, სადაც ადრესატი ყოველთვის წარმოდგენილი არაა (სახლი ააშენა კაცმა“, „სახლი აშენდა კაცის მიერ“... აქ „სახლი“ და „კაცი“ ყოველთვის წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი ფორმით, ადრესატი კი არ ჩანს და არც იგულისხმება). საზოგადოებრივ, ნებისმიერი ზმნის ადგილიანობის განსაზღვრის პროცედურა შემდეგნაირად შეიძლება

წარმოვიდგინოთ - უნდა გაანალიზდეს ყველა (პოტენციურად არსებულყოფიერ) კონტექსტი, სადაც საძიებელი კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნა გვხვდება. განხილულ კონტექსტებში დადასტურებული სახელების საერთო მინიმალური რაოდენობა (ელიფსის შედეგად გაუჩინარებული სახელების ჩათვლით) განსაზღვრავს მოცემული ზმნის ადგილიანობას.


ამგვარად, იმისათვის რომ განსხვავდეს, ერთი მხრივ, ზმნის განყინებული, წმინდა ლექსიკური მნიშვნელობა, და, მეორე მხრივ, კონკრეტულ სიტუაციაში წარმოშობილი ზმნური მნიშვნელობა, საჭიროა განსხვავდეს „ადგილიანობისა“ და „ვალენტობის“ ცნებები. ადრესატი ჩნდება ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაზე ახალი სემანტიკური მნიშვნელობის, მაგ., (მოქმედების მკუთხელი) - დამატების შედეგად, რაც უნივერსალურად ყველა ენაში გულისხმობს გარკვეულ ფორმალურ ცვლილებებს, რომლებიც კონკრეტულ ენებში სხვადასხვაგვარად რეალიზდება გრამატიკურ დონეებზე. ამგვარად, „ადგილიანობა“ ესაა ლექსიკური მახასიათებელი, რომელიც უნივერსალურად განისაზღვრება ყოველი ენის კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობის მქონე პრედიკატული ერთეულისთვის. ეს ერთეული კომუნიკაციის აქტში ამოქმედების შედეგად წარმოვიდგება ზმნისა და მასთან „ვალენტობით“ (რასაც ახალი, დერივატიული მნიშვნელობების წარმოქმნა სდევს თან) დაკავშირებული სახელების საშუალებით. „ადგილიანობა“ - „ვალენტობას“ შორის შემდეგი მიმართებები შეიძლება არსებობდეს სიღრმისეულ, უნივერსალურ დონეზე: 1. ადგილიანობა = ვალენტობა; 2. ადგილიანობა > ვალენტობა (ე.ი. ზმნასთან სემანტიკურად დაკავშირებულ სახელთან ერთ-ერთი კარგავს მასთან მიმართებას - ვერ ამყარებს ფორმალურ კავშირს. ამ შემთხვევებში, როგორც წესი, საქმე გვაქვს ვნებით, უკუქცევით - რეფლექსურ და „კბენს - იკბინება“ ტიპის კონსტრუქციებთან); 3. ადგილიანობა < ვალენტობა (ე.ი. ზმნასთან ფორმალურ ურთიერთობას ამყარებს სახელი, რომელიც სემანტიკურად, ადგილიანობით არაა განსაზღვრული. ამ შემთხვევებში უნივერსალურად ჩნდება კაზაჩის, კონტაქტის, ქცევის, სიტუაციისა და ადრესატული მიმართების წარმომქმნელი შესაბამისი ცნებით - ლოგიკური კატეგორიები). თუმცა ეს შესაბამისობები უნივერსალურია - ყველა ენაში მოქმედებს, მათი (ანუ გვარის, ქცევის, კონტაქტის და ა.შ.) გრამატიკულ კატეგორიებად რეალიზაციის პირობები განსხვავებულია სხვადასხვა ენაში.

I ქართულში ამ კატეგორიების გრამატიკული რეალიზაციების შესახებ იხ.რ.ასათიანი (2,1987).

ამრიგად, ობიექტურ სინამდვილეში არსებული კონკრეტული სიტუაციები ენაში აისახება ზმნითა და მასთან დაკავშირებული ადგილიანობით განსაზღვრული რაოდენობის სახელებით.

4.0. ამ სახელების ხასიათი სიტუაციებში მათი როლის მიხედვით სხვადასხვაგვარია (36), (49), (68), (85). სახელი შეიძლება იყოს მოქმედების ავტორი, მოქმედი - *Agens*, ან პასიური მოქმედების მიმართ, არამოქმედი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს (1) არააქტიურ - მოქმედების განმჯღელი, ან მოქმედების ობიექტი - *Patiens* და (2) აქტიურ (აქტიური არა ქმედებაში (როგორც *Ag*) არამედ ფიზიკურ ან ემოციონალურ განუღაში) - მოქმედების ადრესატი - *Addressee*!

ი.ე. სახელები განსხვავდება „აქტიურობისა“ და „მოქმედების ავტორის“ ნიშნების მიხედვით შემდეგნაირად:



ერთადგილიან ზმნასთან მიმართებაში შეიძლება იყოს *Ag* (მაგ., ის ცხოვრობს), *P* (მაგ., ის გვია), ან *Ad* (მაგ., მას სძინავს); ორადგილიან ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან ერთ-ერთი არის *Ag* ან *P*, ხოლო მეორე აუცილებლად იქნება *P* ან *Ad*; მაგალითად, *AgP* (მაგ., აშენებს ის მას), *AgAd* (მაგ., კონის ის მას); *PAd* (მაგ., უყვარს მას ის; უფია ის მას); სამადგილიან ზმნასთან კი, როგორც წესი, სახელები ნაწილდება შემდეგნაირად: *Ag-P-Ad*.³

სახელების ამგვარი განაწილება როლების მიხედვით ხდება საგანთა ლოგიკის შესაბამისად (61). მაგალითად, თუ სიტუაციის შემადგენელი ელემენტებია: „ცხენი“ - „კაცი“ - „შეკაზმვა“, მაშინ საგანთა ლოგიკის შესაბამისად სახელები განაწილება შემდეგნაირად: კაცი (*Ag*) - შეკაზმვა (*V*), - ცხენი (*P*), („კაცმა შეკაზმა ცხენი“). ამ განაწილებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სულიერობის კატეგორიას, რომლის მიხედვით ობიექტურ სინამდვილეში მოყვმულ სულიერ-უსულო სახელ-

I ქართულში ამ კატეგორიების გრამატიკული რეალიზაციების შესახებ იხ. რ.ასათიანი (2, 1987).

2 შდრ. „აქტიურის“ ცნებას მოყვმულს ვან ვალინის ნაშრომში (36).

3 როლების გამორევა ერთი სიტუაციის ფარგლებში გამორჩეულია.

თა დაპირისპირება ენობრივ სტრუქტურებშიც აისახება. სულიერი სახელი ჩვეულებრივ მოქმედია, მას შეუძლია შეცვალოს ობიექტური სინამდვილე, შექმნას ახალი ობიექტები, აქტიურად აღიქვას რეალობა, იფიქროს, იაზროვნოს; უსულო სახელი კი, ჩვეულებრივ, უმოქმედო, პასიურია, ამიტომ ის შეიძლება განიცდიდეს რაღაც მოქმედებას, იყოს სამოქმედო ობიექტი, ან პასიურ მდგომარეობაში იყოს წარმოდგენილი. ამდენად, Ag -სიღრმისეულად სულიერი სახელია (გარკვეულ სიტუაციაში უსულო სახელსაც შეიძლება მიეწიროს სულიერის თვისებები და გახდეს Ag); Ad -სიღრმისეულად შეიძლება იყოს სულიეროც და უსულოც; P - კი სიღრმისეულად უსულო სახელია, მაგრამ თუ მასთან ერთად ზმნასთან არაა დაკავშირებული სულიერი Ag , მაშინ P შეიძლება გახდეს [+სულიერი]^I, ე.ი. სულიერობის მიხედვით სახელთა როლებს შორის შემდეგი იერარქია არსებობს: $Ag > Ad > P$. სახელთა როლების აღმნიშვნელი ეს ცნებები ($Ag - P - Ad$) სიღრმისეული, უნივერსალური ცნებებია (49), (85), (68)...


მათი გრამატიკულ დონეებზე წარმოდგენა საკმაოდ განსხვავებულად ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურის ენებში. ამასთან, უშუალოდ ამ როლების მარკირება ენებში საკმაოდ იშვიათია. ჩვეულებრივ, მათი გრამატიკული რეალიზაციების დროს თავს იჩენს ენის ძირითადი ფუნქციის - კომუნიკაციურობის - მნიშვნელობა.

5.0 ენა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი შესაძლებლობაა და მისი ძირითადი ფუნქციაა კომუნიკაცია. ენა, ჩვეულებრივ, კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტებში იღიწლება. თავის მხრივ, საკომუნიკაციო აქტი აისახება ენობრივ სისტემაში სხვადასხვაგვარი გრამატიკული კატეგორიებით. ენობრივ სისტემაში კომუნიკაციის აქტის ასახვის უნივერსალურობის ნიშნულია პირის კატეგორიის უნივერსალურობა.

5.1. კომუნიკაციისას ერთმანეთისაგან განსხვავდება კომუნიკაციის პროცესში მონაწილე და არამონაწილე პირები. კომუნიკაციის პროცესში მონაწილე პირებია: თვით მოლაპარაკე (I პირი) და ის, ვისაც ის ელაპარაკება (II პირი). ამ პირებს თავდაპირველად თანაბარი ფუნქციონალური დატვირთულობა გააჩნდათ - დაპირისპირება I:II - შემდგომი ეტაპია პირის კატეგორიის ჩამოყალიბებაში (33). „მოლაპარაკე“ ა „მსმენელის“ გარდა, ყველა სხვა სახელი არის კომუნიკაციის პროცესში არამონაწილე - არაპირი. სახელების ასეთი განაწილება პირების მიხედვით

I გარკვეულ სიტუაციებში სულიერი სახელიც შეიძლება აღმოჩნდეს პასიური და მაშინ ამგვარი სულიერი სახელიც როლების მიხედვით შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს P -დ; მაგალითად: „კაცმა დაბაჯა ბავშვი (P)“; „მონადირემ მოკლა ირემი (P)“; „კაცმა შეკაზმა ცხენი (P)“...

უნივერსალურია ყოველი ენისათვის (33) და ის, როგორც წესი, აუცილებლად გადმოიცემა ლექსიკურ დონეზე მაინც პირის ნაცვალსახელების და-პირისპირებით (57). რაცხვისა და სქესის მიხედვით ნაცვალსახელებს შორის სხვადასხვაგვარი დაპირისპირებები არსებობს კონკრეტულ ენებში (87). კორელაცია პირი (I/II) - სარაპირი (III) ყველგანაა წარმოდგენილი და მის არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ III პირის ნაცვალსახელების ატარებლობა თითქმის ყველა ენაში - როგორც წესი III პირის ნაცვალსახელი მომდინარეობს ჩვენებითი ელემენტებისაგან (33). ენათა უმრავლესობაში პირის კატეგორიის ფარგლებში გამოიყოფა ბინარული და-პირისპირებები:



რომლებიც შემდგომში გადაიაზრება სამწევროვან დაპირისპირებად: I ~ II ~ III და გრამატიკულად გამოიკვლეება შემდეგი პირები:

- I ვინც ლაპარაკობს (I პირი) → კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირები
- II ვისაც ელაპარაკებიან (II პირი) → კომუნიკაციის აქტში არამონაწილე პირები
- III ვიზეც (რაზეც) ლაპარაკობენ (III პირი) → კომუნიკაციის აქტში არამონაწილე პირები

მიუხედავად იმისა, რომ პირი უნივერსალური კატეგორიაა, როგორც გრამატიკული კატეგორია ის შეიძლება არ გამოიყოს მთელ რიგ ენებში².

პირის კატეგორიის გარდა კომუნიკაციის აქტის როლი ჩნდება ისეთი გრამატიკული კატეგორიების სემანტიკური ანალიზის დროს, როგორიცაა, დრო, კილო, მიმართულებითობა, განგრძობითობა, ქვევა, გვარი და სხვ.

5.2. დროის კატეგორიის არსი სწორედ კომუნიკაციის აქტის დაფიქსირებასთან არის დაკავშირებული: მეტყველების მომენტი კონკრეტული საკომუნიკაციო აქტისათვის მუდმივი, აბსოლუტური სიდიდეა და დროითი მიმართებების ავლის წერტილად მიიჩნევა. მეტყველების მომენტის (resp. კომუნიკაციის აქტის) მნიშვნელობა განსაკუთრებით იკვეთება ისეთ ენებში, რომლებშიც განგრძობითობის გრამატიკული კატეგორია (კონტინუუსი) გამოიყოფა. ასეთ ენებში გრამატიკულად განსხვავებულია


1 ნაცვალსახელების უნივერსალურობა სუსტდება დიაქრონიული განხილვისას. გარდა ამისა, ნაცვალსახელოვანი ელემენტები არა ყველგან ბავშვების მეტყველებაში, პრიმიტიულ (მაგ. ამერიკულ) ენებში (57).

2 ძირითადად იმ ენებში, სადაც ზმნის პიროვანი უღვლილების ნაცვალად კლასიფიკაციის უღვლილებაც გავრცელებული (მაგ. დაუესტინის ენებში).

მოქმედება, რომელიც მიმდინარეობს მეტყველების ნომენკლატურაში (განგრძობით), მოქმედებისაგან, რომელიც მეტყველების მიერ მიიწინებს მეტყველების ნომენტიის თანადროულად (აწმყო განუსაზღვრელი, ინდეფინიტი).

5.3. მოლაპარაკე პირის როლი ჩანს კილოს კატეგორიის ანალიზისას, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკე პირის დამოკიდებულების გამოხატვას გამონათქვამის შესაბამისი სიტუაციის მიმართ: მოლაპარაკე პირი შეიძლება მოთხოვდეს მოქმედების ჩადენას („ბრძანება“), მოკვდავობას გამოხატავდეს რომელიმე (II ან III) პირის მიმართ („ზრდილობიანი ფორმა“), მოქმედებას წარმოადგენდეს, როგორც სასურველს („კატეშირებთობა“), შესაძლებელს („პოტენციალისი“), პირობას მეორე მოქმედებისა („პირობითობა“) და სხვ.

საზოგადოდ, კილოს სიღრმისეული სტრუქტურა კომპლექსური უნდა იყოს, რადგან კილოს მნიშვნელობისათვის ძირითადია მოლაპარაკე, I პირის დამოკიდებულება სიტუაციის მიმართ, ზედაპირულად კი ის არც ერთ ენაში არაა წარმოდგენილი, ე.ი. I პირი წარმოდგენილი უნდა იყოს სიღრმისეულ სტრუქტურაში:



კილოს ყოველი კონკრეტული (სიღრმისეული) მნიშვნელობის: ზრდილობიანი მიმართვა, კატეშირებთობა, პირობითობა, თურმეობითობა, პოტენციალისი, კატეგორიულობა და სხვ. - გრამატიკულ დონეზე წარმოდგენა განსხვავებულად ხორციელდება სხვადასხვა ენაში.

5.4. მოლაპარაკის პოზიცია ვლინდება აგრეთვე მიმართულებითობის კატეგორიაშიც, რაც გულისხმობს მოქმედების მიმართულების გადმოცემის თრ თვალსაზრისს: I - სადაც ფიგურირებს მოლაპარაკის პოზიცია და მიმართულება გულისხმობს „მოლაპარაკისკენ“ ან „მოლაპარაკისგან“ მიმართულ მოქმედებას; და II - სადაც არ ფიგურირებს მოლაპარაკის პოზიცია. მთელ რიგ ენებში (მაგალითად, ქართულსა და ქართველურ ენებში) გრამატიკულად განსხვავებულია I-II ტიპის მიმართულებითობა, რაც ამ ენებში კომუნიკაციის აქტის ფორმალური გამოკვეთისაკენ მისწრაფებაზე მიგვანიშნებს.

5.5 კომუნიკაციის აქტის როლი აშკარა ხდება, აგრეთვე, გვარის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკური ანალიზისას. კომუნიკაციის პროცესში მოლაპარაკის მიერ კონკრეტული ობიექტური სიტუაცია შეიძლება გადმოცემულ იქნეს სხვადასხვა სახელის პოზიციიდან. მაგალითად, სიტუა-


ცია, რომლის ელემენტებია: „კაცი“ - „ცხენი“ - „შეკაზმვა“ - „სა-
განთა ლოგიკის“ შესაბამისად განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევა-
ში, როდესაც „კაცი“ არის მოქმედი, აქტიური სახელი - აგენსი (Ag),
ხოლო „ცხენი“ სამოქმედო, პასიური („შეკაზმვა“ მოქმედების მიმართ)
სახელი - პაციენსი (P). ზედაპირულ ენობრივ დონეზე ეს სიტუაცია
ჩვეულებრივ გამოიხატება გამონათქვამით: „კაცმა (Ag) შეკაზმა
ცხენი (P)“. აქ მოქმედება წარმოდგენილია Ag-ის პოზიციიდან,
ანუ გამონათქვამის თემა, { რესპ. ქვემდებარე, ცენტრი, ფოკუსი,
თვალთახედვით წერტილი... } არის „კაცი“. იგივე სიტუაცია ზედაპირულ
დონეზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს P-ს პოზიციიდან იმგვარად, რომ
საგანთა ლოგიკა არ დაირღვეს. სიტუაციის ასეთი წარმოდგენა გულის-
ხმობს მეტყველის მიერ საფოკუსო, ასათვლელი, ძირითადი თვალთახედვის
გადატანას რეალურად მოქმედი პირიდან (Ag) სამოქმედოზე (P)
და სწორედ მისი (P) პოზიციებიდან სიტუაციის ენობრივ წარმოდგე-
ნას. ამგვარ გამონათქვამებს ეწოდება ვნებიანი, პასიური კონსტრუქციე-
ბი: „ცხენი (P) შეიკაზმა კაცის მიერ“². (ამ შემთხვევაში გამონათ-
ქვამის თემა (ქვემდებარე) არის „ცხენი“).

5.6 მოლაპარაკე პირის როლი (ე.ი. კომუნიკაციის აქტის როლი)
ჩნდება აგრეთვე ბრძანებითის ფორმების სიღრმისეული სტრუქტურის გან-
საზღვრისას: ბრძანება აუცილებლად გულისხმობს ორ პირს: ვინც უბრძა-
ნებს(ასეთი კი მხოლოდ მეტყველი, I პირია) და ვისაც მიმართავენ ბრძა-
ნებით - (ასეთი ყოველთვის მსმენელი, II პირია). ბრძანება შეიძლება
ეხებოდეს III ან I ინკლუზიურ პირს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბრძანე-
ბა აუცილებლად გაშუალებულია II პირით. ეს ლოგიკურად სავსებით გამარ-
თლებულია, რამდენადაც მოითხოვო, უბრძანო შეიძლება მხოლოდ იმ პირს,
რომელიც კომუნიკაციის პროცესში აუცილებლად ჩართულია, ასეთი, მოლა-
პარაკე პირის გარდა, მხოლოდ II პირია: „ეი, შენ, იმან დახატოს!“,
„მოდო, დაეხატოს (მე და შენ)!“...

ამგვარად, ბრძანებითი ფორმების სიღრმისეულ სტრუქტურას შემდეგი
სახე უნდა ჰქონდეს:

I ამ ცნებების შესახებ იხ. (56), (58), (75).

2 ამგვარი კრანსფორმაცია (დიათეზა) აუცილებელი პირობაა ვნებიანი
კონსტრუქციებისათვის (73).



ზედაპირულ სტრუქტურებში, როგორც წესი ეს პირები (I, II) არ ასახეობა, თუმცა მათი კვალი ჩანს სინტაქსურ სტრუქტურებში.

გარდა განხილული კატეგორიებისა კომუნიკაციის აქტის როლი (resp. მეტყველი, I პირის) ვლინდება სახელთა განსხვავებულ ზედაპირულ მარკირებაში, რაც დამოკიდებულია კომუნიკაციის ფაქტორებისა და თუ ის ენობრივი, კოლექტიური ცნობიერება რომელ კატეგორიას მიიჩნევს ძირითადად და რომელი კატეგორიის მიხედვით ახდენს ობიექტურ სიტუაციებში წარმოდგენილი სახელების ენობრივ ინტერპრეტაციას - მათ წარმოდგენას გარკვეული (ბრუნვის) ფორმით.


ყოველი ენის გრამატიკული სისტემა სტრუქტურულად ურთიერთდაკავშირებული გრამატიკული მნიშვნელობების ერთიანობაა. გრამატიკული კატეგორიების ამ მთლიანობაში გამოიყოფა ერთი, დომინანტური კატეგორია, რომელსაც მაქსიმალური ფუნქციონალური დატვირთულობა გააჩნია და რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს კონკრეტულ ენათა გრამატიკული კატეგორიების სისტემათა ფორმირებაში.

ეს დომინანტური კატეგორია სწორედ ის კატეგორიაა, რომელიც კომუნიკაციის აქტისთვის მთავარ მნიშვნელობად მიიჩნევა და რომლის მიხედვითაც ხორციელდება სახელთა ზედაპირული გაფორმება, მათი გარკვეულ ბრუნვათა ყალიბებში მოქცევა.

ამგვარად, ობიექტურ სინამდვილეში არსებული სიტუაცია, რომელიც ზმნითა და მასთან დაცავშირებული $Ag-P-Act$ როლების მექანიზმით წარმოიქმნება (ადგილიანობის მიხედვით განისაზღვრება, წარმოდგენილი იქნება სამივე, ორ-ორი, თუ თითო-თითო როლი), სხვადასხვაგვარი ცნობიერებისა და მიხედვით განსხვავებულად რეალიზდება ენობრივ სტრუქტურებში, რაც განსაზღვრულია ამის მიხედვით, თუ გარკვეული კოლექტიური ცნობიერების მიერ რომელი მნიშვნელობა მიიჩნევა კომუნიკაციის აქტისათვის დომინანტურ კატეგორიად. რა კატეგორიებია ეს, ან როგორ შეიძლება მათი ამოცნობა? მათი განსაზღვრა - ამოცნობა შესაძლებელია იმ ბრუნვათა ყალიბების გაანალიზებით, რომლებიც ამა თუ იმ ენის ზედაპირული სტრუქტურებისთვისაა დამახასიათებელი.

I წარმოდგენილი სიღრმისეული სტრუქტურა ნათლად ასახავს, თუ რაგონაა შეუძლებელი ბრძანება I პირისადმი. ამ შემთხვევაში გვაქნებოდა ერთი <<ბრძანება>> - კონძით მარჯული ორი პირიანი პირის სახელი $N_1 = \dots$, რაც დამოკიდებულია სრულ კომპლექსების განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობითა და იმ სიტუაციის რეალურად არსებული პირის არსებობა შეუძლებელია. ზედაპირულ სტრუქტურებში

6.0 ბუნებრივ ენებში $Ag-P-(Ad)$ I როლების სხვადასხვა-
გვარი კოდირების მიხედვით ძირითადად შემდეგი მოდელები გამოიყოფა
(63):



6.1 პირველი მოდელის მიხედვით ზედაპირულად ერთმანეთს უპირის-
პირდება ერთადგილიანი და ორადგილიანი პრედიკატის მოქმედი სახელი
(რომელიც შეიძლება იყოს აქტიური (Ag), მაგ. „კაცი ცხოვრობს“ და
პასიური (P), მაგ., „კაცი წივს“), და ორადგილიანი პრედიკატის
სამოქმედო სახელი, მოქმედების ობიექტი (P); ანუ ერთმანეთს უპი-
რისპირდება სუბიექტი, რომელიც განუტრეველად აქტიურობისა მარკირებუ-
ლია პირდაპირი ბრუნვით, ნომინატივით; და ობიექტი, რომელიც ყოველ-
თვის პასიურია და მარკირებულია ირიბი ბრუნვით, აკუზატივით. ენებს,
რომლებიც ძირითადად ამ ტიპის (I) სტრუქტურებით ხასიათდება, ნომინა-
ტიურ ენებს უწოდებენ, განხილულ კონსტრუქციებს კი - ნომინატიურს.

საზოგადოდ, სუბიექტ (S) - ობიექტის (O) ცნებებმა გარკვეული
შინაარსობრივი ცვლილება განიცადეს ენათმეცნიერების (კერძოდ, სინ-
ტაქსის) განვითარებისა და შესაბამისად. თავდაპირველად S მოქმედ სა-
ხელს აღნიშნავდა, O კი - სამოქმედოს, მაგრამ, როგორც კი ამ ცნებე-
ბით პასიური კონსტრუქციების სემანტიკურ გაანალიზებას შეეცადნენ,
აღმოჩნდა, რომ პასიურ კონსტრუქციაში, მაგალითად, „წიგნი იწერება
მწერლის მიერ“, S („წიგნი“) არის არა მოქმედი სახელი, არამედ სა-
მოქმედო, ხოლო რეალური სუბიექტი („მწერლის მიერ“) საერთოდ ვერ

მსგავსი სემანტიკური მიმართებები ჩვეულებრივ უკუტყვიით - რეფლექსუ-
რი ფორმებით გამოიხატება.
(უფრო დეტალებით ბრძანებითს ღორმების ანალიზისათვის იხ. (31)).

I როგორც წინა, Ad არ მონაწილეობს ძირითადი სინტაქსური კონსტრუქ-
ციების განმსაზღვრელ ბრუნვათა მოდელებში, როგორც ამ მოდელების
განმასხვავებელი ელემენტი (88), (91).

ამყარებს ზმნასთან ფორმალურ კავშირს და წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია. ამიტომ ალუილებელი გახდა რეალური და სინტაქსური S-ის განსხვავება და წარმოიქმნა ახალი კატეგორიები: ქვემდებარე - დამატება (52). სინტაქსური სუბიექტი ეს იგივე ქვემდებარეა, რომელიც ძირითადად ფორმალურად განისაზღვრება (ნომინატიური ენებისთვის): „ქვემდებარე არის ნომინატივში მდგარი სახელი“. მაგრამ ქვემდებარე, თუ წინადადების აქტუალურ დანაწევრებას მივიღებთ მხედველობაში, ეს იგივე „თემა“, ანუ სახელი, რომლის შესახებაც ითქმის რაღაც ახალი ინფორმაცია („რემა“); რომელიც გამონათქვამის ცენტრია და რომლის პოზიციიდანაც ხდება მოქმედების წარმოდგენა - ე.ი. ქვემდებარე-დამატების (resp. S-O) ცნებებს დაუახლოვდა მთელი წყება სინტაქსური ცნებებისა: თემა - რემა, ტიპიკი, მოცემული - ახალი, ფვალთახედვის წერტილი და სხვ.

სემანტიკური ფვალსაზრისით კი S-O ცნებებს მიუახლოვდა ფსიქოლოგიური, რეალური სუბიექტის (ობიექტის) ცნება, რომელიც დაუპირისპირდა გრამატიკულ სუბიექტს (27, 1968), რეალურად მოქმედი სუბიექტის ნაცვლად გარდა Ag-ის ცნება (85), რომლის დაკონკრეტების შედეგად აქტორის ცნების გამოყოფაც გახდა ალუილებელი (36) და ა.შ.

ამგვარად, S-O ცნებები ყოველი ენათმეცნიერისთვის გარკვეულად სპეციფიკური შინაარსის მომცველია. ჩვენთვის, S-O (resp. ქვემდებარე - დამატება, თემა-რემა, ფვალთახედვის ცენტრი, ტიპიკი...) ცნებების მიხედვით განსხვავდება მოქმედი (არაალუილებლად აქტორი, მოქმედების ავტორი) სახელი სამოქმედო ობიექტისგან და S/O სწორედ ის დომინანტური კატეგორიაა ნომინატიური ენებისთვის, რომლის მიხედვითაც სახელები ზედაპირულ ენობრივ დონეზე წარმოდგენილია შემდეგი დაპირისპირების სახით: S (გარდაამავლის Ag და გარდაუვალის Ag) vs P - ნომინატივში: O (გარდაამავლის P) - აკუზატივში.

6.2 რაც შეეხება მეორე მოდელს, აქ კოლექტიური ცნობიერების ერთ ძირითადი აქცენტი გადატანილია აქტიური (Ag) - არააქტიური P) სახელების სემანტიკურ განსხვავებასა და მათ ზედაპირულ დაპირისპირებაზე. ე.ი. ეს მოდელი ყველაზე მეტადაა სემანტიკურად მოტივირებული: აქტიური სახელები - ერთადგილიანი (გარდაუვალი) პრედიკატის ქტიური სუბიექტი (Ag) და ორადგილიანი (გარდაამავალი) პრედიკატის ობიექტი (Ag) წარმოდგენილია ირიბ (ერგატიულ) ბრუნვაში; არააქტიუ-

- 1 ამ ცნებების განმარტებისა და ანალიზისათვის იხ. ლ. ჩივიფის ნაშრომი (75).
- 2 იხ. (49), (50).
3. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები

რი სახელები - ორადგილიანი (გარდამავალი) პრედიკატის ობიექტი (P), და ერთადგილიანი (გარდამავალი) პრედიკატის არააქტიური სუბიექტი (P) - კი პირდაპირ ბრუნვაში (ნომინატივში): ე.ი. აქტიური ენებისთვის ღომინანტიური კატეგორიაა „აქტიურობის“ კატეგორია, რომელიც სახელთა როლებს აქტიურობის მიხედვით აჯგუფებს და ერთმანეთს უპირისპირებს: Ag („აქტიური“) და P („არააქტიური“) სახელებს.

6.3 მესამე მოდელის მიხედვით ზედაპირული მარკირებით ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, გარდამავლის Ag (resp. S), რომელიც ირიბ (ერგატიულ) ბრუნვაშია და, მეორე მხრივ, გარდაუვალის S (resp Ag ან P) და გარდამავლის P , რომლებიც პირდაპირ (ნომინატიულ) ბრუნვაშია.

ამგვარ კონსტრუქციებს და ენებს, სადაც ძირითადში მხოლოდ მსგავსი კონსტრუქციებია გავრცელებული, უწოდებენ ერგატიულს.

6.3.1. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ე.წ. ერგატიული ენებისადმი. ეს გარკვეულად განსაზღვრა ტიპოლოგიური ენათმეცნიერების ფისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლამ. თუ თავდაპირველად, XIX საუკუნის დასაწყისში, ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებას ძირითადად კლასიფიკაციური ხასიათი ჰქონდა, თანამედროვე პირობებში მან განმაზოგადებელი და მახასიათებლური ხასიათი შეიძინა: ენათა შორის მსგავსება - განსხვავებულობებზე დაფუძნებით უნივერსალური ენობრივი სისტემის დადგენა, ენის სიღრმისეული სტრუქტურების განსაზღვრა, ზოგადი, უნივერსალური და სპეციფიკური კანონზომიერებების კვლევა და ენის არსის ამოცნობა - აი ის ძირითადი მიზნები, რომელთაც საკმაოდ ეფექტურად ემსახურება ენათა კვლევის ტიპოლოგიური მეთოდი; სხვადასხვაგვარ ბუნებრივ ენათა ტიპოლოგიური ანალიზი კი თავისთავად სვამს ერგატიული ენების (resp. ერგატიული კონსტრუქციების) არსის დადგენის საკითხს, რამდენადაც ისინი ნომინატიურ ენებთან ერთად ენობრივი სინამდვილის ძირითადი ოდენობებია. ერგატიული ენებისა და ერგატიული კონსტრუქციებისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან ნაშრომში ერგატიული კონსტრუქციები, ძირითადად, ფორმისა და ფუნქციის თვალსაზრისით ანალიზდება. საკითხი მათი მნიშვნელობის შესახებ, ანუ იმის შესახებ თუ რა სემანტიკურ ოდენობებს გამოხატავენ ისინი, არც დასმულა. ორივე ცნება - „ერგატიული“ და „ნომინატიული“ - ზედაპირულ კონსტრუქციებს განსაზღვრავს. ბუნებრივია, რომ ეს ზედაპირული ყალიბები რაღაც სემანტიკურ ოდენობას ასახავენ და გარკვეული შინაარსის მატარებელი არიან. რა შინაარსია ეს? ნომინატიური კონსტრუქ-

I იხ. (27, 1961), (77), (83, 1978)...

ციების შემთხვევაში, როგორც ეს უკვე გავაანალიზეთ, ესაა სილრმისეული მოქმედა (resp. Ag, სუბიექტი, თემა) და სამოქმედო (resp. Patients, ობიექტი, რემა) სახელების გრამატიკული დიფერენცია-ცია: გარდამავალი და გარდაუვალი კონსტრუქციების სუბიექტი უპირისპირდება გარდამავალი კონსტრუქციის ობიექტს სპეციფიკური, ე.წ. ნომინატიური (პირდაპირი) ბრუნვის ფორმით; რაც შეეხება ერგატიულ კონსტრუქციას, აქ ზღაღნაღივ არ ჩანს, რა სემანტიკურ ოპოზიციას ასახავს გარდამავალი ზმნის Ag, სუბიექტის (S) გამოვალკვევება სპეციფიკური, ერგატიული (ირიბი) ბრუნვის დანარჩენი სახელებისგან (გარდაუვალის სუბიექტი და გარდამავლის ობიექტი), რომლებიც ნომინატიური (პირდაპირა) ბრუნვის არიან მარკირებულნი.

რა არის მიზეზი S-P-ს მორფოლოგიური გათანაბრებისა ერგატიულ ენებში? სავარაუდო უნდა იყოს რაღაც ერთი კატეგორიის არსებობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ერთ მორფოლოგიურ კლასში გაერთიანება. ასეთ კატეგორიას არ წარმოადგენს არც ერთი ტრადიციულ გრამატიკებში გამოყოფილ კატეგორიათაგან: სუბიექტი-ობიექტი, აქტიური-პასიური სახელები, ქვემდებარე-დამაკება, თემა-რემა... არც ერთი დასახელებულ კატეგორიათაგან არ აერთიანებს ერთ კატეგორიად (ქვეკატეგორიად) გარდამავლის P-სა და გარდაუვალის S-ს, არა-და ერგატიულ ენებში, თუ ფორმალური დაპირისპირებიდან ამოვალთ, P (პირდაპირი ობიექტი)-ს ცალკე კატეგორია (ან ქვეკატეგორია) არც კი არსებობს, ის ერთიანდება გარდაუვალის სუბიექტთან და გარდაუვალის S და გარდამავლის P ერთად, ერთ მთლიან კატეგორიას შეადგენენ. ე.ი. ვფიქვს არა, მაგალითად, სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიები, არამედ რაღაც ერთი მთლიანი კატეგორია, რომელიც აერთიანებს S-P-ს ერთ კლასში და უპირისპირებს მათ გარდამავლის Ag-ს. ყოველივე ეს

I შპრ.: ი. დიაკონოვის ნაშრომში (47, 1967) განვითარებულ მოსაზრებას ამ კატეგორიების მთლიანობის შესახებ. ი. დიაკონოვი, თუმცა კი გრძნობს ამ მთლიანობას, ვერ პოულობს რაიმე სემანტიკურ კატეგორიას მათი გაერთიანებისათვის და ფუნქციონალურ კვალიფიკაციებზე დაყრდნობით გამოყოფს ფორმალურად განსაზღვრულ კატეგორიას, რომელსაც იგი უწოდებს: "О-ДЕЙСТВИЯ И S - СОСТОЯНИЯ". იხ., აგრეთვე, იხ. ზიტარის ნაშრომი (48), რომელშიც ამგვარი მთლიანობა ენის უცილობელ ფაქტად მიიჩნევა, ლინგვისტის ძირითად ამოცანად კი - სწორედ ამ მთლიანობის ახსნა: "Как скоро это единство несомненно, значит лингвиста состоит в том, что-бы попытаться объяснить его..."

შეიძლება აიხსნას ერთი საკმაოდ ცნობილი სემანტიკური ფაქტით; კერძოდ, გარდამავალი ზმნის სემანტიკური ორიენტაციით აგენსზე (სუბიექტზე), ხოლო გარდაუვალი ზმნისა - პაციენსზე (ობიექტზე). მაგალითად, თუ გვაქვს „გადაადგილების“ სემა (გარდაუვალი სემანტიკა), კონკრეტული ზმნის ლექსიკური სახე განისაზღვრება სუბიექტის სემანტიკის მიხედვით: თუ გვაქვს „ჩიტი“, ზმნა იქნება „მიფრინავს“, თუ „ადამიანი“ - „დადის“, „გველი“ - „მისრიალებს“, „კურდღელი“ - „მიხტის“, „გემი“ - „მოცურავს“ და ა.შ. გარდამავალი სემანტიკის (მაგალითად, „შექმნის“ სემა) შემთხვევაში ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს ობიექტის სემანტიკა: თუ ობიექტია „წერილი“, ზმნა იქნება „დაწერა“, თუ „ნახატი“ - „დახატა“, „სურათი“ - „გადაიღო“, „სახლი“ - „ააშენა“, „ტაძარი“ - „ააგო“ და ა.შ.¹ ამგვარად, სემანტიკურად ზმნას ითანხმებენ (ე.ი. სემანტიკურად შემთხმებელი სახელებია) გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის (ობიექტი), (ანუ ნომინატივით (პირდაპირი ბრუნვით) მარკირებული სახელები). ხოლო სემანტიკურად ზმნას არ ითანხმებენ (ე.ი. სემანტიკურად არაშემთანხმებელი სახელებია) გარდამავლის Ag (ანუ ერგატივით მარკირებული სახელი).² ზმნის ამ სემანტიკურ ორიენტაციას პირობითად შეიძლება „სემანტიკური შეთანხმებულობა“ ეწოდოს. ამგვარად, ერგატიული კონსტრუქცია წარმოადგენს „სემანტიკური შეთანხმებულობის“ გრამატიკულ, ზედაპირულ რეალიზაციას, რომლის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება სემანტიკურად შემთანხმებელი (resp ნომინატივით წარმოდგენილი გარდამავლის P და გარდაუვალის სუბიექტი) და არაშემთანხმებელი (resp. ერგატივით წარმოდგენილი გარდამავლის Ag) სახელები; ხოლო ნომინატიური კონსტრუქცია „სემანტიკური შეთანხმებულობის“ (სშ) არაგრამატიკულობაზე მიჯვანიშნებს. (ე.ი. ნომინატიურ ენებში ზედაპირულ დონეზე არაა რეალიზებული სემანტიკური შეთანხმებულობა). იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. აქტიური წყობის ენებზე, სადაც ზედაპირულ დონეზე ნომინატივით (პირდაპირი ბრუნვით) მარკირებულია არა სემანტიკურად შემთანხმებელი ან მოქმედი სახელი, არამედ აქტიური სახელი (ასეთებია გარდამავლის Ag და გარდაუვალის აქტიური სუბიექტი-

¹ ამგვარ სემანტიკურ ორიენტაციაზე მსჯელობს ე.გაგი თავის ერთ-ერთ ნაშრომში (38, 1972), თუმცა ის არ იძლევა სემანტიკური შეთანხმებულობის მკაფიო ფორმალურ ინტერპრეტაციას.

² ეს ფაქტი ღფრო ძვალსაჩინოდ შეიძლება უდასტურდეს ისეთი ზმნული წყვილებით, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ ნათთან დაკავშირებული სახელის სულიერობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ხატულად ჩნდება, რომ გარდამავალი სემანტიკის დროს გადამწყვეტია პაციენსი (ღფრო ზუსტად მისი (P -ს) სულიერობა-არასულიერობა): „მიჰყავს კაცი“ (P სულიერი), მაგრამ „მიჰყავს წიგნი“ (P [-სულ.]); „აქვს წიგნი“

Ag), რომელიც უპირისპირდება არააქტიურ სახელს (ასეთებია გარდაამავლის (P) და გარდაუვალის პასიური, არააქტიური სუბიექტი (P)). მიუხედავად იმისა, რომ არც ნომინატიურ და არც აქტიურ ენებში გრამატიკულ დონეზე არაა რეალიზებული სმ, Patients -ის გრამატიკული აქტივობის აუცილებლობა გარდამავალი კონსტრუქციებისათვის, ანუ გარდამავალ ზმნათათვის სამოქმედო ობიექტის სემანტიკური გამორჩეულობის (ზმნა მასზეა სემანტიკურად ორიენტირებული) ენობრივი საშუალებებით წარმოჩენა, კვლავ ძალაშია.

6.3.2 პაციენსის განსაზღვრელ როლს გარდამავალი ზმნის სტრუქტურაში უნივერსალური ხასიათი აქვს - მის გარეშე ზმნა ფაქტიურად გარდაუვალი ხდება (22), (27, 1961)². ეს უნივერსალური ფაქტი სხვადასხვაგვარად აისახება ბუნებრივ ენებში. მაგალითად, ჩინურში გარდამავალ ზმნებთან P ყოველთვისაა წარმოდგენილი ზედაპირულად: „ძილი ძინავს“, „გზა გაიარა“... და ნებისმიერ სტრუქტურაში, თუკი ის სახეზე არაა, მაშინ ზმნა გაფორმებულია გარდაუვალების მსგავსად - ǂǂe- სუფიქსით (46). ასევე, ხურტიულ ენაში უბიექტო ფორმების მარცხენებელია -t- (47, 1967). ოდნავ განსხვავებული ვითარებაა უნგრულ ენაში, სადაც გამოიყოფა ორი რიგი Ag-ის (სუბიექტის) პირის ნიშნებისა - P-ს გარეშე და იმ P-თი, რომელიც განსაზღვრულია (32). პაციენსის განსაზღვრულობას გადამწყვეტი როლი ენიჭება ლინურ-უგორულ ენებში, სადაც განსაზღვრული P გამოხატულია სმეციფიკური ბრუნვით, აკუზატივით და მხოლოდ განსაზღვრული P-ს დროს გვხვდება ერგატიული კონსტრუქცია (მაგალითად, Vakh Ostyak-ში) (83, 1977). საზოგადოდ ნომინატიურ ენებში პაციენსის განსაკუთრებულობა ზედაპირულად გამოხატულია სმეციფიკური ბრუნვით - აკუზატივით; თუმცა აკუზატივით გამოხატული P ნომინატიურ კონსტრუქციაში Ag-თან შედარებით (რომელიც ნომინატიური ბრუნვითაა მარკირებული) მეორეხარისხოვანია, რამდენადაც ძირითადი მნიშვნელობა აქ S-ის გრამატიკული მარკირებას ენიჭება. ეს ნათლად ჩანს ზმნის პირიან ფორმებში - ნომინატიურ ენებში, როგორც წესი, ზმნურ ფორმაში აღნიშნულია მხოლოდ S, P კი ზედაპირულად, ზმნურ სტრუქტურაში, რაიმე ფორმალური ნიშნით წარმოდგენილი არაა. ამდენად მისი სემანტიკური როლის წარმოსაჩენად აუცილებელია P-ს გრამატი-

(P [-სულ.]), მაგრამ „მყავს ბავშვი“ (P [+სულ.]); ხოლო გარდაუვალი სემანტიკის დროს გადამწყვეტია სუბიექტის სულიერობა: „კაცი წევს“, მაგრამ „წიგნი ლეოს“...

1 იხ. მნიშვნელობა მე-17 გვერდზე.

2 ობიექტის (პაციენსის) აღნიშვნა ზმნის მინარტა (VO თუ OV) ი.ლორეანი-სათვის განსაზღვრულია ნებისმიერი ენის საერთო ფორმალური მნიშვნელობის პირობისა (91).

კული აქტუალიზაცია, რაც ბუნებრივ ენებში ძირითადად შემდეგი სახის სტრუქტურებით ხორციელდება: 1. პოსესიური კონსტრუქცია; 2. პერფექტული კონსტრუქცია; 3. პასიური კონსტრუქცია¹.

პოსესიური კონსტრუქცია გამოხატავს „ფლობის“ სემანტიკას, რომლის დროსაც ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება იმ ობიექტს (P), რომელიც ფლობის საგანია. ე.ი. წინა პლანზეა არა მფლობელი, არამედ ფლობის ობიექტი, ეს ფაქტი ბუნებრივ ენებში გამოიხატება ზედაპირულადაც მფლობელისა და ფლობის საგნის განსხვავებული ფორმებით: პირველი, როგორც წესი, ირიბ ბრუნვაშია (დატივი, გენეტივი), მეორე კი პირდაპირში (ნომინატივი). ე.ი. „ფლობის“ სიტყვიერების შელასებისას (გადმოცემისას) თვალთახედვის ცენტრია P და სწორედ მას ენიჭება ცენტრალური, ძირითადი მნიშვნელობა. ზედაპირულად P -ს ამგვარი „ცენტრალურობა“ გამოიხატება ნომინატივით, ანუ მთავარი წევრების გამოხატვის ბრუნვათა იერარქიაში უმაღლეს საფეხურზე მოთავსებული ბრუნვით (ნომინატიური ენებისათვის ბრუნვათა იერარქიაა: Nom > Acc. > Dat.). არსებობს ორი სახის პოსესიური კონსტრუქცია: შედგენილი „არსებობის“ („ყოფნა“ ზმნა) პრედიკატივით და „ფლობის“ („ქონა“ ზმნა) პრედიკატივით:

(1) P არის Ag -ის

(2) P აქვს Ag -ს.

(1) ტიპის სტრუქტურა უნივერსალურად P -ს გრამატიკულ აქტუალიზაციას და მის პირდაპირი ბრუნვით მარკირებას გულისხმობს ყველა ენაში, (2) - კი ენათა მიხედვით განსხვავებულია: ზოგიერთ ენაში Ag -ია პირდაპირი ბრუნვით (ნომინატივით) გამოხატული (მაგ. ინგლისურში: I have a book) (ე.ი. ამ ენებში არა გვაქვს P -ს გრამატიკული აქტუალიზაცია), ზოგიერთში კი - P (მაგ. „წიგნი აქვს კაცს“) (ე.ი. ამ ენებში P გრამატიკულად აქტუალიზებულია). ამ ორი სახის პოსესიურ სტრუქტურას შეესაბამება ორი ტიპის პერფექტი:

(1) P არის Ag -ის N_v

1 ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი P -ს (და, საზოგადოდ, წინადადების ნებისმიერი წევრის) აქტუალიზაციისა არის სიტყვათა რიგისა და ინტონაციის შეკვლა: აქტუალიზებული წევრი (P) დაისმის წინადადების თავში და ინტონაციურად გამოიკვეთება (მახვილით, ტონით ან სხვა სუპრასეგმენტური საშუალებებით). ზოგიერთ ენაში ამგვარი ემფაზის სპეციალური მორფოლოგიური საშუალებებაც არსებობს, მაგალითად, ინგლისურში, როგორც წესი, დამხმარე ზმნა ან ასრულებს ამ ფუნქციას (ინტონაციის უნივერსალურობის შესახებ იხ. (35), სიტყვათა დამინიშნებელი რიგის გადაჯაგებებთან დაკავშირებული კანონზომიერების შესახებ კი (96)).

(2)^I P აქვს Ag-ს N_v, სადაც N_v აღნიშნავს ნაზმნარ სახელებს, მიმღებებს; დახატული, დაწერილი, გაკეთებული...

საზოგადოდ, პერფექტული კონსტრუქცია გამოხატავს ისეთ სიტუაციას, რომლის შესაბამისი მოქმედება დასრულებულია გარკვეული მომენტისათვის და მის შესახებ მსჯელობა მიმდინარეობს მოქმედების შედეგის მიხედვით. ამგვარად, პერფექტის სემანტიკა უკვე გულისხმობს Ag-ის მეორე პლანზე გადასმასა და P-ს როლის გაზრდას, რაუგანაე მოქმედების შედეგი გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში სწორედ P-ა.

მესამე, ბუნებრივ ენებში მეტად გავრცელებული საშუალება P-ს აქტუალიზაციისა არის პასიური კონსტრუქცია, რომელიც გულისხმობს სახელთა ბუნებრივი ლოგიკის შებრუნებასა და P-ს როლის გაზრდას, წინ წამოწევას, აქტუალიზაციას. გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში საგანთა ბუნებრივი ლოგიკა გულისხმობს, რომ კომუნიკაციისათვის მთავარი სახელია ის, რომელიც მოქმედებს, ქმნის P-ს, ანუ Ag; მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ სშ-ს თანახმად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება P-ს, ენაში შესაძლებელი ხდება საგანთა ბუნებრივი ლოგიკის ენობრივი დარღვევა, P-ს წინა პლანზე წამოწევა (მასი აქტუალიზაცია) და აქტიური სემანტიკის პასიური შეცვლა. ამგვარად მიიღება პასიური კონსტრუქციები (რომლებიც იმ ენებში, სადაც პასივის მხოლოდ ანალიზური წარმოებაა, უტოლდებიან პერფექტულ კონსტრუქციებს, ძირითადად (I) - ტიპისას: The book us read by me). თავისი ზედაპირული ბრუნვათა ყალიბებით პასიური კონსტრუქცია ემთხვევა ერგატულს; ორივე შემთხვევაში P არის პირდაპირი ბრუნვით წარმოდგენილი, Ag - ირიბით.

ამგვარად, ყველა აღნიშნული კონსტრუქცია: ერგატული, პასიური, პერფექტული, პოსესიური — P-ს გრამატიკულ აქტუალიზაციას ემსახურება. მათ შორის მჭიდრო კავშირები არსებობს, როგორც სინქრონული,

I იმ ენებში, სადაც (2) ტიპის პოსესიური კონსტრუქცია ზედაპირულად არ გამოხატავს P-ს გრამატიკულ აქტუალიზაციას, არც (2) ტიპის პერფექტული კონსტრუქციაა ჩვეულებრივ P-ს აქტუალიზაციის მარეგენბელი (მაგ. ინგლისურში: I have read the book).

2 დავუშვათ ჩვენ შევესწარიტ სიტუაციას, რომლის დროსაც მონადირემ მოკლა ირემი. ეს ფაქტი ენობრავთ რამდენიმე საშუალებით შეიძლება გამოხატოს:


- (1) ირემი მოკლულია (ეგზრსტენციალური სტრუქტურა)
- (2) ირემი მოკლულია მონადირის მიერ (პოსესიური)
- (3) ირემი მოკლული აყავს მონადირეს (პერფექტული)
- (4) ირემი მოკლა მონადირის მიერ (პასიური)

ასევე დიაქრონიული. სინქრონულად ეს კონსტრუქციები ან მოცავენ ერთმანეთს, ან ზრთიერებს გამორიცხავენ. მაგალითად: პოსესიური კონსტრუქციის გაფართოება იძლევა პერფექტულს: { P არის Ag -ის } გავრცობაა: { P არის Ag -ის N_v } და, პირიქით, პერფექტის სემანტიკა მოიცავს "ფლობის" სემანტიკას¹. აგრეთვე პერფექტი გულისხმობს პასივიზაციასაც, რამდენადაც აქაც ხდება P და Ag -ისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ლოგიკის შებრუნება². ბევრ ენაში პასივი სწორედ პერფექტული კონსტრუქციებით გადმოიცემა. საინტერესოა, რომ იმ ენებში, სადაც ერგატული კონსტრუქციები არსებობს, პერფექტის მნიშვნელობა ჩვეულებრივ ერგატული კონსტრუქციებით გადმოიცემა და ა.შ. სინქრონულად ერთმანეთს გამორიცხავენ პასიური და ერგატული კონსტრუქციები, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე სამანტიკურ ფაქტს - სშ-ს გამოხატავენ სხვადასხვა დონეებზე: ერგატული კონსტრუქცია გულისხმობს თავდაპირველადვე სემანტიკურად შემოანხმებელი ო არაშემთანხმებელი სახელების ოპოზიციას, პასიური კონსტრუქცია კი უფრო მოქმედი ო არამოქმედი სახელების განსხვავებას და შემდგომ სშ-ს მარკირებას. შედეგად ორივე შემთხვევაში

↓ (5) ირემი მოკლავს მონადირეს (პერფექტულ - აქტიური, დატიური)
 ↓ (6) ირემი მოკლა მონადირემ (აქტიური, ერგატული)
 აქ ყველაზე ირემი (P) არის აქტუალიზებული, შესაბამისი მოქმედების სხვადასხვაგვარი აქტიურობითა (რომელიც იზრდება (1)-დან (6)-მდე) და პასიურობით (რომელიც იზრდება საპირისპირო მიმართულებით: (6)-დან (1)-მდე). ყოველ ენას ამგვარი შესაძლებლობების თავისებური უაჭვი გააჩნია, იმისდა მიხედვით, თუ რა ენობრივ ტიპს მიეკუთვნება იგი. მაგალითად, რუსულისთვის ამ უაჭვის შემადგენელი სტრუქტურები იქნება:

↑ (1) Олень убит охотником (პასიური)
 ↓ (2) Охотник убил оленя (აქტიური)

1 შტრ. ე. ბენვენისტის მიერ მოცემულ განსაზღვრებას პერფექტული კონსტრუქციისა "...მდგომარეობის ცნება შეერთებული ფლობის ცნებასთან, დაკავშირებული მოქმედ პირთან, (ესაა) ფორმა, რომელშიც მოქმედი პირი წარმოგვიდგება როგორც განხორციელებული მოქმედების მფლობელი" (33).



• აქ ჩართული წინადადების Ag(S) ზედაპირზე ხდება Ag(N_{გენ}), P(O) კი — P(S).

ვლელობა კონსტრუქციას: *Ag* (ინდივიდუალური) *V. P.* (პირდაპირი ბრუნ-
 ვიდი). ამიტომ, თუ ზედაპირულად გვაქვს ერგატული კონსტრუქცია, გამო-
 რიცხულია მისი პასივიზაცია და პირიქით. მსგავსმა სიახლეებმა ამ კონ-
 სტრუქციებისა წარმოქმნა ერგატის „პასიურობის“ თეორია; რადგან, თუ
 სხვა კონსტრუქციებისგან მოწყვეტით განვიხილავთ პასიურ კონსტრუქციას
 და ინდოევროპული (ნომინატიური) ენების თავისებურებებიდან ამოვალთ,
 ერგატული კონსტრუქცია უდრის პასიურს და მათ შორის რაიმე განსხვავე-
 ბის დაჭერა შეუძლებელია. განსხვავება კი მხოლოდ იმაშია, რომ ერგა-
 ტულ ენებში მხოლოდ ერგატული კონსტრუქციებია შესაძლებელი (მაგ.
 ლატინის ენებში), პასიური კონსტრუქციები კი თანაარსებობენ აქტიურ
 კონსტრუქციებთან. აქედან ადვილი წარმოსადგენია ის დიაქრონიული კავ-
 შირები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ნომინატიურ და ერგატულ ენებს
 შორის: თუ ყველა გარდამავალზმნიანი კონსტრუქცია დაექვემდებარება
 პასივიზაციას, ნომინატიური ენა გარდაიქმნება ერგატულად, ანუ, ერ-
 გატიული ენები იგივე ნომინატიური ენებია აქტიური წინადადებების ალ-
 ტერნატიული პასიური გამოხატულებით. ნომინატიური კონსტრუქციის ერგა-
 ტულად გარდაქმნა ჩვეულებრივ გაშლადებულია პასიური, პერფექტული
 კონსტრუქციებით (33), (59), (62). ასევე, აქტიური კონსტრუქცია
 შეიძლება გარდაიქმნას ერგატულად (53, 1977) ან ნომინატიურად (40).
 ეს ნომინატიური და დიაქრონიული ზრთიერთკავშირები თავისებურ ასახვას
 პოულობენ თანამედროვე ენათმეცნიერებაში, რომლის ერთ-ერთი
 ძირითადი ამოცანაა ენის სილრმისეული, უნივერსალური სტრუქტურების
 დადგენა: რომელი კონსტრუქცია მივიჩნით სილრმისეულად, უნივერსალურ-
 რად - ერგატული, თუ ნომინატიური? აქ ძირითადად ორი შესაძლებლობა
 არსებობს: I. ნომინატიური კონსტრუქციაა სილრმისეული და მისგან ალტერ-
 ნატიული პასივიზაციაა მიიღება ყველა ერგატული კონსტრუქცია; II.
 ერგატული კონსტრუქციაა სილრმისეული და მისგან „ანჟიპასიურობის“ წე-

1. ეს თეორია, რომელიც პ. სლარდთან (70) მოპუნარეობს და რომელიც
 კემპტონმა პ. შუხარდტმა (76) და ხ. ულენბეკმა (68) განავითარეს თა-
 ვის ნაშრომებში, საკმაოდ პოპულარული და ფაქტიურად ერთადერთი თეო-
 რიული ახსნა იყო ერგატული კონსტრუქციებისა XIX საუკუნეთა ენათმეცნიერ-
 რებაში (ერგატის „პასიურობის“ თეორიის კრიტიკა იხ. ფ. დინკის,
 ა. გრომბეტის, ა. დირისა და სხვათა ნაშრომებში) (77).

2. როგორც აღნიშნავს ტ. პ. ვილბორი, ერგატული კონსტრუქციის აღწერის
 სამი შესაძლებლობა არსებობს: 1. გრამატიკული რელატივიზმი, 2. პა-
 სიური რეინტერპრეტაცია; 3. ერგატის განზოგადება, როგორც ენის
 ბაზის ნაწილისა (ინგლისურისთვისაც კი) (99).

4. ქართულურ ენაზე ტიპოლოგიის საკითხები

სით მიიღება ნომინატიური კონსტრუქციები. ორივე ეს ვარიანტი ენობრივი სიღრმის წარმოდგენისა გამართლებულია ერგატული და პასიური კონსტრუქციების ზემომოყვანილი იგივეობიდან გამომდინარე და იმავე შესაძლებლობა რეალიზებულია კიდევ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენათმეცნიერის ნაშრომებში; მაგალითად პირველის მიმდევრებია პ.უსლარი, გ.შუხარაძე, ხ.ულენბეგი... მეორისა კი ჰ.ფოგტი, ჯ.მაკოლი, მ.სილვერსტაინი... მაგრამ, ალბათ, უფრო სამართლიანი იქნებოდა ეს კონსტრუქციები არ დაგვეყვანა ერთმანეთზე და იმ კატეგორიების გამოყვანილ ალგევიწერა, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სემანტიკას; ნომინატიური ენების შემთხვევაში ესაა სუბიექტისა და ობიექტის კატეგორია, ხოლო ერგატული ენების შემთხვევაში - სემანტიკური შეთანხმებულობა. ნომინატიურ ენებში დომინანტური სემანტიკური კატეგორიაა S/O ; მთავარი მნიშვნელობა ენიჭება S/O -ს გრამატიკულ მარკირებას და დანარჩენი გრამატიკული კატეგორიები იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდებარეობენ, ანუ ნომინატიურ ენებში $S/O > სშ$; ერგატულ ენებში კი ძირითადია სშ და დანარჩენი კატეგორიების აღნიშვნა მასთან შედარებით მეორეხარისხოვანია - ანუ $S/O < < სშ$. ე.ი. სიღრმისეულად ნომინატიური და ერგატული კონსტრუქციები ერთმანეთის მსგავსია, ისინი ერთი და იმავე სიღრმისეული სტრუქტურებიდან მომდინარეობენ და მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიებს შორის არსებული იერარქიული განსხვავებები განსაზღვრავენ მათ შორის ატყებულ განსხვავებულობებს. ამგვარად, ერგატული ენებია ისეთ ენები, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება სშ-ს მარკირებას, რომელიც შემოხმობს ზედაპირულ დაპისრიპირებას სემანტიკურად შეთანხმებულ და სემანტიკურად არაშეთანხმებულ სახელებს შორის და (გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში) Patients-ის პირდაპირი ბრუნვით მარკირებას!

6.3.3. P-ს აქტუალიზაციის ძლიერი უნივერსალური ტენდენციის გამო ნომინატიურ ენებშიც შეიძლება წარმოიქმნას ერგატული კონსტრუქციები, რომლებიც ჩვეულებრივ შემოსაზღვრულნი არიან წარსული დროის, პერფექტული და სრული ასპექტის ღორბებით, რამდენადაც სწორედ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გაზრდილია P-ს როლი - წარსულში დასრულებული მოქმედების შედეგი სახეზეა და მისი აქტუალიზაცია უფრო ბუნებრივი და აუცილებელია, ვიდრე, ვთქვათ, დაუსრულებელი მოქმედების

I P-ს როლის ამგვარი გაზრდის შედეგად ერგატულ ენებში ბონობრივია კლას-კატეგორიის წარმოქმნა - ხდება P-ს შემოგომი დეკალიზაცია მისი გარკვეულ სახეებთან (რომლებიც განსაზღვრულ კლასებს შეადგენენ) სიახლოვის მიხედვით და მორფოლოგიურად განსხვავდება არა ნოვადად P, არამედ გარკვეული კლასის წარმომადგენელი P (ასე ვიკლას, მაგალითად, დალესტნის ენებში; აგრეთვე, ვამპუსურსა და ზოგირით ამერიკულ ენებში).

P -სა, რომელიც ჯერ გამოკვეთილი არცაა: „გუშინ ბევრი ვხატე“ - რა? პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი?, ან მაგალითად, აწმყოს დროში გაურკვეველია თუ რას აშენებენ მუშები - სახლს? თეატრს? ქარხანას?...
 • ამგვარი ჯერ კიდევ გამოუკვეთელი P-ს აქტუალიზაცია, ბუნებრივია, ნაკლებ აუცილებელია, რამდენადაც მასთან ზმნის სემანტიკური კავშირიც (სმ) ჯერ გამოუკვეთელია და ამდენად, გასაგები უნდა იყოს ბუნებრივ ენებში გავრცელებული უნივერსალია: ერთგვარული კონსტრუქცია არაერთგვარულ ენებში (ანუ იმ ენებში, სადაც ძირითადი არაა სმ-ს გრამატიკალიზაცია) ჩნდება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ წარსული დროის, სრული ასპექტის, პერფექტულ ფორმებთან. აგრეთვე, ამგვარი მსჯელობით უფრო გასაგები ხდება მ.სილვერსტაინის იერარქიაც (95):

I/II	III პირის	საკუთარი	სულიერი	უსული	საზოგადო	Erg.
პირის ნაც.სახ.	ნაცვ. სახ.	სახელები	სახელები	სახელები	სახელები	Nom.

რომელიც აღწერს Erg და Nom სისტემების გაჩენის ალბათობის ზრდის უნივერსალურ მიმართულებებს „საზოგადო“ - „უსული“- ... „I/II პირის“ სახელების გასწვრივ. გასაგებია, რომ ერთგვარული კონსტრუქციები, უპირველეს ყოვლისა, ჩნდება III პირის საზოგადო სახელებთან, რამდენადაც I-II პირი ყოველთვის სახეზეა, ამდენად განსაზღვრული და ამის ძალით უკვე აქტუალიზებულია. სწორედ III პირის P-ს განსხვავებულობები განსაზღვრავენ პრედიკატის კონკრეტულ სახეს, ე.ი. III პირთან უფრო ღირებულა სმ-ს გრამატიკული მარკირება. სახელის განსაზღვრულობა (შესაბამისად მკირდება მისი აქტუალიზაციის აუცილებლობა, ანუ ერთგვარული კონსტრუქციის წარმოქმნის შესაძლებლობა) სქემის მიხედვით მარჯვნიდან მარცხნივ; ნომინატიურ ტენებში კი, რამდენადაც S/O-ს გრამატიკული მარკირებიდან ამოფიქვართ და „ვინ რაზე მოქმედებს“ (ანუ S და O) კი ყველაზე ნათლად გარკვეულია აწმყოში, I-II პირის სახელებთან (ანუ კომუნიკაციის აქტის თანმხლებ კატეგორიებთან), ამდენად, P-ს აქტუალიზაციაც Arc-ით სწორედ გარკვეული, განსაზღვრული სახელებიდან იწყება (I-II პირიდან) და თანდათან ვრცელდება სხვა სახელებზეც - სქემის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ.

საზოგადოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების როლი (I-II პირი) ენობრივი გამონათქვამების ფორმირებისას ძალიან დიდია და გამოიხატება ისეთი გრამატიკული კატეგორიების უნივერსალურობით, როგორცაა: პირი, აწმყო დრო, სხვადასხვა სახის

ასპექტური მახასიათებლები მოქმედებისა, აგრეთვე, I/II ო III დიქო-
ტომია და პოლიპერსონალიზმის განმსაზღვრელი პირობები. ზოგიერთ ენა-
ში კომუნიკაციის აქტიური მონაწილე პირების (განსაკუთრებით, კომუნიკა-
ციის აქტის) გამოკვეთას განმსაზღვრელი როლი ენიჭება გრამატიკულ კა-
ტეგორიათა სისტემაში და თუ ვილაპარაკებთ დომინანტურ კატეგორიებზე,
სწორედ „კომუნიკაციის აქტის“ („მეტყველი“ - „მსმენელი“ პირების)
(და არა S/O, ან სშ-ს, ან სხვ.) ენობრივი გამოხატულებაა მთავარი
ამ ენებში.

7.0. მაგალითად, ქართულსა და ქართველურ ენებში გრამატიკულ
კატეგორიათა სისტემის განმსაზღვრელი კატეგორია არ უნდა იყოს არც
S/O, არც სშ და არც აქტიურობა, ყველა ის სირთულე, რომელიც უნდა
ქართველური ენების ნომინატიურ, ერგატიულ, თუ აქტიურ ენებად გან-
ხილვის შედეგად, განსაზღვრული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, მხოლოდ და
მხოლოდ იმ ფაქტით, რომ არც ერთი ზემოთ დასახელებულ კატეგორიათაგან
(S/O, სშ, აქტიურობა) არ წარმოადგენს ქართველურ ენათა გრამატიკულ
კატეგორიათა სისტემაში დომინანტურ კატეგორიას.

7.1. თანამედროვე ქართულში გამოიყოფა ორი პრედიქსული რიგი
პირის მარცხენა მხარისა - გ-რიგი და მ-რიგი:

გ-რიგი		მ-რიგი	
მხ.	მრ.	მხ.	მრ.
I გ-	გ- -ა	I მ-	მ-
II -	- -ა	II გ-	გ-
III -	-ს, -ა, -ა -ა	III მ-მ-ს, -ს, -ს -	მ-მ-ს, -ს, -ს -[ა]

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ პირის ნიშანთა გ-რიგი ზმნაში ასა-
ხავს სუბიექტს, მ-რიგი კი ობიექტს (26). III სერიის ზმნური ფორმები
შებრუნებულ სურათს გვიჩვენებენ, რაც ბუნებრივად წამოჭრის ინვერსიის
საკითხს. ინვერსიის მიზეზი გალკვევებია და იგი ზმნის რაიმე შინაარ-
სობრივ ცვლას არ იწვევს. გარდა III სერიის ზმნური ფორმებისა, გა-
მოიყოფა რიგი, ე.წ. ინვერსიული ზმნებისა (სემანტიკურად ასეთებია
აღექტური, გრძნობა-აქტის ზმნები), სადაც, აგრეთვე, შებრუნებულ
სურათი გვაქვს პირის აღნიშვნის თვალსაზრისით: S - აღნიშნება მ-ს
რიგით, O - გ-ს რიგით.

ასე რომ, მკაცრი მსჯელობით, მ-გ რიგების დაპირისპირება არ
გამოხატავს მოქმედ (სუბიექტ) - სამოქმედოს (ობიექტის) დაპირისპი-

რებას!

ამასთანავე, შესაბამისი სახელების ბრუნვათა ფორმებზე არ გამოხატავენ S/O დაპირისპირებას: S - ქართულში შეიძლება გამოხატულ იქნეს სამი ბრუნვით - სახელობითით (-ი), მოთხრობითით (-მა) და მოცემითით (-ს); ობიექტი კი ორი ბრუნვით: სახელობითით (-ი) და მოცემითით (-ს). თუ I სერიის (აწმყოსა და მისგან ნაწარმოები დროების) ფორმებში კიდევ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ ნომინატიური კონსტრუქციების არსებობა ქართულში:

I სერია

(Ag) კაც - ი ცხოვრობს
(Ag) კაც - ი (P) სურათს ხატავს
(P) კაც - ი წევს

nom acc.

II (წარსული წყვიტლის) და III (პერფექტულ-უნახავი) სერიის ფორმებში ნომინატიური ენებისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციები გამოირჩეხულია და აქ, მეტად, ერგატოლ კონსტრუქციებს ეხვდებით:

II სერია

III სერია

(Ag) კაც - მა (P) სურათს - ი დახატა
(P) კაც - ი დაღვა
Erg Nom.

(Ag) კაც - ს (P) სურათს - ი დაუხატავს
(P) კაც - ი დამდგარა
Dat Nom.

მაგრამ, მოთხრობითი (ერგატიული) (II სერიაში) ან მოცემითი (-ს) (III სერიაში) ბრუნვით ქართულში მარკირებულია არა მხოლოდ გარდამავალ ზმნათა Ag, არამედ აგრეთვე აქტიურ, გარდაუვალ ზმნათა Ag. ეს პროცესი, Erg.-ით გარდამავალი კონსტრუქციების გარდა გარ-

1 მ-ვ რიგის ნიშნების ამგვარი დონქიონალური აღრევის ანალიზი ამომწურავად არის მოცემული ალ.ონიას ნაშრომში (19) (იხ., აგრეთვე, ა.სომიერელის (64), კ.ბრეიტვეილისა (82) და სხვათა ნაშრომები).

2 ქართველური ენების ერგატიულობის შესახებ ბევრი კრიტიკული ნაშრომი გარჩნდა ამ ბოლო დროს - იხ. (17), (21), (81, 1979), (86), თუმცა ქართველურ ენათა გარკვეულ ქვიისისკეობებში ერგატიული კონსტრუქციების არსებობა რელიგოზური დაქვია, მაგ., ინდო-სინური ზმნებისა და აქტიური ზმნების III სერიის ფორმებში:

შენ შენ მიყვარხარ - შენ ხარ

შენ მე გიყვარხარ - მე ვარ

ან მე შენ ამიშინებოხარ - შენ ხარ

მას მე აღუშინებოხარ - მე ვარ

მას ის აღუშინებოხ - ის (კაცი) უ

სირთულეები (81, 1979); კერძოდ, გამოიყოფა ერთი ჯგუფი ზმნებისა („იგინება“-ს ტიპის), რომელთაც აქტიური შინაარსი აქვთ, გაფორმება (ზმნური მორფოლოგია) კი - პასიური.

7.2. ამგვარად, არც ერთი განხილული კატეგორია (S/O , სმ, აქტიურობა) არ წარმოადგენს მილიანად ქართველური ენების სტრუქტურების განმსაზღვრელ დომინანტურ კატეგორიას, ამიტომ, ბუნებრივია, ვიცარაუდოთ, რომ ამ კატეგორიების გრამატიკული რეალიზაციები იკვეთება და ექვემდებარება სწორედ იმ კატეგორიას, რომელიც მთავარია ამ თვალსაზრისით. ასეთ კატეგორიად ქართველური ენებისათვის გვესახება კომპონიციუის აქტისათვის „მთავარი წევრობის“ კატეგორია.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მ-ვ ნიშნების განაწილების უფრო ზუსტი ანალიზი და ამ განაწილების სემანტიკური საფუძვლების დაძებნა.

სემანტიკური თვალსაზრისით უფრო მართებული ჩანს მ.მაგვარიანისეული ანალიზი, რომლის მიხედვით ვ-ს რიგი ენტროსპექტულ მოქმედებას ახასიათებს, მ-ს რიგი კი ინტროსპექტულს: მ-ხატავს, მ-იხატავს (მეტყველისკენ მიმართული, ინტროსპექტული მოქმედება) ო ვ-ხატავს, ვ-უხატავს (მეტყველისგან მიმართული, ენტროსპექტული მოქმედება) (14). მაგრამ ამგვარი ანალიზით ცვლავ აუხსნელი რჩება ინვერსიის განმსაზღვრელი ფაქტორები, გაურკვეველია პირის ნიშნების შენაცვლების სემანტიკური საფუძველი III სერიის ზმნური ფორმებისთვის და ე.წ. ინვერსიული ზმნებისთვის. ამ საკითხებში ლეით გარკვევისათვის გავაანალიზოთ მ-ვ პირის ნიშანთა განაწილება:

1. ნებისმიერი სახელი, გაფორმებული როგორც $(N + ს)$, ზმნაში აჩენს მანის რიგის ნიშნებს;
2. ნებისმიერი სახელი, გაფორმებული როგორც $(N + მა)$, ზმნაში აჩენს ვინის რიგის ნიშნებს;
3. ნებისმიერი სახელი, გაფორმებული როგორც $(N + ი)$, იჭვევა ხან $(N + ს)$ -ს, ხან $(N + მა)$ -ს მსგავსად შემდეგი პირობე-

რიაშიც ფუნქციონირებს (წყვიტილის დაბოლოება მესამე პირის მრავლობითი რიცხვის აქტიური ზმნებისთვის არის -ეს, პასიურისთვის კი -ნენ) და III სერიაშიც ერთ-ერთი ძირითადია (აქტიური ზმნები ვვიჩვენებენ პირის ნიშანთა ინვერსიას, არააქტიური კი - არა) - გველინას ახდენს სახელურ მორფოლოგიაზეც და შედეგად წარმოიქმნება აქტიური კონსტრუქციები. ამგვარად, ერგატის ქართულში არის არა მხოლოდ გარდაამავალი, არამედ ზოგადად აქტიური კონსტრუქციის Ag -ის გამომხატველი (21), ე.ი. „ქართული არ არის“ (ტიპიური) ერგატიული კონსტრუქცია (86) და, მეტად, „აქტიურ“ ენას წარმოადგენს (II-III სერიის ფორმებისათვის). ერგატის ხმარების გაფორმებას „აქტიურობის“ ერგატის გასწვრივ აქტიური კონსტრუქციის სახით უნდა ვ.ბოლუაძის (81, 1979), თუმცა მას არ მიაჩნია ეს ნიშანი მილიანად ერგატის მმართავ სემანტიკურ კატეგორიად.

ბი: (ა) $(N+n)$ ზმნაში არენს მანის რიგის ნიშნებს თუ მასთან ერთად ზმნასთან ჯრთიერთობაშია $(N + მა)$; ბ) $(N+n)$ ზმნაში არენს ვინის რიგის ნიშნებს, თუ მასთან ერთად ზმნასთან ჯრთიერთობაშია $(N+ს)$ ან \emptyset , გ) $(N+n)$ არ არენს არავითარ ნიშანს, თუ მასთან ერთად ზმნასთან ჯრთიერთობაშია ორივე: $(N + მა)$ და $(N + ს)$.

ე.ი. (ა) ნებისმიერი ზმნის ფორმაში პოტენციურად² აღუილებლად არის წარმოდგენილი ერთი მაინც ვინის რიგის ნიშანი (მანის რიგის ნიშნები ამ ოვალსაზრისით აღუილებელი არაა), (ბ) ვინის რიგის ნიშნების გარეშის ოვალსაზრისით სახელებს შორის გვაქვს შემდეგი იერარქიული დაპირისპირება: $(N+მა) > (N + n) > (N + ს)$.

განვიხილო სემანტიკურად როგორ სახელებს წარმოგვიჩენს ვ-ს რიგი:

1. აქტიური ზმნის აგენსი (ვ-ხატავ...)
2. პასიური ზმნის პაციენსი (ვ-იხატები...)
3. პერფექტულ-რეზულტატური (III სერიის) დროების პაციენსი (და-ვ-ხატულ-ვარ...)
4. „მიყვარს“ ტიპის ზმნათა პაციენსი (ვ-ლყვარ-ვარ)

მ-ს რიგი, საპირისპიროდ, აღნიშნავს:

1. აქტიური ზმნის პაციენსი (მ-ხატავს)
2. პასიური ზმნის (და აქტიურისაც) ადრესატს (მ-ეხატება, მ-იხატავს)
3. პერფექტულ-რეზულტატური დროების აგენსი (და-მ-იხატავს)
4. „მიყვარს“ ტიპის ზმნათა მიყვამითში მდგარ სახელს (მ-იყვარს).

ამ სემანტიკური მნიშვნელობების შედარება-გაანალიზების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მ-ვ ნიშნები ასახავენ კომუნიკაციის

1 შარ. კ. ბრეიჟევიტის მოსაზრებას: „ქართლის აღწერა შესაძლებელია ფუნქციონალური ან სემანტიკური ცნებების გარეშე - ზმნური ნიშნები შეიძლება დაუკავშირდეს ნაცვალსახელებს განსაზღვრულ ბრუნვაში, რაც არ საჭიროებს დაცავშირებას S/C (ან სხვა ამ ტიპის) ცნებებთან“ (მ2, 80-81).

2 ეს დაზუსტება აღუილებელია, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნასთან კომპინაციაში გვაქვს I და II პირის სახელი ერთობლივად, ვ-ს რიგის ნიშანი რეალურად ზმნურ ფორმაში დადასტურებული არაა, მაშინ, როდესაც მ-ს რიგის ნიშანი წარმოდგენილია: მაგ., ვ-ხატავ, მ-ხატავ. ეს ფაქტი იხსნება ქართული ენის პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქციით (იხ. მსჯელობა მმ-ე ჯვირდზე).

აქტისთვის „მთავარი ორ არამთავარი“ სახელების დაპირისპირებას, რაც შემდეგს გულისხმობს:

ჩვეულებრივ, კომუნიკაციის აქტისათვის მთავარ სახელად მიჩნეულია ის სახელი, რომლის თვალსაზრისითაც არის წარმოდგენილი მოქმედება - ესაა აქტიური ზმნის *Агт* აგრეთვე, პასიური ზმნის *Р. III* სერიის ფორმებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობებია „უნახაობა“, „რეზოლუტატიურობა“ (პერფექტული ფორმები), რის გამოც მოქმედი სახელი ვადალის მეორე პლანზე და კომუნიკაციისათვის მთავარი წევრის მნიშვნელობა ენიჭება სახელს, რომელიც მოქმედების შედეგს წარმოადგენს (*Р-ს*). მსგავსი ვითარებაა ე.წ. ინვერსიულ („მიყვარს“ ტიპის) ზმნებთანაც. ასეთებია ძირითადად გრძნობა-აღქმისა და ფიზიკური ან ემოციური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (მიყვარს, ვომწონს, მეშინია, ვშია, მცვივა, მაკანკალებს, ვემღერება...), სწორედ მათი ლექსიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა მოქმედ სახელს, არამედ იმ სახელს, რომელიც იწვევს რაიმე გრძნობას (ჭუჭი მშია, გულვ მომწონს, სიყვარული მცვივა, მაკანკალებს, სიხატულობა მემღერება). აქ მოქმედი პირის ნებელობა თითქმის გამორიცხულია და ის ემორჩილება ემოციის გამომწვევი (*რესპ. მთავარი*) სახელების ნებას.

ამგვარად, კომუნიკაციის აქტის გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა ქართლისთვის გამოგვეყო აბაღი გრამატიკული კატეგორია - „კომუნიკაციის აქტისათვის მთავარი წევრობის“ კატეგორია, რომლის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება მდებარე (სახელი, რომელსაც კომუნიკაციის პროცესში მთავარი, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება და რომელიც მარკირებულია ზმნაში ეინის რიგის ნიშნებით, სახელში კი -(ბ) იერარქიის მაღალი დონის წევრით) და უბამდებარე (სახელი, რომელიც კომუნიკაციისათვის არაძირითად, მეორეხარისხოვან წევრად მიიჩნევა და რომელიც ზმნაში ფორმალურად აისახება მანის რიგის ნიშნებით, სახელში კი -(ბ) იერარქიის დაბალი დონის წევრით) სახელები.

სემანტიკურად მთავარი სახელებია: აქტიური ზმნის *Агт*, პასიური ზმნის *Р, III* სერიისა და ინვერსიული ზმნების *Р*. როგორც ვხედავთ, მთავარი სახელების როლის გარკვევისას არ ვხედავთ *Ad*.

I გრძნობა-აღქმის ზმნებთან ქვემდებარის ცნების ამგვარი გაფაზრება, როგორც ჩანს, უნივერსალური ფაქტია, რადენადაც მთელ რიგ ენებში ქვეწარმარე ამ ზმნებთან ირიბ ბრუნვაშია, მაგალითად, რუსულში *МНЕ (თა არა я) НУЖИТСЯ, ХОЛОДНО, ХАЧЕТСЯ...* ან, როგორც ვთქვამთ, იტალიურში: *MI Sento freddo, ho fame...* უფრო მეტად გემრიელია, რომელიც ქვემდებარეული (*subordinate*) მარკირებითაა გაფორმებული ზმნასთან დაკავშირებული ორივე სახელი.

5. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები

ე.ი. Ad არასოდეს არ კვალიფიცირდება როგორც „მთავარი“ სახელი და, ამიტომაც, ის არასოდეს არ არის წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში ვ-ს რიგის ნიშნებით.

არამთავარი სახელებია: აქტიური ზმნის პაცენსი, პასიური ზმნის ატრესპტი, III სერიისა და ინვერსიული ზმნების Ad.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მ-გ რიგის პირის ნიშნების ფუნქციაა ზმნურ ფორმაში კომლენკაციისათვის „მთავარი ო არამთავარი“ წევრების გამოკვეთა.

7.3. კომლენკაციის აქტის როლის წარმოსაჩენად საჭიროა ღერო ზუსტად განისაზღვროს პირიანობის ფუნქციონალური დატვირთულობა ქართულ ენებში, აუცილებელია გაანალიზებულ იქნეს ზმნურ მორფემათასინტაგმატური უბნები სხვადასხვაგვარი პირის ერთდროული მარკირების განსხვავებული შესაძლებლობების მიხედვით და განისაზღვროს ქართული (და ქართველური) ზმნის მაქსიმალური პირიანობა.

ქართულში ზმნური ფორმების სინტაგმატური ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩნდება I/II ო III დიქტომია, რაც შემდეგ კანონზონორებებში აღინიშნება:

1. I/II პირის სახელი ყოველთვის ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში განუსაზღვრელად მისი როლისა კონკრეტულ სიტუაციაში.

1 ეს კიდევ ერთხელ აღსაზღვრებს იმ ფაქტს, რომ ენათა ძირითადი სტრუქტურული მოდელების (ნომინატიური, აქტიური ერეატიული) (63) განსაზღვრისას, ან ენის მახასიათებლები ნიშან-თვისებების განსაზღვრული ძირითადი ელემენტების რიგის (SOV, SOV, OSV...) დადგენისას Ad-ს არავითარი ღირებულება არ გააჩნია (88), (91).

2 „მასპინძელმა ჩემი თავი სტუმრებს წარუდგინა“, „ზურაბმა დედას შენი თავი გააუახვინა“ და სხვა ამგვარი წინადადებების (სადაც სიღრმი-სიღრმი I/II პირის სახელი ზედპირულად წარმოდგენილია „თავ“ ნაცვალი-სახელიანი რეფლექსური ფრაზის სახით ან ზმნაში მარკირებული არაა) ახსნა შესაძლებელია ქართული სამვალენტური ზმნის კანონიკური ზედაპირული სტრუქტურის დაფუძნით, სადაც პაცენსი (რესპ პირდაპირი ობიექტი) ყოველთვის III პირის, უსული სახელია. ამდენად, ეს სიღრმი-სიღრმი I/II პირის სახელები ზედპირულად რთული ფრაზების (III პირისა) სახით არიან წარმოდგენილი. („მომბარა მან ძე (პ) მასწავლებელს - ტიპის „გამონაკლისური“ კონსტრუქციების ანალიზისათვის იხ. (2, 1982), სადაც ეს კონსტრუქციები შესაბამისი ორგანული-ტიპიანი ზმნით შედგენილი შესიტყვების ლოკაციურ გაერკობად შიქრ-ნივთა და უტოლდება „მომბარა მან ძე სკოლაში“ ტიპის კონსტრუქციებს).

II.III პირის სახელი ზმნას ითანხმებს პირსა და რიცხვში მხოლოდ გარკვეულ პირობებში: აქ პირში შეთანხმების თვალსაზრისით ღირებულებას იძენს სახელის ფუნქციონალური კვალიფიკაცია - როგორია ის: მთავარი, თუ არამთავარი; Ag (სუბიექტური), P (პირდაპირ-ობიექტური), თუ - Ad (ირიბ-ობიექტური). ამათგან III პირის მთავარი სახელი ყოველთვის ითანხმებს ზმნას პირში, არამთავარი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის P, და თუ მასთან ერთად ზმნასთან არ კომბინირებს I/II პირის მთავარი სახელი:

მთავარი	არამთავარი
კაცი ხატავ-ს სურათს	კაცი ს-წერს წერილს დედას
სურათი იხატებ-ა	კაცს მო-ს-წონს გოგო
კაცს დაუხატავ-ს სურათი	მაგრამ: მეჭეწერ წერილს დედას
კაცს უყვარ-ს ბავშვი	კაცი ჯხატავს სურათს

რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ღირებულებას იძენს აგრეთვე III პირის ერთი სემანტიკური ნიშან-თვისება - „სულიერობა“. III პირის სახელი ზმნას რიცხვში ითანხმებს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის სულიერი სახელი და, ამასთანავე, სუბიექტი გამონათქვამისა:

„კაცები ([+სულ.]) დგანან“, მაგრამ „სახლები ([-სულ.]) დგას“
„კაცებს (S) უყვართ“, მაგრამ „კაცს უყვარს ბავშვები (P)“
აღნიშნული (I-II) კანონზომიერებანი შეიძლება განზოგადდეს III.

კანონზომიერების სახით:

III. I და II პირის სახელები პირისა და რიცხვის აღნიშვნის თვალსაზრისით ფუნქციონალურად თანაბარი ძალიხანი არიან და უპირისპირ-დებიან III პირის სახედს, რომელც ამ თვალსაზრისით უფრო შეზღუდუ-ლია, დამატებით პირობებს მოითხოვს და იერარქიულად უფრო დაბალ საფე-ხურზე მდებარეობს: I/II > III (შდრ. (82)).

კომუნიკაციის აქტში მონაწილე (I/II) ა არამონაწილე (III) პირების განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთულობა მორფოლოგიური მარცვნილებების დაპირისპირებაშიც ვლინდება: I/II პირი ზმნაში აღი-ნიშნება პრეფიქსებით, III პირი კი - სუფიქსებით.¹ I/II პირის ნა-

¹ მორფოლოგიური მარცვნილებების ასეთმა დაპირისპირებამ საფუძვლი- მისკა ალ.ონიანს III სუბიექტური პირის სუფიქსური ნიშნები ქართულ- მეგრულ-ჭანურში მეორეულად მიეჩნია (19, 1978).

ცვალსახელები არ იბრუნვის (ე.ი. ნებისმიერი როლის მქონე მთავარი - არამთავარი, 5-0, თემა - რემა... I/II პირის სახელი ყოველთვის ერთ-სა და იმავე, ე.წ. აბსოლუტურ ბრუნვაშია), III პირის ნაცვალსახელები კი იბრუნვიან (განსხვავებული როლის, 5-0, მთავარი წევრობის, თემა - რემა კარგეორიების მიხედვით წარმოადგენილნი არიან სახელობით, მოთხრობით ან მოცემით ბრუნვაში).

კიდევ უფრო ძლიერად ჩანს I-II პირთა ფუნქციონალური იგივეობა და I/II-ს III დიქტომია რიცხვში შეთანხმებისას: I/II პირის მრავლობითობა ზმნაში აისახება ართგვაროვნად -თ სუფიქსით, მესამე პირისა კი-განსხვავებული სუფიქსებით: -ენ, -ნენ, -თ, -ეს...

7.4. როგორც ჩანს, ყოველივე ეს გარკვეული ასახვაა [+პირი] ს [-პირი] კორელაციისა, რომლის მიხედვით კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირები (I/II) უპირისპირდება კომუნიკაციის აქტში უშუალოდ არამონაწილე (III) სახელებს.

სახელთა ასეთი ბინარული დანაწევრება პირის მიხედვით უნივერსალურია და მის ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ III პირის ნაცვალსახელების არარსებობა - ენათა უმრავლესობაში III პირის ნაცვალსახელი მომდინარეობს ჩვენებითი ელემენტებისაგან (33). მსგავსი ვითარება უნდა იყოს ქართულშიც, სადაც III პირის ნაცვალსახელი იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომლის სემანტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებით აღვადგინოთ შემდეგი სისტემა:

	I პირი	II პირი
„ახლოს“	ეს	ეგ
„შორს“	ის	იგი

რომელიც კიდევ ერთხელ

წარმოაჩენს კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების მარკირებულობისაკენ მისწრაფებას. ეს აღდგენილი სისტემა, როგორც ჩანს, III პირის ნაცვალსახელის წარმოქმნისა და I პირი = II პირი ფუნქციონალური გატოლების შედეგად გარდაიქმნა სისტემად, სადაც „შორს“ ნიშანი სემანტიკურად წარბი აღმოჩნდა:

	I პირი	II პირი	III პირი
„ახლოს“	ეს	ეგ	ის, იგი

და არსაფეხურიანი ბინარული ოპოზიცია გარდაიქმნა ტერნარულ ოპოზიციად, სადაც ამჟამად სემანტიკურად გატოლებულია III პირის ნაცვალსახელები - ის = იგი და სისტემაც ამის გამო გარკვეული სიჭარბით ხასიათდება. თანამედროვე ქართულში ამჟამად ამ ნაცვალსახელების ფუნქციონალური გამოიჯენისაკენ მისწრაფება: ის (მან, მას... გაგრძელებით)

ძირითადად პირის ნაცვალსახელად იხმარება, „იგი“ სახელწოდებით პრუნგაში იშვიათია და ირიბ ბრუნვებში კი (იმან, იმას...) საღიერაჯერო ქართულში ძირითადად ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით იხმარება: იმ სახლმა, იმ სახლს, იმ სახლის...

საზოგადოდ, როგორც ჩანს, კომუნიკაციის აქტის გრამატიკულ გამოკვეთას ქართულში ძლიერი ენობრივი ტენდენცია მართავს, რამდენადაც მისი კვალი ბევრი სხვა გრამატიკული კატეგორიის ანალიზისასაც ჩნდება. მაგალითად, კომუნიკაციის აქტის გათვალისწინება გვეხმარება ქვევის კატეგორიის უკეთ გააზრებაშიც.

7.5. ქართულში ფორმალურად მსგავსი მარცვნილებით გამოიხატება „სათავისო-სასხვისო“ ქვევის ფორმები:

	სასხვისო	სათავისო
I პირი	მ-ი-ხატავს	ვ-ი-ხატავ
II პირი	გ-ი-ხატავს	ი-ხატავ

თუ ამოვალთ იმ თეზიდან, რომ ერთსა და იმავე ფორმალურ მარცვნილებელს სავარაუდოდ მსგავსი სემანტიკაც უნდა ახასიათებდეს (რაც საზოგადოდ, რასაკვირველია, აუცილებელი არაა), შეიძლება წარმოვადგინოთ ამ ფორმების ახლებური ანალიზი:

ი - ფორმალურად ასახავს სიტუაციას, სადაც მოქმედება განკუთვნილია კომუნიკაციურ აქტში მონაწილე პირებისათვის (I/II)! (აქ არა აქვს მნიშვნელობა ეს პირი მოქმედების ჩამდენოდა (როგორც „ვიხატავ“, „იხატავ“ შემთხვევებში), თუ არა („მ-ი-ხატავ“, „გ-ი-ხატავ“).

სიტუაცია, სადაც მოქმედება განკუთვნილია კომუნიკაციის აქტში არამონაწილე პირისათვის (III), ფორმალურად მარკირებულია ი-პრეფიქსით, როდესაც მოქმედება დანიშნულია მოქმედი პირისათვის (ი-ხატავს) და უ-პრეფიქსით, როდესაც - არამოქმედისათვის: უ-ხატავს.

7.6. კომუნიკაციის აქტის რ. ჩანს აგრეთვე მიმართულებითობის კატეგორიის ანალიზისას - ქართულში მიმართულებითობა შეიძლება გადმოცეს ორი თვალსაზრისით: I. სადაც ფიგურირებს მოლაპარაკის პოზიცია და მიმართულება გულისხმობს - „მოლაპარაკისაკენ“ ან „მოლაპარაკისგან“, II. სადაც არ ფიგურირებს მოლაპარაკის პოზიცია (ანუ კომუნიკაციის აქტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს). ორივე ტიპის მიმართულებითობის განსხვავება არაა აუცილებელი და კონკრეტული ენის თავისებურებითაა განპირობებული.

მაგალითად, ქართულში II ტიპის მიმართულებითობა მარტივი ზმნის-
წინებით ვადმოცემა, I ტიპისა კი რთულით, სადაც I ტიპი = II ტიპი
+ „მომ“ (ამომ-, გამომ-, ჩამომ-...), ფორმალური და სემანტიკური ავალსა-
ზრისით სწორედ I ტიპის მიმართულებითობის გრამატიკულობა და რთული
(II ტიპის ზმნისწინების მნიშვნელობა + II ტიპის ზმნისწინის „მომ“-ს
მნიშვნელობა) მნიშვნელობების წარმოქმნა ასახავს კომუნიკაციის აქტის
როლს ქართულში.

7.7. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ქართული ენის ძლი-
ერი მისწრაფება კომუნიკაციის აქტის გრამატიკული გამოკვეთისაკენ,
ამ ტენდენციის ფონზე კი უფრო ნათელი ხდება პირის ნიშანთა განაწი-
ლების დიქტომია - I/II ო III, რაც ქართული პოლიპერსონალიზმის ძი-
რითად ფუნქციაზე მიგვანიშნებს:

პოლიპერსონალიზმის ძირითადი არსია მკმედ პირთან ერთად კომუ-
ნიკაციის აქტში მონაწილე (I/II) პირების გამომკვეთა:

მ-ხატავ-ს / მიხატავ-ს; გ-ხატავ-ს / გიხატავ-ს^I.



ასეთი განსაზღვრა კარგად ხსნის მესამე ობიექტური პირის მარკი-
რების შეზღუდულობას ქართულში: პირდაპირ ობიექტური III პირი არასა-
დეს არ გამოიხატება ზმნაში, ხოლო ირიბ-ობიექტური III პირის მარკე-
ნებლბად მიჩნეული პ-, ს - მორფემები (რომლებიც არღვევენ ირიბი და
პირდაპირი ობიექტების ფუნქციონალურ იგივეობას კომუნიკაციაში მონა-
წილე პირებისათვის: ორივენი ერთი და იმავე მარკენებლებით, მანის
რიგის პირის ნიშნებით, გამოიხატება I/II პირისთვის), როგორც წესი,
ვალენტობის გაზრდასთანაა დაკავშირებული და ამდენად, მკაცრად პირის
მარკენებლად ვერც ჩაითვლება (2, 1982), (81, 1968), პოლიპერსონალიზ-
მის ძირითად ფუნქციად თუ სუბიექტთან ერთად ობიექტის აღნიშვნას მი-
ვიჩნევთ, მაშინ გაუგებარი იქნება III პირის ასეთი მორფოლოგიური შე-
ზღუდულობა.

სწორედ ეს შეზღუდულობა და I/II ო III დიქტომია, კომუნიკა-
ციის აქტის გრამატიკულად გამოკვეთის ძლიერი ტენდენციის ფონზე, გან-
საზღვრავს პოლიპერსონალიზმის ძირითად ფუნქციას ქართულში:

კომუნიკაციის აქტში უშუალოდ მონაწილე, „მიკვეთი“ - „მსმე-
ნელი“ (რესპ. I-II) პირებ.ს გამოკვეთა.

I ფორმის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ერთიროვნად შეიძლება წარმოადგე-
ნილ იქნეს მხოლოდ პრედიქს-სუბიექტური პირი (I/II-პრედიქსული,
III სუბიექტური - სუბიექტური), რაც ფორმალურ დონეზე ა.გაბყრული-
ძის მიერ შემოთავაზებული „პრედიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინ-
ციპით შეიძლება აიხსნას (5, 1979).

7.8. თუ ქართული ენის ზმნის პირიანი ფორმების გენერაციას წარმოვადგენთ პირის აღნიშვნის თვალსაზრისით ღირებულ კატეგორიებს შორის იერარქიული შესაბამისობების გათვალისწინებით, შემდეგ სიღრმისეულ სტრუქტურას მივიღებთ:



წარმოდგენილი სიღრმისეული სტრუქტურა ასახავს შემდეგ ენობრივ ფაქტებს:

პირთა კომბინირების თვალსაზრისით I/II პირი სუბნის III პირს და ისინი ერთმანეთსაგან დამოუკიდებელ სისტემებს ქმნიან, სადა I/II უპირისპირდება III პირს. (ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შეიძლება (სატკიცებურად საპირისპირო) განაწილებას გვიჩვენებენ):

I. თუ I/II პირის ფროს [-მთავარი] მარკირებულია ერთგვარობად (განუჩივლად როგორც $-A_j$ P ან A_j^1), გ-ს რიგის პირის ნიშნებით, III პირის ფროს ერთგვარობად მარკირებულია [+მთავარი] გ-ს რიგით:

მაგალითები:

I/II	III
ის მე (P) უ-ხატავს	ის (S = Ag) ხატავს-ს
ის მე (Ad) მ-ხატავს	ის (S = P) იხატებ-ს
მე (S) შენ მ-ი-ყვარხარ	მას ის (O = P) უყვარ-ს

2. თუ I და II პირების თანხედომის დროს უპირატესობა ენიჭება P -ს და S მარკირებულია \emptyset -ით, III პირების თანხედომის დროს უპირატესობა ენიჭება S -ს და P მარკირებულია \emptyset -ით (ე.ი. I/II-ს ქვესისტემაში ღირებულია P -ს აქტუალიზაცია, III-ის ქვესისტემაში კი - S-ის).

მაგალითები:

I/II	III
მე შენ (P) უხატავს	ის (S) მას (P) ხატავს-ს
შენ მე (P) მხატავს	ის მას წერილს (P) სწერს-ს
შენ მე (Ad) მ-ხატავს	

3. თუ III პირის ქვესისტემაში დაშვებულია ზმნასთან ერთდროულად სხვადასხვა ტიპის ობიექტების (პირდაპირის (P) და ირიბის (Ad)) კომბინირება, I/II პირის ქვესისტემაში ეს გამორიცხულია - არ შეიძლება პირდაპირი ობიექტი (P) და ირიბი ობიექტი (Ad) ორივე იყოს I ან II პირის. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი, აუცილებლად, წარმოდგენილია თავიზაცით (როგორც წესი P):

- ის მე მიხატავს შენ თავს (P)
- ის შენ გიხატავს ჩემს თავს (P)^I

ეს ორი ქვესისტემა თანხედომის დროს ერთგვარ დამატებით დისტრიბუციულ დამოკიდებულებაშია სახელთა როლების² და მთავარი-არამთავარი

I ეს აიხსნება სამაფგილიანი ზმნის კანონიკური სტრუქტურით, სადაც P ჩვეულებრივ III პირის უსლო, არააქტიური სახელია, რომელიც (აქედან უამომდინარე) პირების მიხედვით არ იცვლება (იხ. (81, 1989)). როგორც ჩანს, ამგვარი კანონიკური სტრუქტურა სამვალენტიანი ზმნებისთვის უნივერსალურია.

2 სახელთა როლების გამოჩენა ერთი სიტყვების ტარგლებში გამორიცხულია (იხ. აქვე მე-10 გვერდზე, შენიშვნა 3).

დაპირისპირების განაწილების მიხედვით:

ა) თუ I/II ქვეხისტემიდან აირჩია [+შთავაძი], მაშინ
III ქვეხისტემიდან აუცილებლად უნდა აირჩიოს [-შთავაძი],
და პირიქით, თუ I/II → [-შთავაძი], მაშინ
III → [+შთავაძი]

ბ) თუ I/II ბრის S, მაშინ III იქნება P^I და პირიქით:
თუ I/II ბრის P, მაშინ III იქნება S ან Ad

გ) თუ I/II ბრის P, მაშინ III იქნება S ან Ad

ამასთანავე, შემოდის დამატებითი წესი „პირვეტიკული მონობერსონალობა“ (5, 1979), რომლის მიხედვითაც გამოირჩევა მანამდე დროულ ქართული სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი კომბინაციები: ვ-ს-წერ, ვ-პ-მადლობ...

აღნიშნული ფაქტები: I/II ო III დიქტოგამია, III ბრის ნაღვალ-სახელების მეორეული წარმოშობა ჩვენებითი ნაღვალსახელებისაგან, შთავაძი-ბრამთავაძი სახელების გრამატიკული მარკირებულობა, ზმნის მატისიმბლურად რამირიანობა, ერთდროულად ბრის წარმოადგენის ძირითადი კანონზომიერებანი, ქვეხის კატეგორიაში კომპლექსივის აქტის ახასიათება, I ტიპის მიმართულებითობის არსებობა და, საბოლოოდ, კომპლექსივის აქტის გრამატიკული მარკირებულობისაგან მოსწრაფება - დამახასიათებელი სხვა ქართული (მეგრულ-ჭანურის და სვანურის) ენებისადმი და, მაშასადამე, ამ ენებშიც პოლიპერსონალიზმის შესავსენი უნდა იქნას აღნიშნული ფაქტები. ამ ფაქტების სასარგებლოდ მეტყველებს მეგრული და ჭანურის კიდევ რამდენიმე დამატებითი, უნაზრდო ფაქტი, კერძოდ: მეგრულში I/II ბრის ფორმებისათვის ზმნებში ჰვატეს დაბოლოება -ქ (ჭანურში, შესაბამისად, -ჩ), რომლის სრულ-ტიპი და ფუნქცია გასაკვირვებელია: პ-ჭანურ-ქ, ჭანურ-ქ, ჭანურ-ს (იხ. (10)).

თუ გავითვალისწინებთ ქართულს (და თვით-მეგრულ-ჭანურს) მონობერსონალობას, სადაც აშკარად ჩანს კომპლექსივის აქტში მონაწილე - ბრამთავაძი ბრების ბინარული დამირისპირება, მეგრულის აღნიშნული ფორმების შედარება გაანალიზდეს, როგორც ამბვე კატეგორიის მარტოადაქორთი გამოხატულება; ანუ: კომპლექსივის აქტში მონაწილე ბრების აღნიშნულობა

I ამ შემთხვევაში I/II ბრის S ზმნის მარკირებული იქნება ვ-ს რიგის ნიშნებით; მაგ.: ვ-სადამე, ხატად... ვ-ს რიგის ნიშნებით იქნება მარკირებული ზმნის, აგრეთვე, I-ის II ბრის შთავაძი სახელი, თუ ზმნა ერთადგილიანია (ან ერთადგილიანი): ვ-დამე-ვ-ბრ, ვ-ბრ-ვ-ბრ...

6. ქართული ენის ტიპოლოგიის საკითხები

(ქ) სუფიქსით, არამონაწილენი კი - (-ს)!

გარდა ამისა, მეგრულში რიცხვის აღნიშვნის დეკლინაციის გვაქვს დამატებითი კანონზომიერება:

I/II პირის სახელთა სიმრავლე (განურჩევლად მათი როლისა - ნ, თუ 0; მოქმედი, თუ სამოქმედო; თემა, თუ რემა) ყოველთვის გამოიხატება ერთი და იმავე ა- სუფიქსით. III პირისათვის კი მხოლოდ სუბიექტის (თემის) სიმრავლეა ასახული ზმნაში სხვადასხვაგვარი სუფიქსებით: -ან, -ეს, -ნ.

სვანურში, წამოყენებული ღებულების საწინააღმდეგოდ მეტყველებს III სუბიექტური პირის პრიფიქსული მარცვნილებელი ლ-, რომელიც სვანურის სხვადასხვა დიალექტში გვხვდება ლ- წინდებულისა ზმნურ ფორმებში ა- და ნ- აღოფონების სახით (19). ამგვარად I/II-ს III ბინარული დაპირისპირების განსხვავებული მორფოლოგიური მარკირებულობა, რაც ასევე მკვეთრად გამოხატული ქართულში და, განსაკუთრებით, მეგრულ-სვანურში (-ქ (-რ) სუფიქსებით), მოხსნილია სვანურისთვის, მაგრამ ამ დაპირისპირების ფუნქციონალური დაკვირვება, დანარჩენი ენობრივი ფაქტების გათვალისწინებით, კვლავ რჩება და მას კიდევ რამდენიმე დამატებითი არგუმენტი ამაგრებს:

1. ინკლუზივ-ექსკლუზივის გრამატიკული კატეგორიის არსებობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გრამატიკულად განსხვავებულია სიმრავლე, სადაც მხოლოდ კომუნიკაციის აქტში მონაწილე „მეტყველი“ + „მსმენელი“ (resp. I/II) პირები ერთიანდებიან (ინკლუზივი), სიმრავლისგან, სადაც „მეტყველ“ პირთან ერთად გამორიცხულია, არ ერთიანდება „მსმენელი“ (II პირი) (ექსკლუზივი); გარდა ამისა,

2. სვანურში I ტიპის მიმართულებითობის გრამატიკულობას ამაგრებს მისი II ტიპის მიმართულებითობისაგან განსხვავებული უნარი გარკვეული გავლენა იქონიოს სხვა კატეგორიის (კერძოდ, პირის) მარცვნილებებზე. ეს ურთიერთდამოკიდებულება I ტიპის ზმნისწინებსა და პირის ნიშნებს შორის საკმაოდ რთულია და რამდენიმე წესის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს (19, 1978).

ამგვარად, სვანურისთვისაც ძალაშია I/II-ს III დაპირისპირების ბინარულობა და, ამდენად, აქვე პოლიპერსონალიზმის ძირითად ფუნქციად კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების მარკირება უნდა მივიჩნიოთ.

1 I/II პირების შემდგომი ფორმალური დიდერენციალური ანალიქსის საშუალებით განხორციელდა და, ამდენად, სუფიქსური საერთო მარცვნილებელი (-ქ) შენარჩუნებულ იქნა. (იხ., აგრეთვე, მსჯელობა 53-ე გვერდზე).

2 ეს კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ პოლიპერსონალიზმის ფუნქცია არც მეგრულ-სვანურში უნდა იყოს სუბიექტ-ობიექტის გარჩევა, რამდენადაც ისინი მრავლობით რიცხვში მსგავსი მორფოლოგიური მარცვნილებებით გამოიხატება.

თქვამს აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანურში ქართულ-მეგრულ-ჭანურის-
გან განსხვავებით:

1. ეს დაპირისპირება ნეიტრალიზებულია მორფოლოგიურ დონეზე მხო-
ლოდითი რიცხვის სახელებისთვის, რომლებიც ერთგვაროდ, პრეფიქსული
მაჩვენებლებით გამოიხატებიან: I პირი - ხჷ- ო გჷ-, II პირი -
ხ- ო ჯ-, III პირი - ღ- ო ხ-.

აქედან გამომდინარეობს სვანურის მეორე თავისებურება:

2. სვანური ძირითადად ერთპირიანი ენაა, რამდენადაც სვანურშიც
მოქმედებს „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი და რადგან აქ
ზმნაში პირის აღნიშვნა მხოლოდ პრეფიქსულია, ერთდროულად რამდენიმე
პირის წარმოდგენა შეუძლებელი ხდება, თუ არ სუბიექტის რიცხვზე მითი-
აებით.

ერთპირიანობა არ ცვლის სვანური ზმნის პოლიპერსონალიზმას, რამ-
დენადაც აქაც გვაქვს ორი ფუნქციონალურად განსხვავებული რიგი მთა-
ვარი - არამთავარი სახელების მარკირებისთვის, რაც ძირითადად I/II
პირების გრამატიკულ რეალიზაციას ემსახურება და, ამგვარად, პოლიპერ-
სონალიზმის აღნიშნული ძირითადი ფუნქცია აქაც ძალაში რჩება.

მაშასადამე, ოთხივე ქართველურ ენაში (და ე.ი. საერთო-ქართვე-
ლურშიც) მოქმედებს კომუნიკაციის აქტის გრამატიკალიზაციის ძლიერი
ტენდენცია, რომლის ფონზეც აშკარაა I/II-ს III დიქტომია და პოლიპერ-
სონალიზმის ძირითადი ფუნქცია: ზმნურ ლორმაში კომუნიკაციის აქტში მო-
ნაწილე პირების („მეტყველი“ - „მსმენელის“) გრამატიკული მარკირება².

7.10. მეტყველი პირის დვალთახედეა აისახება „უნახაობა; თურ-
მეპირობის“ გრამატიკულ კატეგორიის ღორპირებისასაც: წარსულში შეს-
რულებული ისეთი მოქმედება, რომელიც მეტყველი პირისათვის უცნობი,
უნახავია („ის თურმე მოსკოვში ცხოვრობდა „მას მოსკოვში უცხოვრია“,
„ეს წიგნი თურმე კარგმა მწერალმა დაწერა“ = „ის წიგნი კარგ მწერალს
დაუწერია“...) ქართულში (და ქართველურ ენებში) ზედაპირულად გადმო-

1 მრავლობით რიცხვში ეს დაპირისპირება სვანურშიც არის რეპრეზენტე-
რებული მორფოლოგიურ დონეზე სუბიექტური მაჩვენებლების დაპირისპი-
რებით: -ღ (I/II პირი) - ხ (III პირი).

2 ძვ. ქართლის მონაცემები თითქოსდა ეწინააღმდეგება ამგვარ ანალიზს,
თუ გავითვალისწინებთ III ობიექტური პირის შ-, ს-მაჩვენებლებს და
ე-ს-, ე-შ- პრეფიქსულ მიმდევრობებს, საიდანაც გამოდის, რომ ობიექ-
ტური პირი თითქმის ყოველთვის (გარდა სახელობითი დასმული ობიექტი-
სა) იყო წარმოდგენილი ზმნურ ღორმაში. ამ დებულებას ისიც ამაგრებს,
რომ ძვ. ქართულში შესაძლებელია პირდაპირ ობიექტური პირის მრავლო-
ბითობის ასახვა ზმნაში, მაგრამ: ეს ე-შ-, ე-ს-, მიმდევრობები
ხანმოკლე-შავმეტე ტექსტების ინოვაციის შედეგია, სადაც ხჷ-(პჷ-)
მიმდევრობები გვქონდა. ეს მიმდევრობები, „პრეფიქსული მონოპერსონა-
ლიზმის“ პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა ყოფილიყო ამოსაღარი და,

ცემულაბა ე.წ. ინფერსიული ფორმები (იხ. მსჯელობა 33-ე გვერდზე), ანუ, რეალურად მოქმედი ბირი, რომელიც შეტყვევლისაფის უნაბია (როგორც ამ მოქმედების ატორი) გადმოცემულია აბამთავარი წევრისათვის დამახასიათებელი მ-რის ბირის ნიშნებით, სამოქმედო რბიექტი კი, რომელიც სახეზეა კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტში, (ე.ი. ცნობილია შეტყვევლი ბირისათვის), მარკირებულია მთავარი წევრებისათვის დამახასიათებელი გ-რის ნიშნებით. შედეგად მიიღება ე.წ. პერფექტული (III სერის) ფორმები, სადაც მოქმედების რეზულტატის პარტიკიდან არის გადმოცემული წარსულში შესრულებული მოქმედება: [„წიგნი დაწერა მწერალმა“ + „ეს წიგნი სახეზეა“ + „შეტყვევლისათვის დაწერის ფაქტი უნაბია“] → „ეს წიგნი მწერალს დაუწერია“. თუ მოქმედების ატორია I/II სახელი, „უნაბიაბის, თურმეობიაბის“ მნიშვნელობა ლაკრურად გაუგებარი ხდება (შეტყვევლს უნდა ახსოვდეს, უნდა იყავდეს აფის მიერ განდელი ან რადენილი მოქმედება), ამდენად, ამგვარ ფორმებთან („მეცხაფის“, „წამიკიანაბის“, „მინაბის“...) „უნაბიაბის“ სემანტიკა იმდენად კატეგორიული არაა და აღნიშნული ფორმები, მეტად, შეტყვევლის ნაკლებ აქტიუბაზე, მის გულმთვიწყობაზე, მისი ნებელობის საწინააღმდეგოდ რადენილ მოქმედებაზე მიგვანიშნებენ.

იგივე შეიძლება ითქვას უარყოფით ფორმებზე: უარყოფით უკვე გულისხმობს გარკვეულ ელენას და ამდენად „უნაბიაბია“ ამგვარ მარტებთან ნაკლებ სავარაუდოა: „არ წაუკიანაბის“, „არ შეუსრულებია“, „არ შესრულებულია“, „არ მინაბის“... აქ უარო მეტად შეტყვევლი ბირის გაკვირდება იგულისხმება: „არ გამოკვირებია“ და „არ გათაკვიყო“ ერთმანეთს უბირისპირდება მხოლოდ კატეგორიულობის მიხედვით, პირველში უბრალო უარყოფაა, მეორეში კატეგორიული: „არ გათაკვიყო“ - შეგნებულად; „არ გამოკვირებია“ - შეუგნებლად, მოქმედის ნებელობის გაჩეში.

როგორც ამას ასაბუთებს თ. გამყრელიძე, მამდინარეობს I სუბიექტური ბირის ხე - მარტენებლისაფან (5, 1979). ამდევ აბას ატორებს თ. მინაბის თავის ნაშრობში (19, 1978).

- 1 საზოგადოდ, მ-ს რის ბირის ნიშნები დამახასიათებელია „უნებური“ მოქმედების აღსანიშნავად: „უნებია გამოკვიდა“ (უნებურად), (შედა „შედა გავტეხე“), „ფული შეშობნაა“ (უნებურად) (შედა „ფული დაგნაა“) ... აქ მ-იანი ფორმები უნებურ მოქმედებას ასახავენ; ე-იანი ფორმები კი უარო კატეგორიულია და შეგნებულ ქმედებაზე მიგვანიშნებენ.
- 2 ამიტომაც „ვერ“ უარყოფა III სერის ფორმებისათვის ნაკლებ დამახასიათებელია: „ვერ წამიკიანაბის“, „ვერ მინაბის“ ... რადგან ამ შემთხვევებში პარტიკიდანის მიხედვით სემანტიკურად ჰარბი მნიშვნელობები მიიღება.

ჩამდენადაც III სერიის ზმნულ ფორმებში შეყვანილი პირის პაზიციის ასახვა უფიქრებელი ფაქტია, კომუნიკაციის აქტის როლზე ამ კატეგორიის ფორმირებაში ეჭვს არ იწვევს.

ამგვარად, ქართულური ენებისათვის სემანტიკურად ლამინანტურ კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ „კომუნიკაციის აქტისათვის მთავარი წევრობის“ კატეგორია, რომლის მიხედვითაც ხდება $Ag-P-Ad$ როლებზე ფუნქციონალური კვალიფიკაცია და რომელიც ზედაპირულად ჩეილიზებულა:

- 1. მანისა და ცინის რიგის პირის ნიშნების ოპოზიციით;
- 2. გამომხატავს კომუნიკაციისათვის „არამთავარ“ წევრს,
- 3. კი - „მთავარს“;

2. I/II ო III დიქტომოზიითა და I/II > III იერარქიით: I/II („მთავარი“) ყოველთვის აღინიშნება ზმნაში, III პირი კი გარკვეული პირობებში;

3. ბოლობერსაწინააღმდეგობის ძირითადი ფუნქციით: I/II პირების გრამატიკული მარკირება;

4. ტუვის ფორმებით: თუ P ტუვის „მთავარ“ სახელს, ზმნაში ჩნდება n - პრეფიქსი, თუ - „არამთავარს“ ჩნდება n - ან ny - პრეფიქსები იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა ეს „არამთავარი“: S (მთავარ ჩნდება n -), თუ P (ჩნდება ny -);

5. მიმართულებითობის კატეგორიის ათვისებულებით: „მთავარი“ წევრებისაკენ მიმართული მარკირება აღინიშნება მო-იანი რაული ზმნის-წინებით, „არამთავარისკენ“ კი - მარტოვით;

6. უნახაობის კატეგორიის გრამატიკულობით: უნახავე მარკირება გადმოიყვამ III სერიის ზმნულ ფორმებში, არაუნახავე კი - I/II სერიის ზმნულ ფორმებში და სხვ.

7. II. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულური ენებში ძირითადი „კომუნიკაციის აქტისათვის მთავარი წევრობის“ კატეგორიის გრამატიკული მარკირება და P-ს აქვს ალიზაციაც სწორედ ამ კატეგორიას ლევიტირება და გარკვეულ სახესხვაობას იღებს:

სახეგადამ, კომუნიკაციის აქტში მონაწილე I-II პირები (განსაკუთრებით კი I/II პირის P.) ყოველთვისაა მარკირებული ზმნაში სპეცი-

I საკამათო შეიძლება იყოს კონკრეტულად რა სახისაა ეს დამოკიდებულება, ანუ რა სემანტიკაა ამ ფორმების განმსაზღვრელი. „უნახაობის“ კატეგორიის ოპოზიციის ქართულში (და, განსაკუთრებით, ძველ ქართულში) ბევრი კრიტიკულად აფასებს (16), (24), (25), თუმცა ამის საწინააღმდეგოდ, მრავალი არგუმენტი და დასამოწმებელი მასალა მოაქვს ყოველ ქართულური ენისა (1), (20), (26), და ძველი ქართულიდან (18).

დოკური ნიშნებით. ზედაპირულად P -ს ამგვარი აუცილებელი გამოკვეთა
ემსჯაესება ერგატოულ კონსტრუქციას, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავ-
ებულა მისგან, რამდენადაც აქ არა საერთოდ სშ-ს განმსახვრელი P ,
არამედ მხოლოდ კომუნიაციის აქტში მონაწილე I/II პირის P არის აქ-
ტუალიზებული.

როგორც ჩანს, ენებში, სადაც ძირითადია „კომუნიკაციის აქტში
მონაწილე პირების“ გამოკვეთა, P -ს აქტუალიზაცია (რომლის ძლიერი,
უნივერსალური ტენდენცია, ბუნებრივია, ამ ენებშიც მოქმედებს) სწორედ
ამ კატეგორიას უკავშირდება: I/II პირის P ყოველთვისაა გამოარჩეულად
მარკირებული, III პირის P კი - სხვადასხვა პირობებით. მაგალითად,
ქართულში III პირის P -ს აქტუალიზაცია დროების მიხედვით განსხვავე-
ბულად ხორციელდება: 1. აწმყოსა და საერთოდ I სერიის ფორმებში განსა-
კუთრებულ ღირებულებას იძენს მოქმედი (S) - სამოქმედო (O) სახელო-
ბის დაპირისპირება (იხ. მსჯელობა 27-ე გვერდზე), რაც ზედაპირულად
ნომინატორი კონსტრუქციებით აისახება. ამ შემთხვევაში კი P -ს აქ-
ტუალიზაციის ყველაზე ეფექტური საშუალება პასივიზაციაა; 2. წარსულ-
ში (და საერთოდ II სერიის ფორმებში) კი განსაკუთრებულ ღირებულებას
იძენს P -ს აქტუალიზაცია სშ-ს მიხედვით (იხ. მსჯელობა 27-28-ე გვერ-
დებზე) და შედეგად ეღებულობთ ერგატოულ (აქტიურ) კონსტრუქციებს;
3) III სერიის პერფექტურ ფორმებში P -ს აქტუალიზაცია, როგორც ეს მა-
სალოდნელიც იყო, ხორციელდება პერფექტული კონსტრუქციებით, რომელთა
ფიქტორული განვითარების შედეგადაც წარმოიქმნა ე.წ. ინვერსიული
(მეორადი ერგატოული) კონსტრუქციები (62), (59).

ამგვარად, ყოველ სერიაში განსხვავებულად ხორციელდება P -ს
აქტუალიზაცია, იმისდა მიხედვით, ვთ რამელი კატეგორია იკავებს იე-
რატქიულ ჯაჭვში შემდგომ საფეხურს:

- I სერია: I/II ო III > S/O > სშ (> აქტიურობა);
- II-III სერია: I/II ო III > სშ (> აქტიურობა).

7.12. ქართულურ ენათმეცნიერების სემანტიკურად დომინანტური კატეგო-
რიის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულურ ენებში
ერგატოული (მოთხრობითი) ბრუნვის გენეზისის გარკვევას. როგორც უკვე
აღვნიშნეთ, ობიექტური სინამდვილე ყოველ ენაში აისახება ზმნასა და
სახელებს შორის არსებულ თვისებურ ლინგვისტიკურ კავშირებით, რაც ფორმალ-
ურად განსხვავებული მარკერებით, სახელებისათვის დამახასიათებელი

1 შდრ. კატეგორიის მოსახრებას, რომელიც ქართულისათვის დროების
მიხედვით სამ განსხვავებულ ამოსავალ (სიორმისიურ) სტრუქტურას
დარაოდებს (82).

სპეციფიკური ბრუნვათა ყალიბებით გამოიხატება. ბრუნვები ძირითადად განასხვავებენ სახელთა ფუნქციებს - პირდაპირი, არამარკირებული ბრუნვით წარმოდგენილია ის სახელი, რომელიც ამა თუ ის ენობრივი კოლექტივის მიერ მიჩნეულია მთავარ სახელად და რომელიც ობიექტური სიტუაციის წარმოდგენისას ათვლის წერტილს წარმოდგენს; ხოლო ირიბი, მარკირებული ბრუნვით წარმოდგენილია ის სახელი, რომელიც ფუნქციონალურად მეორეხარისხოვან ყვალფიკაციას იღებს. ენები განსხვავდება იმისა და მიხედვით, თუ რომელი სემანტიკური კატეგორიის მიხედვით ხდება სახელების გადაწვევა "მთავარ" ან "არამთავარ" სახელებად. ასეთ კატეგორიას სემანტიკურად დომინანტური შეიძლება ეწოდოს. სწორედ ის განსაზღვრავს სახელთა ბრუნვის მოდელს, ამ მოდელის მიხედვით კი ენები იყოფა, ძირითადად, ნომინატიური, ერგატიული და აქტიური ტიპის ენებად. ნომინატიურ ენებში ობიექტური სიტუაციის წარმოდგენისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტ-ობიექტის კატეგორიას, რომლის მიხედვით ხდება სახელთა დიფერენციაცია "მოქმედ" ან "არამოქმედ" სახელებად ისე, რომ მოქმედი სახელი მარკირებულია პირდაპირი, ნომინატიური ბრუნვით; არამოქმედი სახელები კი ირიბი ბრუნვით - აკუსატივით ან დატივით. რაც შეეხება ერგატიული ტიპის ენებს - აქ ობიექტური სიტუაციის წარმოდგენისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სახელების ზმნებთან სემანტიკურ შეთანხმებულობას იმგვარად, რომ სახელები, რომლებიც ითანხმებენ ზმნას სემანტიკურად (გარდაღვადის \bar{N} და გარდამავლის \bar{P}) წარმოდგენილი არიან პირდაპირ ბრუნვაში; ის სახელები კი, რომლებიც არ ითანხმებენ ზმნას (გარდამავლის \bar{Ag}) - ირიბ, ერგატიულ ბრუნვაში. აქტიურ ენებში დომინანტური კატეგორიაა "აქტიურობა", რომლის მიხედვით განსხვავდებიან ობიექტურ სიტუაციაში მონაწილე "აქტიური" (მარკირებულნი პირდაპირი ბრუნვით) და "არაქტიური" (მარკირებულნი ირიბი ბრუნვით) სახელები. შესაძლებელია სახელები გაუდიფერენცირებულნი იყვნენ ბრუნვების მიხედვით, რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ ტიპის ენებში სახელების დაყოფა მთავარ ან არამთავარ სახელებად არარეღვანტურია - ყველა სახელი ფუნქციონალურად თანაბარი ძალისაა და თავისუფლბრუნად "მთავარი" სიტუაციისათვის. ასეა, მაგალითად, ჩინურ ენაში.

I ჩინური ქვემდებარე (ყველა \bar{S}) ან სხვა რომელიმე სემანტიკური რელიათ თუ ფუნქციით განსაზღვრული სახელი არანაირად არ არის მარკირებული ზედპირულ დონეზე, აქ შესაძლებელია ნებისმიერი სახელის, რომელიც კონკრეტული გაონათქვამის ენობრად, ტოპიკად მიიჩნევა; ზოგადად კოორდება (ხსენად მარკირებული ელემენტით). კოორდის განსაზღვრული მიზნოდება (რომელი სახელი შეიძლება გახდეს კოორდის) ჩინურის მსგავს ენებში არ არსებობს (იხ: (56)).

ქართულსა და ქართველურ ენებში ბრუნვათა განსხვავებული მოდე-
ლებს ცხედებით. ძირითადად გამოიყოფა სახელოა ორი ურთიერთდაპირისპი-
რებული ქვესისტემა: პირველ ქვესისტემას შეადგენენ I და II პირის
ნაცვალსახელები, მეორეს კი - მესამე პირის ნაცვალსახელები და და-
ნარჩენი, III პირის, სახელები. I/II ო III დიქტომია, როგორც შემთ-
ადენიშნეთ, საზოგადოდ, დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის.
და ელინდება ისეთი კატეგორიების რეალზაციებისას, როგორცაა: პირი
(I/II პირი ყოველთვისაა წარმოდგენილი ზმნაში გარკვეული ნიშნით,
III პირი კი მხოლოდ გარკვეულ პირობებში - თუ ის არის მოქმედების
ჩამდენი (S) ან ადრესატი (Ad); როცა (I/II პირი ყოველთვის
ითანხმებს ზმნას როცხვში, III პირი კი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის
არის მოქმედების თემა (ქვემდებარე) და სუბიექტი არსებითი სახელია);
ქვიცა (როდესაც მოქმედება განკუთვნილი, დანიშნულია I/II პირისათ-
ვის, ზმნურ ფორმაში ჩნდება ი-პრეფიქსი, ხოლო როდესაც III პირისათ-
ვის - ა- ან უ- პრეფიქსები, იმისდა მიხედვით III პირი მოქმედების
ჩამდენია (ჩნდება ი-), თუ ადრესატული სახელია (ჩნდება უ-)

ბრუნვათა ორი განსხვავებული ქვესისტემა თავისებურად ასახავს
I/II ო III დიქტომიას და განსხვავებულ ბრუნვათა მოდელებს ქმნის.

I ქვესისტემა: I/II პირის ნაცვალსახელები ზედაპირულ სტრუქტურ-
ებში საერთოდ არ განიხილება ფორმალურად თავიანთი როლისა, თუ
ფუნქციების მიხედვით. მაგ.:

ქართული	მეგრული	სვანური
მე (S) ვეგავარ	მე ვევერქ	მე ხჳგ
მე (Ag) ვხატავ სურათს	მე ვხანტლქ სურათს(ი)	მე ხჳხატავ
ის ვხატავს მე (P=O)		ეჳა ვხატავი მე
მე ვიხატავს მე (Ad)	თნა ვხანტლს(ი) მე	ეჳა ვიხატავი მე
სურათს	თნა ვიხანტლს(ი)	მე ხჳხატავ
მე (აქტიური S) ვეხატავ და სხვ.	მე ვახანტლქ	

ი.ი. I და II პირის მხოლოდითი და მრავლობითი როცხვის ნაცვალსახელები
არ იბრუნვებიან და ყოველ მათგანს ერთადერთი ფორმა გააჩნია.

ქართული	მეგრული	სვანური
მე ჩვენ	მა ჳქი // ჩქუ	მი ნჳა
მინ მევენ	სი აქვა	სი სგჳა

I გამოწვევისა მე-ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის სტრუქტურის
ფორმისაგან ნაწარმოები ფორმა ჩქუ - როგორც დამოუკიდებლად ან ის-
მარტა - მხოლოდ თანხმობისთან ერთად. ...
შესახებ...

ამდენად, I ქვესისტემა ასახავს იმ ფაქტს, რომ განსხვავებული როლისა, თუ ფუნქციის მქონე I და II პირის სახელებს თანაბარი ფუნქციონალური ღირებულება გააჩნია - ისინი ფორმალურად არ განსხვავდებიან თავიანთ როლის შესაბამისად და არ არიან დიდფერენცირებულნი მთავარი არამთავარ სახელებად - ყოველი მათგანი თანაბრად ღირებულია სიტუაციისათვის. ამგვარია ქართველურ ენათა თავისებურება, რაც ქართული ენობრივი ცნობიერების სპეციფიკურობით აიხსნება.

განსხვავებული ვითარებაა III პირის სახელთა ქვესისტემაში. აქ სახელები განსხვავდებიან როლების (Ag-P-Ad) მიხედვით და ყოველ ფუნქციონალურად განსაზღვრულ სახელს (S-O) თავისი სპეციფიკური ბრუნვა ახასიათებს. ამ ბრუნვათა სხვადასხვაგვარი კომბინაციებით იქმნება განსხვავებულ ბრუნვათა მოდულები, რომლებიც გადაწოდებულია დრო-კილოთა მიხედვით და, თავის მხრივ, განსხვავებულ ქვესისტემებს ქმნიან: ყველა ქართველურ ენაში აწმყოსა და მასთან დაკავშირებულ დრო-კილოთა ფორმებში გვაქვს ნომინატიური მოდული; წარსულსა და მასთან დაკავშირებულ დრო-კილოთა ფორმებში კი ერგატული (უფრო ზუსტად, გავრცობილ-ერგატული, აქტიური) მოდული (ქართულსა და სვანურში). დატიური მოდულით ერგატულ ენათათვის დამახასიათებელი მიმართებებია რეალიზებული ყველა ქართველური ენის პერფექტულ დროებში. თანაც განსხვავებული ვითარებაა მეგრულის წარსულის დრო-კილოთა ფორმებში - აქ ერგატული ბრუნვა ახასიათებს არა მხოლოდ გარდამავალი ზმნის Ag-ს, არამედ გარდაუვალის S-საც. ე.ი. მეგრულისთვის ფაქტიურად ნომინატიური კონსტრუქციებია დამახასიათებელი წარსულის დრო-კილოთა ფორმებისთვის. მხოლოდ ინფინიტივ-ნომინატიური, რამდენადაც მთავარი სახელი აქ მარტივულია არა პირდაპირი, არამედ ირიბი, ერგატული ბრუნვით, არამთავარი სახელი კი - ბირუაპირით, ნომინატივით. რაც შეეხება ზვანურს, აქ დროთა მიხედვით განსხვავებული მოდულები არ გამჩიყლავ და განურჩევლად დროებისა რეალიზებულია ერგატული (>აქტიური) კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელი მიმართებები.

ამგვარად, აკ. შანიძის მიერ გამოყოფილი ზმნურ ღორმათა სამი სერიას ასახავს სამ განსხვავებულ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი,

I ფუნქციონალური განსხვავება მხოლოდ ზმნურ ფორმებში პირთა კომბინაციებისას შეიმჩნევა: S პირი აისახება ვინის რიგის ნიშნებით, O კი მანის; და მათი კომბინირების დროს O პირი სუბნის S, მაგა: და-მ-ხატე შენ (S) მე (O), და-გ-ხატე მე (S) შენ (O).

7. ქართველურ ენათა ტოპოლოგიის საკითხები

ობიექტური სიტუაციისადმი და ნათელი დადასტურებაა იმ სემანტიკური უნივერსალებისა, რომელთა მიხედვით ერთგვარად მოდელი უფრო მეტად წარსულის დროთა ფორმებისათვისაა დამახასიათებელი, ნომინატიური კი - აწმყოსი (34), (95) (იხ., აგრეთვე, მსჯელობა 27-28 გვერდებზე).

I/II პირის ნაცვალსახელების ბრუნვათა სისტემიდან III პირის სახელების ბრუნვათა სისტემამდე ერთგვარად გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს III პირის (ჩვენებითი) ნაცვალსახელები, რომელთა ბრუნვის სისტემაში გამოვლენილი ფუძეთა სუბლექტივიზმი ასახავს ბინარულ დაპირისპირებას პირდაპირ (ეს, ეგ, ის, იგი) და ირიბ (ამ-, მაგ-, იმ-, მათ-) ბრუნვებს შორის. გადანაწილება პირდაპირი და ირიბი ბრუნვებისა III პირის ნაცვალსახელთა ფუნქციებისა და შესაბამისად II ქვესისტემის ნომინატიურ, ერთგვარად და დატიურ ბრუნვათა მოდელების ფუნქციონალური გადანაწილების კოლექსია.

ბრუნვათა მოდელების განსხვავებულ ქვესისტემას ქმნიან ე.წ. აფექტური, გრძნობა-განწყობის (ფიზიკური, აუ ემოციური) ზმნებით მიყვარს, მომწონს, მუცია, მაცანკალბს, მშია, შეშინია, შემღერება... ეს ქვესისტემა ასახავს იმ ფაქტს, რომ კოლექტიური ენობრივი ცნობიერებას მიერ ამ ზმნებით ასახულ სიტუაციაში მთავარ სახელად მიჩნეულია (და, ამდენად, ნომინატივიტა მარკირებულია) ემოციის გამომწველი პასიური (აქტიური) სახელი და არა მოქმედი, S :

მყვარს, შეღერება

ქართული: დედის უყვარს შეღერება

სვანური: დის ხაღბტ გეხუღ

ამ ტიპის ზმნებით შედგენილ სტრუქტურებში დრო-კილოთა ყველა სერიაში მთავარ სახელად კვლავიფიქირებულია ობიექტი, რომელიც მარკირებულია შესაბამისად პირდაპირი ბრუნვისა, ნომინატივიტა: არამთავარი კი - ირიბი ბრუნვის, დატივიტა .

ამგვარად, ქართველურ ენათათვის სულ ორი ქვესისტემა და ბრუნვათა ხუთი განსხვავებული მოდელი გამოიყოფა:

- I. I/II პირის ნაცვალსახელთა ქვესისტემა - გამოვლენიერება რებელი;
- II. III პირის (ნაცვალ) სახელთა ქვესისტემა-ნომინატიური, ერთგვარად დატიური-I (დრო-კილოთა მიხედვით განაწილებული) და დატიური-II (დრო-კილოთა მიხედვით შეზღუდვებისგან თავისუფალი) სუბლექტივიტა.

ბრუნვათა ამ განსხვავებული მოდელების განსხვავებული გარკვევითა-ცის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთგვარად, მოთხოვნილი ბრუნვის წარმოშობის სემანტიკური ფაქტორების გაანალიზებას. ამ მიზნით დაგეგმულად I ქვესისტემას:

I და II პირის ნაცვალსახელების ფორმალური ანალიზის შედეგად აშკარად გამოიყოფა - ენ ელემენტები: შ-ენ, ჩე-ენ, აქე-ენ. შინაგანი ტექონსტრუქციის მეოთხედი თუ მოვიშველიებთ, პირველი პირის ნაცვალსახელებისთვის შეიძლება აღდგეს *მუენ ფორმა, რომლის გამოვლინებადაც შეიძლება მივიჩნიოთ მენ//მენა დიალექტური ფორმები. ყველა ეს ნაცვალსახელი შეიძლება განიერტოს - ა ელემენტით: მენა, შენა, ჩეენა, აქეენა. ამგვარად, I ქვესისტემის ფარგლებში აშკარად გამოიყოფა ფორმალურად - ენ//ენა ელემენტები. საინტერესოა, რა სემანტიკურ კატეგორიას გამოხატავენ ისინი?

მსგავს - ენ ელემენტს ვხვდებით ვინ // ვინ კითხვით ნაცვალსახელებშიც. I და II პირის ნაცვალსახელებსა და ვინ კითხვით ნაცვალსახელს შორის არსებული ამ ფორმალური მსგავსების გამომწვევად შეიძლება ვივარაუდოთ „პიროვნების“ კატეგორია: I/II, „მეტყველი-მსმენელი“, პირი მყოფელთვის ადამიანი, პიროვნება³; ვინ ნაცვალსახელიც პიროვნების მიმართ დასმულ კითხვაშია მხოლოდ, მაშასადამე, -ენ(ა) ელემენტი შეიძლება კვალიფიკირდეს როგორც [+ პიროვნების] ფორმალური მარკინგული და „პიროვნება“ კი მიჩნეულ იქნეს გრამატიკულ კატეგორიად⁴ I/II პირის ნაცვალსახელთა ქვესისტემაში. საინტერესოა, რომ ვინ ნაცვალსახელისათვის სახელობითი - მოთხრობითი ბრუნვები ფორმალურად დიფერენცირებულნი არაა, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ „პიროვნების“ სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში (I/II პირის ნაცვალსახელები ვინ კითხვით ნაცვალსახელი) ფუნქციონალური გამოყალკელება გარდაამდგის სუბიექტისა (Ag) არ ხდება - ე.ი. მოთხრობითი ბრუნვა (და შესაბამისად ერგატული კონსტრუქცია) ჩამოყალიბებული არაა. თუ გავიხსენებთ საკმაოდ ცნობილ რნივერსალას უმრავლესობა ენებში მესამე პირის ნაცვალსახელის მეორეული წარმომადგენლის შესახებ (33), აშკარა გახდება,

1 იბ.ა. გამყრელიძის ნაშრომი (5, 1959).

2 ზოგიერთი ლინგვისტი ვარაუდობს, რომ ისინი სახელთა მადეტირმინირებული სუბიექტებია (II), (18), (57, 1989).

3 ენის მსგავსებას განტოლებული სახელი ზღაპრულ, ტყუილსტიკურ სიტუაციებში.

4 აღნიშნული კატეგორია არ უნდა აგვირიოს კლას-კატეგორიაში, რადგან კლასის გრამატიკული კატეგორიის არსებობისას - ვინ მარკინგების კვალი უნდა იყოს ნებისმიერ ადამიანის, პიროვნების აღნიშვნელ არსებით სახელში, რაც ფაქტობრივად ქართველურ ენებში არ დასტურდება.

5 ამდენად, ვინ გაუდიფერენცირებელი ფაქტე მოთხრობითის სახელობითად განზოგადების ფაქტს კი არ დასახავს (როგორც ეს მიჩნეულია ქართულ არადიფერენცირებულ გრამატიკაში (26)), არამედ სახელობით-მოთხრობითის ფუნქციების გაუდიფერენცირებლობაზე მიგვანიშნებს ისევე, როგორც I ქვესისტემაში პირის ნაცვალსახელების ბრუნვითა მიხედვით უვარაუდოა - მათ გაუდიფერენცირებლობაზე.

რომ I ქვესისტემა ვინ კითხვით ნაცვალსახელთან ერთად ასახავს იმ პერიოდის ვითარებას, როდესაც ქართველურ ენებში III პირის ნაცვალსახელი დამოუკიდებელ ერთეულად ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო; მისი გენეზისი ჩვენებითი ნაცვალსახელის სემანტიკურ ანალიზზე დაყრდნობით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ (იხ. გვ. 47-48):

	I	II
„ახლოს“	ეს	იგ
„შორს“	ის	იგი

„შორს“ ნიშნის დაკარგვა
III პირის წარმოქმნა

	I	II	III
„ახლოს“	ეს	იგ	ის
			იგი

მესამე პირის ნაცვალსახელის წარმოქმნა, როგორც ჩანს, ემთხვევა ქართველური ენობრივი ცნობიერების ცვლას - სახელთა თანაბარი ფუნქციონალური დატვირთლობა იკვდება ერგატული კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი სახელთა ფუნქციონალური დაპირისპირებით: Ag ო S/P .

„ Ag “, როგორც წესი, უმადლესი აქტიობის მქონე, სულიერი სახელობა, ძირითადად [+ პირიფიკაცია] ნიშან-თვისების მატარებელი, ამიტომ ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მისთვის, [+ პირიფიკაცია] -სთვის დამახასიათებელი ფორმალური ნიშნის $-(g)(d)$ განზოგადება ქართულში. სწორედ ამ ფაქტს უნდა ასახავდეს ჩვენებითი ნაცვალსახელების მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად $-(d)$ ელემენტის დადასტურება ყველა III პირის ჩვენებით ნაცვალსახელთან: იმა-ნ, მა-ნ, მავა-ნ, ამა-ნ. III პირის ნაცვალსახელის მძნ ფორმა კი შემდეგში დაჟღავნებულა Ag -ფუნქციის მქონე დანარჩენ სახელებს და ქართულში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი $-(d)/-(g)$:

კაც იგი > კაცი

კაც მან > კაცმა (26)

ამგვარად, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისი ქართულში უკავშირდება „პირიფიკაციის“ გრამატიკული კატეგორიის მანიფესტაციის გადამხრებას

Ag -ის მარცვრად იმგვარად, რომ სემანტიკურ ფონემა იცნა რა (პირიფიკაცია: არაპირიფიკაცია) დაპირისპირება კვლავ უნდა და ნარკვევად სემანტიკურსა (სახელთა დაყოფა „ვიცნ“ და „არა“ კლასიფიკაცია) უკავშირდება.

1 ერთი და იმავე ღირებულების მქონე სახელებიდან ხდება სემანტიკურ რად შემოიღწმნებელი (მთავარი) სახელების გამოყოფა ვინაიდან პირიფიკაციის ბრუნვით.

2 „მოლაპარაკე“-„მსმენელი“ და ის, ვინც მოყვება უნდა შეიძლება იყოს „მოლაპარაკე“-„მსმენელი“ (ასეთი ძირითადად Ag -ია) აღინიშნება $-(g)(d)$ -ით.

ტიკულ (ბრუნვათა I:II ქვესისტემების დაპირისპირება) ძალას კვლავ ინარჩუნებს.

მეგრულ-სვანურში ეს პროცესი ქართლის მსგავსად წარიმართა, მხოლოდ აქ მოთხრობითის ნიშნად განზოგადდა არა ნაცვალსაბუნებში ზადასტურებული -(ვ)ნ(მაგ., სვანურში: მან, სინ, ჩქინ, თქვან) ელემენტი, არამედ „პიროვნობის“ კატეგორიის - ქ სუფიქსური მარცვნილებელი ზმნებში, რომელთა მეგრულში შენარჩუნებულია აწმყოს ფორმებში: მა მჭარუნ-ქ; სი მჭარუნ-ქ.

ამ -ქ სუფიქსს მეშველი ზმნის ნაშთად მიიჩნევს ქ. ლომთათიძე (10): -ქ ქორენ; და ფუნქციონალურად აწმყოში სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელ მეშველ ზმნებთან აიგივებს. მაგრამ -ქ სუფიქსი შოლდის ყველა ზმნას - გარდამავალსაც და გარდაუვალსაც (გარდამავალ ზმნებთან მისი გაქრობის ფაქტები ფონეტიკურად იხსნება: -უნ-ქაუნ-სთან ერთად იკარგვის ქუ. რომელთა კითხვით ფორმებში, კითხვითობის -ო-ს დარღვისას აღდგება: მჭარუნ-ქ / მჭარუნ-ქაუნ-ქ? და ამდენად სტატიკურ ზმნათა აწმყოს მახასიათებელ ელემენტად ვერ მიიჩნევა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყველა ქართულურ ენაში მოქმედებს I/II ო III დიქტომია და მისი ფორმალურად წარმოდგენისაკენ მისწრაზება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მჭარუნ-ქ; მჭარუნ-ქ; მჭარუნს ფორმებში -ქ (I/II პირი); -ს (III პირი) დაპირისპირება მიტყვევებს „პიროვნობის“ კატეგორიის გრამატიკულობაზე: [+პირი], მარკირებულია -ქ-ით, [-პირი] კი -ს, რომელსაც ერთვის III პირის ნიშანი -ს. სვანურში ამ სუფიქსის მორფოლოგიური კორელატია - რ, თუმცა მოთხრობითის ნიშნად მეგრულის მსგავსად აქაც -ქ-ს ვხვდებით.

რაც შეეხება სვანურს, აქ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის წარმომადგენლობის გარკვევა რამდენადმე რთულდება ფაქტობრივი მონაცემების სიჭრელის გამო - მოთხრობითის ნიშნად სვანურში დასტურდება: -მ// -ემ, -დ, -ნემ// -ემ. ადამიანთა მათ შორის სინქრონულ-დიაქრონიული მიმართებულების დადგენა და დანარჩენ ქართულურ ენათა მონაცემებთან შედარებითად რთულდება, მაგრამ, რამდენადაც ერგატოლოგიის კონსტრუქციების არსებობა გვიხსნის არ იწვევს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერგატოლოგიის კონსტრუქციების განვსაზღვრელი სემანტიკური ფაქტორები მოქმედებდა საერთო ქართულურ ფორმებზე, ხოლო ერგატოლოგიის სემანტიკური რამოყალიბება ხდებდა ამ ენათა დიფერენციაციის (სვანურის გამოყოფის) შედეგად. ვინაიდან სუფიქსური მარცვნილების ენების გათვლით, ქართულურ ნიშნად განვსაზღვრულად წარმოდგენილია ეს ენის ბრუნვის რამოყალიბება აქვს ამ ენათა დიფერენციაციის (სვანურის გამოყოფის) შედეგად. ვინაიდან სუფიქსური მარცვნილების ენების გათვლით, ქართულურ ნიშნად განვსაზღვრულად წარმოდგენილია ეს ენის ბრუნვის რამოყალიბება აქვს ამ ენათა დიფერენციაციის (სვანურის გამოყოფის) შედეგად.

ში - ესაა ნაცვალსახელური ძირითად განსაზღვრული ფუძე (12, 1960), (19, 1978), (27, 1939).

ამდენად, ქართველურ ენებში არსებული ბრუნვათა განსხვავებული მოდელები და განსხვავებული ქვესისტემები ასახავენ, ერთი მხრივ, ენობრივი ცნობიერების დიაქრონიულ ცვლას (I ქვესისტემა > II ქვესისტემა), მეორე მხრივ, აფექტური ზმნების სპეციფიკურობასა და განსხვავებულ დრო-კილოთა სემანტიკისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ქართველურ ენებში ეს გარდაქმნები და უნივერსალური კანონზომიერებები იმგვარად რეალიზდება, რომ ძველის შენარჩუნების ფონზე, ძველი გრამატიკული კატეგორიების მახასიათებელი მარკერების გამოყენებით, ყალიბდება თვისობრივად ახალი ქვესისტემები - სახელთა ფუნქციონალურად გაუდიფერენცირებელი ბრუნვათა მოდელები იზღუდება I/II პირის ნაცვალსახელთა ქვესისტემით, III პირის (ნაცვალ) სახელთა ქვესისტემით კი ასახავს სემანტიკურად ლომინანტური კატეგორიის ცვლას დრო-კილოთა მიხედვით: წარსული დროებისათვის - სემანტიკური შეთანხმებულობა, ობიექტზე ორიენტაცია; აწმყოს დროებისათვის - მოქმედ პირზე ორიენტაცია, S/O დაპირისპირება; პერფექტული დროებისათვის კი მოქმედის აქტიურობის შესუსტება (რასაც ამ დროებისათვის დამახასიათებელი „უნახაობის“ მნიშვნელობა განაპირობებს) და ობიექტის აქტიურობა.

მ.ო. საზოგადოდ, I/II პირის გრამატიკულ-ფუნქციონალური წინ წამოწევა III პირთან შედარებით, არ არის ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი უნიკალური ფაქტი - I/II ო III დიქტომია, როგორც ჩანს უნივერსალური კანონზომიერებაა, რომელიც უფრო ზოგადად ვ.კობერისა და ი. როსის მიერ შემოთავაზებული „Me first“ უნივერსალური პრინციპის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს (84, 67): „აქა-იქ“, „დღეს-ხვალ“, „წინ და უკან“ ... ტიპის შესიტყვებებში რიგი შემადგენელი ელემენტებისა მკაცრად განსაზღვრულია (არ დაიშვება: „იქ-აქ“, „ხვალ-დღეს“...) და თითქმის ყველა ენაში ამ რიგს განსაზღვრავს Me-first პრინციპი: „პირველი ელემენტები შესიტყვებისა მიუთითებენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც აღწერენ პრაქტიკულ მეტყველს (რომელსაც ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში მიიღობით როგორც - Me -ს)“.

გრამატიკულ დონეებზე ამ უნივერსალური პრინციპის რეალიზაციად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქართული და ქართველური ენები. მსგავსი ვითარება უნდა იყოს ბაცბურ ენაშიც.

მ.ი. ბაცბურ ენაში ზმნური ფორმები იცვლება კლასების მიხედვით. სულ მხოლოდ იმში ოთხი კლასი გამოიყოფა: ვ-, ბ-, ა-, დ-; მრავ-

ლობიში კი - სამი: ბ-, ა-, დ-, ისევე როგორც ტიპიურ ერგატულ ენებში, ბაცბურშიც გარდამავალი ზმნის ფორმა ობიექტის კლასს უამოხატავს, გარდაუღვლისა კი - სუბიექტის. ე.ი. ზმნურ ფორმას კლასების მიხედვით. მართავს გარდამავალი ზმნის სამოქმედო (ობიექტური, P) და გარდაუღვალელი ზმნის მოქმედი (სუბიექტური, S) სახელი, რომელიც ყველა დროისა და კილოს ფორმაში სახელობითი ბრუნვის ფორმიტაა წარმოდგენილი (4), (29), (44) მაგალიტაჲ:

გარდაუღვალი	გარდამავალი
სტაკ ვ-ალწ-- კაცუი მოღის	სტაკოვ ფხაკალ დ-შევიც
აოპ, აღწ -- ქალი მოღის	კაცმა კურდღელი მოკლა
ბადერ დ-ალწ-- ბავშვი მოღის	სტაკოვ რა ბ-შევიც
დოვ ბ-ალწ -- ცხენი მოღის	კაცმა დაფი მოკლა
ვასერ ბ-ალწ - კაცები მოღიან	სტაკოვ ფსტუანოა ა-შევიც
ბადრი დ-ალწ -- ბავშვები მოღიან	კაცმა ქალი მოკლა
მახკარ დ-ალწ - ქალები მოღიან	სტაკოვ ვიპე ვ-შევიც
დუა დ-ალწ - ცხენები მოღიან	კაცმა ცაქიშვილი მოკლა

რაც შეეხება გარდამავალი ზმნის სუბიექტის ფორმას, სწორედ აქ იჩენს თავს ბაცბური ენის ერგატული კონსტრუქციის თავისებურება - გარდამავალი ზმნის S, რომელიც ტიპიურ ერგატულ ენებში, როგორც წესი, ერგატულ ბრუნვაშია, ბაცბურში აღნიშნულ ბრუნვაში დგას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის პირველი ან მეორე პირის სახელია (მხოლოდით ან მრავლობითი რიცხვისა) და, გარდა ამისა, ერგატული გარდამავალი ზმნის სუბიექტის მსგავსად გაფორმებულია დინამიკური, მოძრაობის აღმნიშვნელი, აქტიური, გარდაუღვალი ზმნების სუბიექტოვ (4), (29). მეტრე, ნებისმიერი მოქმედება, გარდამავალი იქნება ის, თუ გარდაუღვალი, თუ ის სუბიექტის ნიშნობას გულისხმობს, გათანაბრებულია აქტიურ, გარდამავალ კონსტრუქციასთან და მისი სუბიექტი (თუ ის პირველი ან მეორე პირის სახელია) წარმოდგენილია ერგატული ბრუნვის ფორმაში (4):

- ას ვოფე - „მე წავიქეცი“ (რეში ინოქიატივით, რეში ნებო)
- სო ვოფე - „მე წავიქეცი“ (უნებურად, პასიური)
- ამ მაგალიტაში უნდა ვხედავთ პირის პირველი პირის ნაცვალსახელის (სუ) ერგატული ბრუნვას:

ე.ი. ბაცბურში ენის S ერგატული დგას იმ შემთხვევაში, თუ ის: 1. პირველი ან მეორე პირის (ნაცვალ)სახელია, 2. აქტიური, დინამიკური, მოძრაობის აღმნიშვნელი მოქმედების სუბიექტია, და 3. მოქმედო-

ბა მისა ნებია ხორციელდება.

ეს მოთხოვნები გარკვეული თვალსაზრისით ეწინააღმდეგება ტიპიური ერთგვარული კონსტრუქციების განმსაზღვრელ ძირითად პირობებს: გარდაამავალი (და არა აქტიური, დინამიკური და სხვ.) ზმნის სუბიექტი უნდა უპირისპირდებოდეს ირიბი (ერთგვარული) ბრუნვით გარდაამავალი ზმნის ობიექტსა და გარდაუვლის სუბიექტს, რომლებიც პირდაპირი (ნომინატიური) ბრუნვის სახით არიან წარმოდგენილნი. გარდა ამისა, ერთგვარული კონსტრუქციების ტიპოლოგიურ ანალიზზე დაფუძნებული ერთ-ერთი უნივერსალის მიხედვით ერთგვარული ბრუნვა, უპირველეს ყოვლისა, მესამე პირის (ნაცვალ) სახელებთან ჩნდება და მხოლოდ შემდეგ - I და II პირის ნაცვალსახელებთან, ანუ არ არსებობს ენა, რომელშიც გარდაამავალი ზმნის I ან II პირის სუბიექტი გაფორმებული იყოს ერთგვარული, III პირისა კი - არა (95).

იმისათვის, რომ გავიკვივთ ბავშური ენის ერთგვარული კონსტრუქციის ამ თავისებურებებში, აუცილებელია, გავანალიზოთ ერთგვარული კონსტრუქციების წარმოქმნის მექანიზმები და გამოვყოთ ის გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც აღნიშნული კონსტრუქციების წარმოქმნას განაპირობებენ.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ კლასების მიხედვით ცვლის გარდა ბავშური ენის ზმნური ფორმა პირების მიხედვითაც იცვლება: პირველი ან მეორე პირის სუბიექტი (და არა III პირისა) გარდაამავალსა და, აგრეთვე, გარდაუვალს, როგორც წესი, დინამიკურ, მოძრაობის აღმნიშვნელ, სუბიექტის ნებელობის გამომხატველ ზმნებში წარმოდგენილია სუფიქსური, ერთგვარულ ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელოვანი ელემენტებით (4), (29):

გარდაამავალი ზმნა

ას მაჰკჩ	ა-აყო-ს	- მე პურს ვჭამ
აჰკ მაჰკჩ	ა-აყო-ჰ	- შენ პურს ვჭამ
ათხ მაჰკჩ	ა-აყო-ფ	- ჩვენ პურს ვჭამთ
აჰშ მაჰკჩ	ა-აყო-ფშ	- თქვენ პურს ვჭამთ

გარდაუვალი ზმნა

ას ვ - აღო -ს	- მე მოვდივარ (კაცი)
აჰკ ვ - აღო -ჰ	- შენ მოდიხარ (კაცი)
ათხ ბ-აღო-ფ	- ჩვენ მოვდივართ
აჰშ ბ-აღო-ფშ	- თქვენ მოდიხართ

ას, აშ, ათხ, ააშ - არის შესაბამისი პირის ნაცვალსახელები - სო, შო, თხო, აშუ - ერგატული ბრუნვის ფორმები: -ს, -შ, -თხ, -აშ კი - შესაბამისი ნაცვალსახელოვანი ენკლიტიკები.

ამგვარი პირის ნიშნები გარდაუვალ (არააქტიურ, არადინამიკურ...) ზმნებშიც გვხვდება, მხოლოდ არა ერგატული, არამედ ნომინატიური ფორმებით:

- | | | |
|-----|---------|-----------------------------|
| სო | ვ-ა-სწ | - მე ვარ |
| შო | ვ-ა-შწ | - შენ ხარ |
| თხო | ბ-ა-თხწ | - ჩვენ ვართ (არაინკლუზიური) |
| აშუ | ბ-ა-აშწ | - თქვენ ხართ |

ე.ი. პირის ნიშანთა გარეგანი პირობები ცალსახად ემთხვევა სუბიექტის ბრუნვის განმსაზღვრელ პირობებს: ერგატულში მდგარი I - II პირის სუბიექტი ზმნაში არის პირის ნაცვალსახელების ერგატული ბრუნვის შესაბამისი სუფიქსურ ენკლიტიკებს, ნომინატივში მდგარი კი - ნომინატიურს. აქედან გამომდინარე, თუ ავხსნივ პირის ნიშანთა წარმოქმნის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ასევე ახსნილი იქნება სუბიექტის ერგატულ ბრუნვაში დასმის განმსაზღვრელი ფაქტორებიც და, პირიქით.

ამგვარად, ზმნის უღვლილება ბავბურ ენაში პიროვან-კლასოვანია: გარდაუვალ ზმნაში გამოხატულია სუბიექტის როგორც პირი, ასევე კლასი, განსხვავებული პრეფიქსებისა და სუფიქსების რიგით: პირი - ნომინატივში მდგარი ნაცვალსახელოვანი წარმოშობის სუფიქსებით, კლასი კი - კლას-კატეგორიის მარცხენებელი პრეფიქსებით, მაგალითად: ვ-ა-სწ ("მე ვარ"). გარდაუვალი ზმნის ფორმა გვიჩვენებს მოქმედი სახელის კლასსაც: ვ-(მამაკაცი) და პირსაც: -სწ (პირველი).

გარდამავალ ზმნაში კი გამოხატულია ობიექტის კლასი კლას-კატეგორიის მარცხენებელი პრეფიქსებით და სუბიექტის პირი ერგატულ ბრუნვაში მდგარი ნაცვალსახელოვანი წარმოშობის სუფიქსებით, მაგალითად: ა-აყო-ს ("მე ვცამ რაღაცას") გარდამავალი ზმნის ფორმა გვიჩვენებს სუბიექტის პირს: -ს (პირველი) და ობიექტის კლასს: ა - (ნივთი).

აღსანიშნავია, რომ პიროვან-კლასოვანი უღვლილება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნებისთვის შემოსაზღვრულია I-II პირის ფორმებით, III პირი ამ უღვლილებაში არ მონაწილეობს. ამგვარად, ბავბურ ენაში აშკარად ჩანს I/II ~ III დიქტომია და, აგრეთვე, I და II პირების გრამატიკული მარკირების ძლიერი ტენდენცია. ამასთანავე, ბავბურ ენაში ერგატული კონსტრუქციების სახით მარკირებულია არა მხოლოდ ერთი მხრივ, გარდამავლის Ag-სა და მეორე მხრივ, გარდაუვალის S-სა და გარდამავლის O-ს (Ag: S/O) შორის არსებული დაპირის-

მ. ქართულურ ენაში ტიპოლოგიის საკითხები

პირება (რაც ჩვეულებრივია ერგატული ენებისათვის), არამედ, აგრეთვე I/II ო III პირების დიქტომია; ანუ I/II პირების აქტუალიზაციის ძლიერი ტენდენციის გამო კლასიკურ უღვლილების (resp. ერგატული კონსტრუქციების) ღონზე ჩნდება პიროვანი უღვლილება, რაც კომუნიკაციის აქტში მონაწილე I და II პირების გრამატიკულ მარკირებას გულისხმობს. I და II პირების აქტუალიზაცია კი, ბაცბურში, ბუნებრივად იკვეთება აქტიურობის კატეგორიასთან - როგორც კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირები: აქტიური თუ არააქტიური; მოქმედება ამ პირების ნებით ხდება, თუ არა? კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების (I/II) როლის ზრდა ზემოთი ფორმების წარმოქმნისას ბუნებრივად იწვევს ამ პირების შემდგომ დეტალიზაციას აქტიურობისა და ნებელობის მიხედვით, ამის გამო პიროვანი უღვლილება და შესაბამისად Ag-ის ბრუნვის ფორმები განასხვავებს არა გარდამავალ და გარდავალ კონსტრუქციებს, არამედ აქტიურსა (ნებელობით) და არააქტიურს, შემდეგნაირად:

არააქტიური		აქტიური	
სო ე-ა-სწ	მე ვარ	ახ ვ-ალო-ს	მე მოვდივარ
შკო ტ-ა-შწ	შენ ხარ	აჰე ვ-ალო-შე	შენ მოდიხარ
თხო ზ-ა-თწ	ჩვენ ვართ	ათხ ბ-ალო-თხ	ჩვენ მოვდივართ
აშუ ბ-ა-აშწ	თქვენ ხართ	ააშ ბ-ალო-აშ	თქვენ მოდიხართ

ე.ი. ერგატული ბრუნვა ბაცბურში ერგატული ენებისაგან განსხვავებით არა გარდამავლის სუბიექტის, არამედ აქტიური სუბიექტის ბრუნვაა, ე.წ. ერგატული კონსტრუქციები კი წარმოადგენს სამი კატეგორიის ურთიერთკვეთის შედეგად მიღებულ ზედაპირულ სტრუქტურებს. ეს კატეგორიები ასახავს დაპირისპირებებს:


- (1) Ag ო S/O
- (2) I/II ო III
- (3) აქტიური, ნებელობითი ო არააქტიური, პასიური. I

I ასეთი აღწერით იხსნება ბაცბური ენის ერგატული კონსტრუქციების მ.სილვერსტაინის უნივერსალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობაც (იხ. მსჯელობა 27-ე გვერდზე), რამდენადაც წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ბაცბურში I/II პირის სუბიექტის განსაკუთრებული მარკირება იხსნება არა როგორც ერგატული კონსტრუქციის განმსაზღვრელი სემანტიკური კატეგორიის ზედაპირული რეალიზაციის შედეგი, არამედ როგორც კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების გრამატიკულ კატეგორიულ რეალიზაციის შედეგი.

ზემოთ მოყვებულ სამ კატეგორიას შორის გარკვეული იერარქიული შე-
საბამისობები არსებობს, კერძოდ: (I) > (2) > (3); ანუ, გრამატიკული
მარკირების თვალსაზრისით (I) კატეგორია სჯობნის (2)-ს; (2) კი -
(3)-ს. ამგვარი იერარქია ყველაზე ადეკვატურად ხსნის ბავბური ენის
მონაცემებს, რამდენადაც: (3) რომ სჯობდეს (2)-ს, აქტიურობის კატე-
გორიის მიხედვით ფორმაცვალებადობას უნდა მოეცვა III პირიც (და,
შესაბამისად, III პირის ზმნური ფორმებაც), რაც ბავბური ენის ზმნუ-
რი ფორმებით არ დასტურდება.

ასევე (I) > (2), რამდენადაც კლას-კატეგორიით უღვლილება არაა
შემოსაზღვრული I/II პირებით, იგი პირების მიმართ ნეიტრალურია (პი-
რებს არ განასხვავებს) და პირიქითი დაშვების შემთხვევაში კი ((2) >
(I)) ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო; გარდა ამისა, საწინააღმდეგო
დაშვების - (2) > (I) - შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ან დამა-
ტბითი არგუმენტაცია დასჭირდებოდა იმ ფაქტის ახსნას, თუ რატომ არ
განსხვავდა ბავბური ენის ობიექტები I/II-ს III დიქტომიის მიხედვით.
(I) > (2)-ს შემთხვევაში ეს საკითხი მოხსნილია, რამდენადაც (I)
კატეგორიის მიხედვით ობიექტი უკვე დიფერენცირებულია კლასების მი-
ხედვით და (2) კატეგორიის მარკირება მხოლოდ შემდეგ საფეხურზე, სუ-
ბიექტის დიფერენციისას ხდება. რადგან (I) > (2) და (2) > (3),
ტრანზიტულობით უნდა დავასკვნათ: (I) > (2) > (3).

ამგვარად, თუ წარმოვადგენთ ბავბური ენის ზმნური ფორმების გე-
ნერაციას აღნიშნული კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სურათი გვიქ-
ნება:



8.2. მსგავსი ვითარება უნდა იყოს მუნჯანის ენაშიც, სადაც

ძირიდან ნომინატიური კონსტრუქციები გამოიყოფა და მხოლოდ წარსული დროის ფორმებისათვის განსხვავდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის უღვლილება, თანაც მხოლოდ I/II პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმებისათვის (41):

მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
გარდამავალი - გარდაუვალი		გარდამავალი-გარდაუვალი
1	-am -ām	-ām
2	-at -āf	-āf
3	-, -a	-at

უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტი ირიბ ბრუნვაშია არა მხოლოდ I/II პირის მხოლოდითი რიცხვის, არამედ III პირის (ნაცვალსახელოვანი) მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებთანაც:

გარდამავალი „ყიდის“

გარდაუვალი „ვარდება“

მხოლოდითი

man pristam
tu pristat

ma čóstām
tu čóstāf

mān }
yān } prista
wān }

ma }
ya } čóst
wa }

nox pristām
mof pristāf

nox čóstām
mof čóstāf

მრავლობითი

māf }
yāf } pristāt
wāf }

māy }
yāy } čōstāt
wāy }

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ აუქტორ ზმნასთან ქვეშედაპირი ირიბ ბრუნვაშია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მუნჯანის ენაში უცილობელია დიფერენციალური კომპონენტის აქტისთვის მოთავსებული წევრების კატეგორია.

მომსახდამი, ქართული ენის მსგავსად მუნჯანის ენაში კომპონენტის აქტის გრამატიკულ მარკირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და

გრამატიკულ კატეგორიათა იერარქია შემდეგნაირად განისაზღვრება:

აწმყოს ფორმები: $S/O > I/II > სშ.$
წარსულის ფორმები: $I/II > სშ > S/O$

მ.შ. ამ დვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ბასკური ენის მონაცემები.

ბასკურ ენაში გამოიყოფა ორი რიგი ზმნური პრეფიქსებისა, რომლებიც დამატებით დისტრიბუციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან:

I ტიპი დამახასიათებელია აწმყოსა და მისგან ნაწარმოები დროის ფორმებისათვის:

	მხ. რ.	მრ. რ.
I	n -	g -
II	h -	z -
III	d-, z -	

II ტიპი კი - წარსულისა და მისგან ნაწარმოები დროის ფორმებისათვის:

	მხ. რ.	მრ. რ.
I	nin-, nind-	gin-, gind-
II	(h)in-, (h)ind-	zin-, zind-
III	z-, e-, θ-	

I-II ტიპის პირის ნიშნებს უპირისპირდება სუფიქსთა რიგი:

	მხ. რ.	მრ. რ.
I	-t	-gu
II	-k (მამრობითი)	-zu
III	-n (მდედრობითი)	-zue

პრეფიქსები ზმნაში აღნიშნავენ გარდამავალი ზმნის ობიექტსა (P) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, სუფიქსები კი - გარდამავალი ზმნის სუბიექტს (Ag). პირის ნიშანთა ამგვარი განაწილება ერგატული კონსტრუქციებისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც ირღვევა მხოლოდ წარსულისა და მისგან ნაწარმოებ დროთა ფორმებში, მხოლოდ მაშინ როდესაც პაციენტი არის III პირის სახელი (55), (74):

Ag/P	I	II	III	
I		hin-duan	nuen	არაერგატული ფორმები ^I
II	nin-duan		huen	
III	nin-duen	hin-duen	zuen.	

ერგატული ფორმები


-nuen, huen, zuen არაერგატულ ფორმებში P წარმოდგენილია ნულია (Ø), Ag კი სუფიქსების ნაცვლად I ტიპის პრეფიქსებით, ე.ი. გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა S წარმოდგენილია ერთგვაროვნად I ტიპის პრეფიქსებით, რაც ნომინატიური კონსტრუქციებისთვისაა დამახასიათებელი.

აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სისტემის ერგატულობა ირღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი არის III პირის სახელი, ე.ი. ფორმათა ერგატულობა - არაერგატულობა წარმოადგენს დიქტომიას: I/II~III. ეს დიქტომია ჩანს პირის ნიშანთა შორელოგიურ მარცხენებლებშიც: (აგენსური) I და II პირების სუფიქსურ მარცხენებლებს მხოლოდით რიცხვში უპირისპირდება III პირის (ნული). პრეფიქსული მარცხენებლების (I და II ტიპის) დიაქრონიული ანალოზუ გვიჩვენებს, რომ I/II პირს უპირისპირდება III პირიშმარკერით (55). ამდენად, ბასკურისთვისაც ღირებულია „კომპლექსი“ აქტში მონაწილე

I ამ თავისებურ, არაერგატულ (nuen, huen, zuen) ფორმებს II კლასის ზმნებისა (რესპ. გარდამავალი ზმნების) ცალკე ქვეტიპად გამოყოფს რ.ლანფონი (55). უფრო შორს მიდის რ.მანტურია (74), რომელიც მათ ცალკე კლასად მიიჩნევს, მაგრამ ცალკე კლასად (ან ქვეტიპად) ამ ფორმების გამოყოფა მეთოდოლოგიური შეცდომაა, რამდენადაც მათ არ გააჩნიათ ზმნური ფორმების დამოუკიდებელი, სრული პარადიგმა და ისინი II-კლასის ზმნათა წარსული დროის ფორმების ერთიანი პარადიგმის მხოლოდ ნაწილს შეადგენენ, როდესაც P=III პ. აღნიშნული პარადიგმა ტიპოლოგიურ პარალელს ქმნის ქართული ენის გარდამავალი ზმნის პარადიგმასთან:

პირების“ გრამატიკული გამოკვეთა დანარჩენი, „არამონაწილე“ პირებისაგან.

ამგვარად, ბასკური ენის კონსტრუქციების ერგატიულობა-ნომინატიურობა უკავშირდება „კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების“ გრამატიკულ მარკირებას და წარსული დროის ფორმებში ნომინატიური კონსტრუქციების არსებობა შეიძლება აიხსნას იერარქიით: სშ>I/II, რაც ნიშნავს, რომ ბასკური ენისათვის დამახასიათებელი (ძირითადი) ერგატიული კონსტრუქციების ფონზე, I/II პირის მარკირების ძლიერი ტენდენციის გამო წარმოიქმნა ფორმალური დაპირისპირება S:O, რაც ნომინატიური კონსტრუქციებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ფაქტების ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში გაუგებარია: 1. რატომ ჩნდება ნომინატიური კონსტრუქცია წარსულში? ზოგადი კანონზომიერების თანახმად უფრო სავარაუდო იყო მისი წარმოქმნა აწმყოს ფორმებში; გარდა ამისა, 2. I/II პირის მარკირება შესაძლებელია ერგატიული სისტემის რღვევის გარეშე Ag-ის სუფიქსური მარკინგებლით განხორციელებულიყო. ამ წინააღმდეგობების დასაძლევად შეიძლება ვივარაუდოთ იერარქია: S/O > I/II > სშ, რაც ნიშნავს, რომ ბასკური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მისთვის დამახასიათებელი იყო ძირითადად ნომინატიური კონსტრუქციები; გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა S აღინიშნებოდა I ტიპის პრეფიქსებით: კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირების მარკირების ძლიერი ტენდენციის გამო I/II Ag-პირის ფორმებისათვის გაჩნდა დამატებითი



და ისევე როგორც ქართული ენისათვის, ბასკურშიც შეიძლება გამოიყოს გარდამავალი ზმნათა ფორმების სუბიექტური და ობიექტური წყობა წარსულისა და მისგან ნაწარმოებელი დროთა ფორმებისათვის.

I იხ. მსჯელობა 27-ე გვერდზე.

ნიშანი - $-in, -ind$ და კომბინაციები - $AgIPII, AgIIPI$ - აღინიშნა შემდეგი ჯაჭვებით: $Ag_{ab}IPII - n+in$ $Ag_{ab}IIPI - g+in$
 $Ag_{ab}IPI - h+in$ $Ag_{ab}IIPI - z+in$

შემდეგ ეს კომბინირებული ნიშნები $nin-, fin-, gin-, zin-$ — გაგებულ იქნა საერთოდ PI და PII -ს მარკირებად და განხორციელდა $AgII$ ფორმებისთვისაც. ე.ი. გაჩნდა ფაქტიურად ერთგვარული კონსტრუქციები წარსულში (რაც ზოგადი კანონზომიერების მიხედვით სავსებით მისალოდნელია):

ამან, სავარაუდოა, გამოიწვია მთელი სისტემის შეცვლა და აწმყოს დროის ფორმებისთვისაც ერთგვარული კონსტრუქციების წარმოქმნა: I ტიპის ბრევიტეტების ფუნქცია გახდა სემანტიკურად შექმნილი (გარდაუვალის S და გარდამავლის P) სახელების მარკირება და საჭიროა შეიქმნა Ag -ის აღნიშვნაც, რაც სპეციალური სუფიქსებით განხორციელდა. შემდეგად ბასკური იქნა ერთგვარულ ენად, სადაც მხოლოდ წარსული დროის ფორმები შემორჩა ნომინატიური კონსტრუქციები.²

საბოლოოდ, რომელი ანალიზია უფრო ადეკვატური: $S/O > I/II > S/O$, თუ $S/O > I/II$ სუ³ გაირკვევა ბასკური ენის სტრუქტურების შემდგომი კვლევის შედეგად, ყოველ შემთხვევაში, უდავოა უნდა იყოს „კომუნიკაციაში მონაწილე პირების“ გრამატიკური მარკირების როლი ამ პროცესებში.

როგორც ქართული ენებისა და ბასკური, ბავშური, მუნჯანის ენების ანალიზმა გვიჩვენა, ამ ენათა გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში მთავარი, დომინანტური კატეგორია სახელთა ფუნქციონალური კვალიფიკაციების მიხედვით უნდა იყოს „კომუნიკაციის აქტში მონაწილე მთავარი წევრობის“ კატეგორია, რომელიც I/II ან III დიქტომიას წარმოადგენს და რომელიც ზედაპირულ დონეზე, უპირველეს ყოვლისა, $I-II$ პირების გრამატიკულ მარკირებას გულისხმობს.

ყოველი ენა ზმნასთან დაკავშირებული სახელების ორგანიზაციას გარკვეული, ერთი სემანტიკური ნიშნით, ერთი კატეგორიით ახდენს. სწორედ ეს კატეგორია შეიძლება იქნეს მიჩნეულ დომინანტურ კატეგორიად,

1 იხ. მ. სიღვერსტაინის უნივერსალები (95) და მსჯელობა 27-ე გვერდზე.
 2 ამგვარ ანალიზს კიდევ უფრო ამაგრებს მოსაზრება ბასკურში აწმყოს დროების მეორადი წარმომავლობის შესახებ (55).
 3 როგორც ჩანს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეორე ვარიანტს, რამდენადაც პირველი ვარიანტის შემთხვევაში რთულდება ნომინატიური კონსტრუქციების წარსულ დროში წარმოქმნის განმსაზღვრელი სემანტიკური პირობების ახსნა.

რომელიც განსაზღვრავს ამ ენის დანარჩენი კატეგორიების გრამატიკულბას და ზედაპირულ სტრუქტურებში ამ კატეგორიების რეალიზაციათა თავისებურებებს.

9.0. ნებისმიერი ენის გრამატიკული სისტემა ესაა სტრუქტურადად ურთიერთდაკავშირებული გრამატიკული კატეგორიების ერთიანობა. ამ ერთიანობაში გამოიყოფა ერთი, დომინანტური კატეგორია, რომელსაც მაქსიმალური ფუნქციონალური დატვირთულობა გააჩნია და რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს კონკრეტული ენის გრამატიკულ კატეგორიათა ფორმირებაში.

ტიპოლოგიური ენათმეცნიერების განვითარება სწორედ ამგვარი დომინანტური კატეგორიის ძიებებთანაა დაკავშირებული, რამდენადაც დომინანტური კატეგორია ენათა კლასიფიკაციის საფუძველია და მისი განსხვავებული სახე ენათა განსხვავებულობებს განსაზღვრავს.

ჩვენი აზრით, ასეთი დომინანტური (ენათა განმასხვავებელი) კატეგორია უნდა იყოს ის სემანტიკური კატეგორია, რომელიც კონკრეტული ენისათვის ზმნასთან ადგილიანობით დაკავშირებულ სახელთა ფუნქციონალურ კვალიფიკაციას ახდენს, რაც ზედაპირულად განსხვავებული ბრუნვათა ყალიბების (მოდელების) სახით რეალიზდება.

ამგვარად გაგებული დომინანტური კატეგორია შეიძლება განისაზღვროს როგორც ფუნქცია (აღვნიშნათ ეს ფუნქცია \mathcal{D} -ით), რომელიც ობიექტური სინამდვილის შესაბამის ძირითად ენობრივ ელემენტებზეა (ზმნა - V , სახელი - N) განსაზღვრული ($\mathcal{D}(V, N_1, N_2, N_3)$), რომელიც ამ ელემენტებს შორის ურთიერთმიმართებებს ამყარებს და გარდასახავს მათ კონკრეტული ენისათვის ღირებულ, უკვე ფუნქციონალურად კვალიფიცირებულ სისტემადა. ენათა განსხვავებული ტიპების მიხედვით, \mathcal{D} შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მაგალითად:

1. ე.წ. ნომინატიური ენებისათვის, სადაც დომინანტური კატეგორიაა S/O , \mathcal{D} ფუნქცია ($\mathcal{D} \rightarrow S/O$) სახელებს შემდეგ ფუნქციონალურ


I მაგალითად, უ. გრინბერგის კლასიფიკაციაში დომინანტური მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი ფუნქციონალური ელემენტების ($S-O-V$) რიგს ზედაპირულ სტრუქტურებში, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ენის ყველა სტრუქტურულ მახასიათებელს და გრამატიკულ კატეგორიათა მთელ სისტემას (88). ამგვარ, დომინანტურ მნიშვნელობას ე. სეპირისათვის (63) წარმოადგენს გრამატიკული კატეგორიების ზედაპირული რეალიზაციების განმასხვავებელი ძირითადი საშუალებები: ფლექსია, აგლუტინაცია, ინკორპორაცია; და სხვ.

2 სახელთა რაოდენობა (N_1, N_2, N_3^+) პრედიკატის (V) ადგილიანობაზეა დამოკიდებული და მაქსიმალურად 3-ის ტოლი შეიძლება იყოს. ენაში ოთხ რა მეტაფორიკული ფორმები პრედიკატის სემანტიკის გარკვეული

9. ქართულურ ენათა ტიპოლოგია საკითხები

კვალიფიკაციებს ანიჭებს: $\mathcal{D}_{S/O}(V, N_1, N_2, N_3) \rightarrow V, S(N_1), O_{dir}(N_2), O_{ind}(N_3)$.

მაშასადამე, ამ ენებში წინადადების გენერაციის პირველსავე საფეხურებზე ხდება სახელთა განსხვავება S/O კატეგორიის მიხედვით:



უკვე შემდეგ ამოქმედდება სმ, აქტიურობის, I/II პირის გამოყვედისა და სხვა უნივერსალური კატეგორიების სარგალიზაციო წესები. ეს კატეგორიები გრამატიკულ კატეგორიათა იერარქიულად განსაზღვრულ სისტემაში უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებიან და სახელთა ბრუნვათა ყალიბების განსაზღვრაში აღარ მონაწილეობენ. შედეგად წარმოიქმნება პასიური, პერფექტული კონსტრუქციები, ხდება Ag_I -ის შემდგომი დიფერენციაცია სქესის კატეგორიის მიხედვით და სხვ.

მნიშვნელობებით (მოქმედების მკუთხედი, ექსპერიენცერი, მოქმედების სიგრძითი და დროითი ლოკაცია და სხვ.) გავრცობის შედეგად მიიღება და უნივერსალურად განსაზღვრულ პრედიკატის ადგილიანობას არ ცვლის. (ქართულში, ე.წ. „ათხპირიანი“ ფორმების შესახებ იხ. (9), (2, 1982).)


I გრამატიკული კატეგორიების განსაზღვრულობის შესახებ ნომინატიური, ერგატიული და ატიური სისტემებით იხ. (34); ყოველი სისტემა გარკვეული სახის კატეგორიების გრამატიკულობას გულისხმობს და გამოყოფს სამიზნე უთიერთდაკავშირებული კატეგორიებისა:

I რიგი - ნომინატიური სისტემა - ქმედებარე - აგენსი - განსაზღვრული სახელური ჯგუფი - თემა - დინამიკური ზმნა - აწმყა - უსრული...

II რიგი - ერგატიული სისტემა - პირდაპირი დამატება - პაციენსი - განუსაზღვრელი სახელური ჯგუფი - რემა - სტატიკური ზმნა - წარსული - სრული...


2. ე.წ. ერგატიული ენებისათვის მათგარი მნიშვნელობა ენიჭება სმ-ს მარკირებას, ე.ი. $\mathcal{D} \rightarrow$ სმ, რომელიც სახელებს შემდეგ კვალიფიკაციებს ანიჭებს: $\mathcal{D}(V, N_1, N_2, N_3) \rightarrow V, N_1 [+სმ], N_{2,3} [-სმ]$.

ამ ენებში წინადადების გენერაციის პირველსავე საფეხურებზე ხდება სახელთა განსხვავება სმ - კატეგორიის მიხედვით:



ყველა სხვა კატეგორია (S/O, I/II...) იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდებარეობს და ამდენად სმ კვალიფიკაციის შემდეგ ხდება შესაძლებელი მათი რეალიზაცია. ამ ენებში, როგორც წესი, გამორჩეულია პასიური კონსტრუქციები, P-ს შემდგომი დეტალიზაციის შედეგად წარმოიქმნება კლას-კატეგორია და სხვ.


3. იმ ენებში, სადაც ძირითადია კომუნიკაციის აქტივი მონაწილე პირების გრამატიკული მარკირება \mathcal{D} ფუნქცია შემდეგ სახეს იღებს: $\mathcal{D} \rightarrow$ I/II. ამ ენებში, უპირველეს ყოვლისა, I/II პირების გრამატიკული მარკირება ხდება პირდაპირი ბრუნვით:



და უკვე შემდგომში, ძირითადად III პირის სახელებისათვის განსხვავდება S/O, სმ, აქტიურობა... იმისდა მიხედვით, რომელი კატეგორია იკავებს შემდეგ საფეხურს გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში. ამ ენათათვის ბუნებრივია ზმნურ ფორმათა პოლიპერსონალურობა.

III რიგი - დატოური სისტემა - არაპირდაპირი დამატება - ექსპერი-
 ენცერი - აფექტური ზმნა - პერფექტი - საშუალო გვარი...

4. შესაძლებელია, არც ერთი დასახელებულ კატეგორიათაგან არ იყოს დომინანტური რომელიმე ენაში და სახელთა ბრუნვათა ყალიბებში მოქცევა ხდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტული სამეცხველო სიტუაციიდან გამომდინარე, რომელია გამონათქვამის ცენტრი (თემა, ტოპიკი).¹ ე.ი. $\text{თ} \rightarrow \text{ტოპიკი}$



ე.ი. წინადადების (ენობრივი გამონათქვამის) ძირითადი ელემენტებია V, N,² რომლებიც ლოგიკურად ერთ საფეხურზე დგანან, თანაბრად ღირებულნი არიან, მაგრამ სტრუქტურის (წინადადების) ორგანიზაციის დროს V პირველსავე ეტაპზე გამოიყოფა (ე.ი. $V > N$) და უკვე შემდეგ ხდება სახელთა (N) ფუნქციონალური დეფინიციის: (+ ქვემდებარე), (+სშ); (+ I/II) თუ სხვ.

აქედან გამომდინარე, საკითხი ქვემდებარისა და შემასმენლის პირველადობის შესახებ (რომელია მთავარი და რომელი მეორეხარისხოვანი რომელიც ტრადიციული სინტაქსის ერთ-ერთ ღრმულეს საკითხს წარმოადგენდა (49), უბრალოდ არასწორად ისმოდა: V უნდა შეუპირისპირდეს N-ს (ფუნქციონალური დეფინიციის გარეშე) და არა ქვემდებარეს, დამატებას..

საზოგადოდ, როგორც ჩანს, ალყიღებელია სინქრონიული-დიაქრონიული დონეების განსხვავება არა მხოლოდ ისტორიული ენათმეცნიერებისათვის, არამედ ტიპოლოგიურისთვისაც (გენერატიულითვის):


I მაგალითად, იაპონურში ნებისმიერი სახელი, რომელიც გამონათქვამის ცენტრია ფორმდება - WA სუფიქსით, ხოლო ისეთ კონსტრუქციებში, სადაც ერთზე მეტი სახელია ღირებული კომუნიკაციისათვის, ე.წ. ორმაგ ქვემდებარულ გაფორმებასაც კი ვხვდებით (56), მაგ.:

sakana+wa tai+ga oansen
 „თევზი+ქვ. ოკუნო+ქვ. გემრიელი“

II ისინი ობიექტური სინამდვილის შესაბამისი ძირითადი ლოგიკური კატეგორიებია, მათ გარეშე არ არსებობს სინამდვილე და არც მისი (სინამდვილის) ენობრივი ასახვაა შესაძლებელი (აქ არ იგულისხმება სახელი და ზმნა ტრადიციული გაგებით, როგორც მეცხველების ნაწილები, რამდენადაც არსებობს ენები, სადაც სახელი და ზმნა ფორმალურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ე.ი. არც განსხვავებულ მეცხველების ნაწილებს წარმოადგენენ).

ხის ერთი დონის ელემენტებს შორის კავშირები შეიძლება გაჩნდესა-
ზღვროს როგორც სტრუქტურულ-სინქრონიული კავშირები, სხვადასხვა დონი-
სა კი - როგორც სტრუქტურულ-დიაქრონიული, ე.ი. შემასმენლის (resp.
პრედიკატის, ზმნის) შეპირისპირება ქვემდებარესთან (სუბიექტთან)
სინქრონის დარღვევაა და ლოგიკურ შეუსაბამობას იწვევს მსჯელობაში -
თუ შემასმენელი და ქვემდებარე ერთი ძალისანი არიან, მაშინ აუხსნედი
რჩება ისეთ ენათა მონაცემები, სადაც ქვემდებარე, როგორც გრამატიკული
კატეგორია საერთოდ არ გამოიყოფა; ხოლო შემასმენლის შეპირისპირება
სახელთან ტიპიზაციის (S/O, სშ, I/II) გარეშე - სინქრონიაა და
ამდენად არავითარ გაუგებრობას (ანწინააღმდეგობრივ მსჯელობებს) არ იწ-
ვევს - სახელები და ზმნები ენისა და სინამდვილის უნივერსალური ელემ-
ენტებია.

თუ წინა გვერდებზე (65-66) მოცემულ მსჯელობას დავუბრუნდებით,
უნდა კიდევ ერთხელ გავხაზოთ, რომ ყოველი ენის გრამატიკულ კატეგორია-
თა სისტემაში ღირებულია ერთი, დომინანტური კატეგორია და კატეგორიათა
შორის არსებული იერარქიული შესაბამისობები, რომლებიც განსაზღვრავენ
ენის ტიპსა და ხასიათს. ეს შესაბამისობები შემდეგი სქემის სახით
შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:



მოცემულ სქემაში ყოველი ენა იგი ტიპი ხასიათდება „+“ ნიშნით
იმ კატეგორიასთან, რომელიც დომინანტურია მისთვის, ხოლო დანარჩენი
კატეგორიები ღაგდება იმ იერარქიული შესაბამისობების მიხედვით, რომ-

I მოცემული სქემის მიხედვით კიდევ უფრო დეტალურად ხდება აკიბრი-
კის მსჯელობა ერგატიული და აკუნატიური (=ნომინატიური) კონსტრუქ-
ციების შესახებ: „Эргативность и аккузативность - не бинарные
противопоставления, а ф.п. счты многочленного противопоставле-
ния“ (51.4). ანუ: ერგა[+სშ]
აკკ[-სშ] ^ [+ S/O]

ლებიც ამ კატეგორიებს შორის დასტურდება მოცემულ ენაში და რომელთა ამოცნობაც ზედპირული სტრუქტურების გაანალიზების შედეგადაა შესაძლებელი. ამდენად, ყოველი ენისათვის ეს სქემა თავისებურად აიგება და შემდეგნაირად იზიფრება: „ყოველ ენაში, უპირველეს ყოვლისა, ხდება იმ კატეგორიის გრამატიკული მარკირება, რომელიც იერარქიის (სქემის) I საფეხურზეა მოთავსებული (ეს იქნება ამ ენისათვის დომინანტური კატეგორია), შემდეგ იმ კატეგორიისა, რომელიც II საფეხურზეა და ა.შ.“¹

10.0. ბოლოს, შესაძლებელია დასკვნების სახით ჩამოყალიბდეს ნაშრომის ძირითადი დებულებები:

1. ენა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი შესაძლებლობაა;
2. სინამდვილის (resp. ენის) ძირითადი ელემენტებია სახელი და ზმნა;
3. კონკრეტული სიტუაციის შემოაგენელი სახელების რაოდენობა პრედიკატის ადგილიანობით განისაზღვრება;
4. კონკრეტულ სიტუაციაში სახელები თავიანთი ხასიათისდა შესაბამისად გარკვეულ როლს ($Ag-P-Ad$) ასრულებენ;
5. ამ როლების ფუნქციონალური კვალიფიკაცია განსხვავებულია სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში და ამ ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიების სისტემით განისაზღვრება;
6. გრამატიკულ კატეგორიათა სისჯემა ესაა ურთიერთდაკავშირებული გრამატიკული კატეგორიების სტრუქტურული მთლიანობა;
7. ამ სტრუქტურულ მთლიანობაში გამოიყოფა ერთი, დომინანტური კატეგორია, რომელსაც მატსიმალური ფუნქციონალური დატვირთულობა გააჩნია და რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს კონკრეტული ენის გრამატიკულ კატეგორიათა ფორმირებაში;
8. ეს დომინანტური კატეგორია შეიძლება განისაზღვროს როგორც ფუნქცია (Σ), რომელიც ობიექტური სინამდვილის შესაბამის ძირითად ენობრივ ელემენტებზეა (ზმნა - V , სახელი - N) განსაზღვრულია: $\Sigma(V, N_1, N_2, N_3)$ და სახელებს გარკვეულ ფუნქციონალურ კვალიფიკაციებს მიაწერს;
9. ამგვარ დომინანტურ კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ სუბიექტ-ობიექტის კატეგორია ნომინატიური ენებისათვის, სემანტიკური შეთანხმებულობა - ერგატიული ენებისათვის, აქტიურობა - აქტიური ენებისათვის და სხვ.;
10. სემანტიკური შეთანხმებულობა (სშ) განისაზღვრება როგორც ზმნის სემანტიკური ორიენტაცია სუბიექტზე გარდაუვალი სემანტიკის შემთხვევაში (კაცია→მიღის, ჩიტი→მიდრინავს, გველი→მისრიალებს, გემი→მოცურავს...) და პაციენსზე გარდამავალი სემანტიკის შემთხვევაში (წერილი→დაწერა, სახლი→ააშენა, ფოკო→გადაიღო, ტაძარი→ააგო...);
11. ქართულსა და ქართილურ ენებში დომინანტურ

¹ ბუნებრივია, თუ რომელიმე ენისათვის (ან ენათა ; გულისათვის) გამოიყოს დასახელებულ კატეგორიათაგან განსხვავებული სემანტიკურად დომინანტური გრამატიკული კატეგორია, მოცემული სქემა განივრცობა სწორედ ამ დომინანტური კატეგორიის ჩათვლით იერარქიის პირველ სა-

კატეგორიად არ შეიძლება მივიჩნიოთ S/O, სშ ან აქტიურობა, რამდენადაც არც ერთი მათგანი არ განსაზღვრავს მკაცრად სახელთა ბრუნვის მოდელებს და ზმნათა პირიან ფორმებს (ე.ი. ქართველური ენები არ მიეკუთვნება ენათა ნომინატიურ, ერგატიულ ან აქტიურ ტიპს); 12. ქართველური ენების გრამატიკული კატეგორიების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე დომინანტურ კატეგორიად შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპლენკაციის აქტიური მონაწილეობის (მთავარი წევრობის)“ კატეგორია, რომელიც ზედაპირულად ვლინდება:

ა) მანისა და ვინის რიგის პირის ნიშნების ოპოზიციით: 2 გამონათქვამს კომპლენკაციისათვის „არამთავარ“ წევრს, 6 კი - „მთავარს“;

ბ) I/II ო III დიქტომიითა და I/II > III იერარქიით: I/II („მთავარი“) ყოველთვის აღინიშნება ზმნაში, III („არამთავარი“) კი გარკვეული პირობებით;

გ) პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქციით: I/II პირების აუცილებელი გრამატიკული მარკირება ზმნაში;

დ) ქცევის ფორმებით: თუ P ეკუთვნის „მთავარ“ წევრს, ზმნაში ჩნდება - მ- პრეფიქსი, თუ „არამთავარს“ - ი-ან ფ- (მ- ჩნდება როდესაც „არამთავარი“ სახელი მოქმედია, ფ- კი, როდესაც „არამთავარი“ სახელი სამოქმედოა).

ე) მიმართულებითობის კატეგორიის თავისებურებით: „მთავარი“ წევრებისაკენ მიმართული მოქმედება აღინიშნება ზმნაში რთული მოიანი ზმნისწინებით, „არამთავარისაკენ“ კი - მარტივით;

ვ) უნახაზის კატეგორიის გრამატიკულობით: უნახაზი მოქმედება გადმოცემა III სერის ზმნური ფორმებით, არაუნახაზი კი - I/II სერის ზმნური ფორმებით; და სხვ.

13. ქართველური ენების გარდა „კომპლენკაციისათვის მთავარი წევრობის“ კატეგორიის დომინანტურობა შეიძლება ევივარაუდოთ ბავშური, ბასკური, მუნჯანის ენებისათვის; 14. დომინანტური კატეგორია შეიძლება კვალთფიქტივებულ იქნეს ენათა ტიპოლოგიურად ახლო მდგომი ჯგუფის განმსაზღვრელ ნიშნად, რომლის მიხედვით შესაძლებელია განხორციელებდეს ენათა კლასიფიკაცია; 15. ენათა კლასიფიკაციისათვის დომინანტურ კატეგორიასთან ერთად ღირებულია გრამატიკულ კატეგორიათა შორის არსებული იერარქიული დაპირისპირებები; 16. იერარქიები დგინდება იმის

ღიხორჩე. ეს პროცესი კატეგორიების ჩართვისა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

